



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

დიდი პალატა

საქმე ჰირსი ჯამაა და სხვები იტალიის წინააღმდეგ
CASE OF HIRSI JAMAA AND OTHERS V. ITALY
(საჩივარი #27765/09)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

23 თებერვალი 2012

ეს გადაწყვეტილება საბოლოოა, მაგრამ შეიძლება დაექვემდებაროს
რედაქტირებას

საქმეში Hirsi Jamaa and others v. Italy,

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, რომელიც შეიკრიბა დიდი პალატის შემდეგი მოსამართლეების შემადგენლობით:

ნიკოლას ბრატცა, თავმჯდომარე
ჟან პაულ კოსტა,
ფრაცუა ტულკენს,
ჯოსეპ კასადევალი,
ნინა ვაჯიც,
დეან სპიელმან,
პეერ ლორენზენ,
ლჯინჯანა მიჯოვიჩ,
დრაგოლჯუბ პოპოვიჩ,
გიორგიო მალინვერნი,
მირჟანა ლაზაროვა ტრაჯკოვსკა
ნონა წოწორია,
ისილ კარაკას,
კრისტინა პარდალოს,
გუიდო რაიმონდი,
ვინცენტ ა. დე გაეტანო,
პაულო პინტო დე ალბუქუერჟუე, მოსამართლეები,
და მაიქელ ო ბროელი, რეგისტრატორის მოადგილე,

იმსჯელა განმარტოებით 2011 წლის 22 ივნისს და 2012 წლის 19 იანვარს,
და 2012 წლის 19 იანვარს გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება.

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს თერთმეტი სომალელი მოქალაქის და ცამეტი ერიტრიელი მოქალაქის მიერ (“მომჩივნები”) - სახელები და დაბადების თარიღები მოცემულია თანდართულ სიაში - რომელიც თან ერთვის ამ გადაწყვეტილებას, ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (“კონვენცია”) 34-ე მუხლის საფუძველზე იტალიის რესპუბლიკის წინააღმდეგ 2009 წლის 26 მაისს წარდგენილი ექვსი საჩივრიდან (#27765/09).
2. მომჩივნები წარმოდგენილნი იყვნენ ბატონი ა.გ. ლანა-ს და ბ-ნი ა. საკუკის, რომში მოღვაწე ადვოკატების მიერ. იტალიის მთავრობის (“მთავრობა”)

ინტერესებს წარმოადგენდა მთავრობის აგენტი, ქ-ნი სპატაფორა და მეორე აგენტი, ქ-ნი ს. კოპარი.

3. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ იტალიის ხელისუფლების მიერ ლიბიისთვის მათმა გადაცემამ დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი და მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი. ისინი, აგრეთვე, ასაჩივრებდნენ შესაბამისი დაკმაყოფილების არ არსებობას, როგორც ეს მოთხოვნილია კონვენციის მე-13 მუხლით, რომელიც მისცემდა მათ საშუალებას განხილულიყო ზემოთ მოცემული საჩივრები.

4. საჩივრები განსახილველად გადაეცა სასამართლოს მეორე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის პირველი ნაწილი). 2009 წლის 17 ნოემბერს მოცემული სექციის პალატამ გადაწყვიტა საჩივრების შესახებ ეცნობებინა იტალიის მთავრობისათვის. 2011 წლის 15 თებერვალს პალატამ შემდეგი მოსამართლეების შემადგენლობით: ფრანსუაზა ტულკენსი, თავმჯდომარე, ირენეუ კაბრალ ბარრეტო, დრაგოლუბ პოპოვიჩი, ნონა წოწორია, ისილ კარაკასი, კრისტიანა პარდაოსი, გუიდო რაიმონდი და აგრეთვე სტენლი ნაისმიტი, სექციის რეგისტრატორი, განსჯადობა დაუთმო დიდ პალატას, რაზეც მხარეებს წინააღმდეგობა არ გამოუთქვამთ (კონვენციის 30-ე მუხლი და სასამართლოს რეგლამენტის 72-ე მუხლი).

5. დიდი პალატის შემადგენლობა განსაზღვრულ იქნა კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილისა და სასამართლოს რეგლამენტის 24-ე მუხლის შესაბამისად.

6. გადაწყდა, რომ დიდი პალატა საჩივრის დასაშვებობასა და მის არსებით მხარესთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებდა თანადროულად (კონვენციის 29-ე მუხლის პირველი ნაწილი).

7. მომჩივნებმა და მთავრობამ თითოეულმა წარადგინეს წერილობითი მოსაზრებები საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით. მხარეებმა გასცეს პასუხი მოწინააღმდეგის მოსაზრებებს სასამართლო განხილვის დროს (სასამართლოს რეგლამენტის 44-ე მუხლის მე-5 ნაწილი). წერილობითი მოსაზრებები, აგრეთვე, მიღებულ იქნა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (“UNHCR”), Human Rights Watch -ის, კოლუმბიის სამართლის სკოლის ადამიანის უფლებათა კლინიკის, ინდივიდუალურ უფლებათა რჩევის ცენტრის (“Aire Centre”), საერთაშორისო ამნისტიისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციიდან (“FIDH”), რომლებიც მოქმედებდნენ ერთობლივად, რომლებსაც მიეცათ უფლება ჩართულიყვნენ საქმეში პალატის პრეზიდენტის მიერ (კონვენციის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილი). შენიშვნები, აგრეთვე, მიღებულ იქნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ, რომელსაც აგრეთვე მიეცა ჩართვის უფლება სასამართლოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით. UNHCR-ს აგრეთვე მიეცა უფლება მონაწილეობა მიეღო ზეპირ განხილვაში.

8. სასამართლო განხილვა ჩატარდა საჯაროდ ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2011 წლის 22 ივნისს (სასამართლოს რეგლამენტის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

სასამართლოს წინაშე წარსდგნენ:

(ა) მთავრობიდან

ქ-ნი ს. კოპპარი, მეორე აგენტი,
ბ-ნი გ. ალბერზიო, Avvocato dello Stato;

(ბ) მომჩივნების მხრიდან

ბ-ნი ა.გ. ლანა,
ბ-ნი ა. საკუკი, ადვოკატი,
ქ-ნი ა. სირონი, მრჩეველი;

(გ) გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისიარიატის მხრიდან, მესამე მხარედ ჩართული

ქ-ნი მ. გარლიკ, განყოფილების უფროსი, პოლიტიკისა და სამართლებრივი მხარდაჭერის განყოფილება, ევროპის ოფისი, ადვოკატი,
ბ-ნი ს. ვოუტერს, მთავარი მრჩეველი ლტოლვილთა სამართალში, ეროვნული დაცვის განყოფილება,

ბ-ნი ს. ბოუტრუჟე, პოლიტიკისა და სამართლებრივი მხარდაჭერის განყოფილება, ევროპის ოფისი
მრჩეველები.

სასამართლომ განიხილა ქ-ნი კოპპარის, ბ-ნი ალბერზიოს, ბ-ნი ლანას, ბ-ნი საკუკის და ქ-ნი გარლიკის გამოსვლები და მათი პასუხები სასამართლოს კითხვებზე.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

A. ადგილსამყოფელის დადგენა და მომჩივნების უკან დაბრუნება ლიბიაში

9. მომჩივნები, სომალის თერთმეტი და ერიტრიის ცამეტი მოქალაქე, იყვნენ დაახლოებით ორასი მოქალაქისგან შემდგარი ჯგუფის ნაწილი, რომლებმაც დატოვეს ლიბია სამი საზღვაო გემით, და მიემგზავრებოდნენ იტალიის სანაპიროსაკენ.

10. 2009 წლის 6 მაისს, როდესაც გემები იმყოფებოდნენ ლამპედუზადან (აგრიგენტო) 35 საზღვაო მილის მანძილზე, რომელიც არის მალტის ძებნისა და სამაშველო ოპერაციების განხორციელების არეალი, ისინი აღმოჩენილ იქნენ

სამი გემის, იტალიის შემოსავლების პოლიციის (Guardia di finanza) და საზღვრის დაცვის სამსახურის მიერ.

11. აღმოჩენილ გემებზე მყოფი პირები გადაიყვანეს იტალიის სამხედრო გემზე და დაბრუნებულ იქნენ ტრიპოლში. მომჩივნები ჩიოდნენ, რომ გადაყვანის დროს იტალიის ხელისუფლების ორგანოებმა არ მოახდინეს მათი ინფორმირება მათი მგზავრობის რეალური მიმართულების შესახებ და არ მიიღეს რაიმე ზომები მათი იდენტიფიცირებისთვის.

განხორციელდა ყველა მათი პერსონალური ნივთის, მათ შორის, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების კონფისკაცია სამხედრო პერსონალის მიერ.

12. ტრიპოლის პორტში ჩასვლის დროს, ათ საათიანი ვოიაჟის შემდეგ, მიგრანტები გადაცემულ იქნენ ლიბიის ხელისუფლების ორგანოებს. მომჩივნების ვერსიით ამ მოვლენებთან დაკავშირებით, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ მათ გადაცემას ლიბიის ხელისუფლების ორგანოებისათვის, მაგრამ მათ ძალით დაატოვებინეს იტალიის გემები.

13. 2009 წლის 7 მაისის პრესკონფერენციაზე იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ გემების აღმოჩენის ღონისძიებას და მიგრანტების დაბრუნებას ლიბიაში საფუძვლად ედო 2009 წლის 4 თებერვალს ლიბიასთან ძალაში შესული ორმხრივი შეთანხმება და ხსენებული ოპერაცია წარმოადგენდა გარდამტეხ მომენტს უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. 2009 წლის 25 მაისს, მინისტრმა განაცხადა, რომ 2009 წლის 6-10 მაისის პერიოდში, მოხდა 471-ზე მეტი უკანონო მიგრანტის აღმოჩენა ზღვაში და გადაცემა ლიბიისთვის ამ ორმხრივი შეთანხმების შესაბამისად. იმის განმარტების შემდგომ, რომ მოცემული ოპერაციები განხორციელდა სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის პრინციპის საფუძველზე, მინისტრმა განაცხადა, რომ უკან დაბრუნების პოლიტიკა იყო ძალზედ ეფექტიანი უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისად, აღნიშნული პოლიტიკა მიმართული იყო პირთა უკანონოდ გადაყვანის და ტრეფიკინგის განმახორციელებელი კრიმინალური ჯგუფების წინააღმდეგ, ხსენებულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადამიანის სიცოცხლის დაცვაში ზღვაში ყოფნის დროს და არსებითად შეამცირა უკანონო მიგრანტების ჩამოსვლა იტალიის სანაპიროზე. ხსენებული პოლიტიკის გატარების შედეგად 2009 წლის მაისში 2008 წლის მაისთან შედარებით ხუთჯერ შემცირდა უკანონო მიგრანტთა რაოდენობა.

14. 2009 წლის განმავლობაში იტალიამ განახორციელა ცხრა ოპერაცია ზღვაში უკანონო მიგრანტების აღმოსაჩენად, ლიბიასთან დადებული ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

B. მომჩივნების ყოფა და კავშირი მათ წარმომადგენლებთან

15. მომჩივნების წარმომადგენლების მიერ სასამართლოში წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ორი მომჩივანი, ბ-ნი მოჰამედ აბუკარი და ბ-ნი

ჰასან შარიფ აბირაჰმანი (#. 10 და 11 შესაბამისად მოცემული გადაწყვეტილებაზე თანდართულ სიაში) გარდაიცვალნენ გაურკვეველ ვითარებაში ამ ღონისძიებების შემდეგ.

16. მას შემდეგ რაც საჩივრები წარდგენილ იქნა, ადვოკატებმა ვერ შეძლეს შეენარჩუნებინათ კონტაქტი სხვა მომჩივნებთან, რომლებთან დაკავშირებაც შესაძლებელი იყო ტელეფონითა და ელ-ფოსტის საშუალებით.

თოთხმეტ მომჩივანს (რომლებიც არიან სიაში) მიეცათ ლტოლვილის სტატუსი ტრიპოლში UNHCR ოფისის მიერ 2009 წლის ივნისიდან ოქტომბერს შორის პერიოდში.

17. მას შემდგომ რაც 2011 წელს ლიბიაში დაიწყო რევოლუცია და მოსახლეობის დიდმა რაოდენობამ დატოვა ქვეყანა, მომჩივანთა და მათ წარმომადგენელთა შორის კონტაქტის ხარისხი გაუარესდა. ადვოკატებს ამჟამად აქვთ კონტაქტი შემდეგ ექვს მომჩივანთან:

(ი) ბ-ნი ერმეას ბერჰანე (#20 სიაში) შეძლო მიეღწია უკანონოდ იტალიის სანაპირომდე. 2011 წლის 21 ივნისს კროტონეს ლტოლვილთა საბჭომ მიანიჭა მას ლტოლვილის სტატუსი;

(იი) ბ-ნი ჰაბრომ ტსეგაი (# 19 სიაში) ამჟამად ტუნისის ჩუჟა ბანაკში. ის გეგმავს დაბრუნდეს იტალიაში;

(იიი) ბ-ნი კიფლომ ტესფაზიონ კიდან (# 24 სიაში) ცხოვრობს მალტაში;

(ივ) ბ-ნი ჰაელომ მოგოს კიდანე და ბ-ნი წალდუ ჰაბტემჩაელ (#. 23 და 13 სიაში) არიან შვეიცარიის მცხოვრებლნი, სადაც ელოდებიან პასუხს მათ მოთხოვნაზე საერთაშორისო დაცვის შესახებ;

(ვ) ბ-ნი რობერტ აბზიგჰი იოჰანნესი (#21 სიაში) ცხოვრობს ნენინში.

II. შესაბამისი ადგილობრივი სამართალი

18. 1942 წლის 30 მარტისა და 2002 წელს განხორციელებული ცვლილებებით, ნავიგაციის კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად:

“იტალიური გემები ზღვაში და საჰაერო ხომალდები, რომლებიც არ ექვემდებარება რომელიმე სახელმწიფოს სუვერენიტეტს, ითვლება იტალიის ტერიტორიად.”

B. ორმხრივი შეთანხმებები იტალიასა და ლიბიას შორის

1. 2007 წლის 29 დეკემბერს იტალიამ და ლიბიამ ხელი მოაწერეს ორმხრივი თანამშრომლობის შეთანხმებას ტრიპოლში, უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის შესახებ. ამავე დღეს, ორმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი დამატებით ოქმს, რომლითაც დადგინდა სამოქმედო და ტექნიკური პირობები აღნიშნული შეთანხმების აღსასრულებლად. შეთანხმების მე-2 მუხლის თანახმად:

[რეგისტრატურის თარგმანი]

“იტალია და “დიადი სოციალისტური სახალხო ლიბიური არაბული ჯამაჰირია” იღებენ ვალდებულებას გაუკეთონ ორგანიზება საზღვაო პატრულს ექვსი გემის გამოყენებით, რომლებიც დროებით უზრუნველყოფილია იტალიის მიერ. შერეული ეკიპაჟი უნდა იყოს წარმოდგენილი გემებზე, ლიბიური პერსონალის და იტალიის პოლიციის ოფიცრების შემადგენლობით, რომლებიც უზრუნველყოფილ უნდა იქნენ ტრენინგებით, რჩევებითა და ტექნიკური მხარდაჭერით აღნიშნული გემების სათანადო გამოყენებასთან დაკავშირებით. თვალთვალი, ძებნა და გადარჩენის ოპერაციები უნდა იქნეს განხორციელებული იმ გემების გასვლის და ტრანზიტის ადგილებში, რომლებიც გამოიყენება უკანონო მიგრანტების ტრანსპორტირებისათვის, როგორც ლიბიის ტერიტორიულ წყლებში ისე საერთაშორისო წყლებში, ძალაში მყოფ საერთაშორისო კონვენციებთან შესაბამისობით და სამოქმედო პირობების საფუძველზე, რომლებიც თანხმდება ორივე ქვეყანას შორის.

ამასთან ერთად, იტალია იღებს ვალდებულებას გადასცეს ლიბიას, სამი წლის ვადით, სამი უნიშნო გემი (შეთანხმების მე-3 მუხლი) და წახალისოს ევროპის კავშირი, გააფორმოს ჩარჩო შეთანხმება ევროპის კავშირსა და ლიბიას შორის (შეთანხმების მე-4 მუხლი).

საბოლოოდ, ორმხრივი ხელშეკრულების მე-7 მუხლის მიხედვით, ლიბიამ აიღო ვალდებულება “კოორდინირება გაუწიოს მის საქმიანობას წარმოშობის ქვეყნებთან, რათა შემცირდეს უკანონო მიგრაცია და უზრუნველყოფილ იქნეს მიგრანტთა დაბრუნება”.

2009 წლის 4 თებერვალს, იტალიამ და ლიბიამ ხელი მოაწერეს დამატებით ოქმს ტრიპოლში, რომლის მიზანი იყო ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერება უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. აღნიშნულმა ოქმმა ნაწილობრივ ცვლილებები შეიტანა 2007 წლის 29 დეკემბრის შეთანხმებაში, კერძოდ, მასში ახალი მუხლის დამატებით, რომლის მიხედვითაც:

“ორი ქვეყანა იღებს ვალდებულებას, ორგანიზება გაუკეთოს საზღვაო პატრულს გაერთიანებული ეკიპაჟებით, რომელიც შედგება თანაბარი რაოდენობის ლიბიელი და იტალიელი პერსონალით, რომლებსაც აქვთ შესაბამისი გამოცდილება და უნარები. პატრულირება უნდა განხორციელდეს ლიბიისა და საერთაშორისო წყლებში ლიბიელი პერსონალის ზედამხედველობის ქვეშ და იტალიელი ეკიპაჟის წევრების მონაწილეობით და იტალიის და საერთაშორისო წყლებში იტალიელი პერსონალის ზედამხედველობით და ლიბიელი ეკიპაჟის წევრების მონაწილეობით.

ის საზღვაო ხომალდები, რომლებიც წარმოდგენილ იქნა იტალიის მიერ, 2007 წლის 20 დეკემბრის შეთანხმების მე-3 მუხლის შესაბამისად, სრულად უნდა გადაეცეს მფლობელობაში ლიბიას.

ორი ქვეყანა თანხმდება რეპატრირება გაუკეთოს უკანონო მიგრანტებს და გააფორმოს შეთანხმებები წარმოშობის ქვეყნებთან, რათა შეზღუდონ უკანონო მიგრაცია.”

20. 2008 წლის 30 აგვისტოს, ბენდაში, იტალიამ და ლიბიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას მეგობრობის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომლის მე-19 მუხლი ითვალისწინებს დებულებას ღონისძიებების შესახებ, რათა გამოირიცხოს უკანონო მიგრაცია. შეთანხმების მე-6 მუხლის მიხედვით, იტალიამ და ლიბიამ აიღეს ვალდებულება იმოქმედონ გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპების შესაბამისად.

21. იტალიის თავდაცვის მინისტრის განცხადების შესაბამისად, შეთანხმებები იტალიასა და ლიბიას შორის შეჩერებულ იქნა 2011 წლის ღონისძიებების შემდეგ.

III. საერთაშორისო და ევროპული სამართლის შესაბამისი ასპექტები

A. 1951 წლის ჟენევის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ

22. იტალიამ მოახდინა ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის ჟენევის კონვენციის (“ჟენევის კონვენცია”) რატიფიცირება, რომელიც განსაზღვრავს სიტუაციებს, რომელშიც სახელმწიფომ უნდა მიანიჭოს ლტოლვილის სტატუსი, უფლებები და ვალდებულებები იმ პირებს, რომლებმაც ამისთვის მიმართეს. კონვენციის პირველი და 33-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით:

მუხლი 1

“ამ კონვენციის მიზნებისთვის, ტერმინი “ლტოლვილი” უნდა გულისხმობდეს ნებისმიერ პირს ვისაც...აქვს რა ჯეროვნად დასაბუთებული შიში კანის რასის, რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური მოსაზრების გამო, იმყოფება მისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან მოცემული შიშის ქონის გამო, არ სურს დაუქვემდებაროს ამ ქვეყნის დაცვას თავი, ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იმყოფება მისი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ მსგავსი მოვლენების გამო, არ შეუძლია ან აქვს ასეთი შიში და არ სურს უკან დაბრუნება.”

მუხლი 33 § 1

“1. არც ერთმა ხელმომწერმა სახელმწიფომ არ უნდა გაამეკოს ან დააბრუნოს (‘რეფოულერ’) ლტოლვილი ნებისმიერი ფორმით იმ ტერიტორიების საზღვრებთან სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას დაემუქრება საფრთხე

მისი რასის, რელიგიის, ეთნიკური კუთვნილების, კონკრეტული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მოსაზრების გამო.”

23. მის 2001 წლის 13 სექტემბრის საინფორმაციო დოკუმენტში საერთაშორისო დაცვის შესახებ ((A/AC.96/951, § 16), UNHCR-მა, რომელმაც აიღო ვალდებულება მონიტორინგი განეხორციელებინა თუ როგორ ახდენენ მონაწილე ქვეყნები ჟენევის კონვენციის გამოყენებას, მიუთითა რომ 33-ე მუხლში მოცემული პრინციპი “non-refoulement” წარმოადგენდა:

“...მოცემული კონვენციაში დაცვის უმნიშვნელოვანესი პრინციპს, რომელთან მიმართებაშიც არანაირი დათქმები არ დაიშვება. სხვადასხვა გზით, მოცემული პრინციპი არის ლოგიკური დამატება თავშესაფრის ძიების უფლების, რომელიც აღიარებულია ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციით. აღნიშნული განიხილება როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმა, რომელიც სავალდებულოა ყველა ქვეყნისთვის. ამავე დროს, საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართალმა დააფუძნა non-refoulement როგორც წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აბსოლუტური აკრძალვის ფუნდამენტური კომპონენტი. სახელმწიფოების ვალდებულება არ განახორციელონ *refoule* აგრეთვე აღიარებულია, როგორც პრინციპი, რომელიც მოქმედებს ლტოლვილებზე მიუხედავად მათი ფორმალური აღიარებისა, შესაბამისად, რა თქმა უნდა მოიცავს თავშესაფრის მაძიებლებს ვისი სტატუსიც ჯერ არ დადგენილა. ის გულისხმობს ნებისმიერ ღონისძიებას რომელიც ეხება სახელმწიფოს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს თავშესაფრის მაძიებლების ან ლტოლვილების უკან დაბრუნების ეფექტი იმ ტერიტორიების საზღვრებში, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას შეიძლება დაემუქროს საფრხე ან სადაც იგი შეიძლება არსებობდეს მისი დევნის საფრთხე. აღნიშნული მოიცავს გაძევებას საზღვართან, იდენტიფიცირებას და არაპირდაპირ რეფოულემენტ-ს, როდესაც ინდივიდი ითხოვს თავშესაფარს ან მასობრივი შემოსვლის სიტუაციებში.”

B. 1982 წლის გაეროს საზღვაო კონვენცია (“მონტეგუო ბეის კონვენცია”)

24. მონტეგუო ბეის კონვენციის შესაბამისი მუხლები

მუხლი 92

საზღვაო ხომალდების სტატუსი

“1. ხომალდებმა უნდა იცურონ მხოლოდ ერთი ქვეყნის დროშის ქვეშ და გარდა იმ საგამონაკლისო შემთხვევებისა, რომლებიც ნათლად არის გამოხატული

კონვენციაში, უნდა იყოს ამ ქვეყნის ექსკლუზიური იურისდიქციის ობიექტი ზღვაში...”

მუხლი94

დროშის სახელმწიფოს ვალდებულებები

“1. თითოეულმა სახელმწიფომ ეფექტიანად გამოიყენოს მისი იურისდიქცია და კონტროლი ადმინისტრაციულ, ტექნიკურ ან სოციალურ საკითხებში იმ გემზე რომელსაც აქვს მისი დროშა..
...”

მუხლი 98 - დახმარების გაწევის ვალდებულება

“1. თითოეულმა სახელმწიფომ უნდა მოსთხოვოს იმ ხომალდის ხელმძღვანელს, რომელიც ცურავს მისი დროშით, ისე რომ არ შეუქმნას სერიოზული საფრთხე ხომალდს, რომ ეკიპაჟმა და მგზავრებმა:

ა) გაუწიონ დახმარება ნებისმიერ პირს რომელიც ნაპოვნია ზღვაში და ემუქრება დახრჩობა;

ბ) გასწიონ მაქსიმალური სიჩქარით რათა გადაარჩინონ საფრთხეში მყოფი პირები, თუ არიან ინფორმირებული დახმარების საჭიროებაზე, ან თუ ასეთი დახმარება მოსალოდნელია მათი მხრიდან;
...”

C. 1979 წლის საერთაშორისო კონვენცია საზღვაო ძებნისა და გადარჩენის შესახებ (“SAR კონვენცია”) (2004 ცვლილებებით)

25. SAR კონვენციის 3.1.9. ქვე-პუნქტი ითვალისწინებს რომ:

“მხარეებმა უნდა განახორციელონ კოორდინაცია და ითანამშრომლონ, რათა უზრუნველყონ რომ ხომალდების ხელმძღვანელები რომლებიც ეხმარებიან გასაჭირში მყოფ პირებს ზღვაში თავისუფლდებიან იმ ვალდებულებებისაგან, რომელიც გულისხმობს ხომალდის დაგეგმილი კურსიდან მინიმალურ გადახვევას, იმის გათვალისწინებით რომ ხომალდის ხელმძღვანელის გათავისუფლება ამ ვალდებულებებისგან არ შეუქმნის ზღვაზე დამატებით საფრთხეს სიცოცხლის უფლებას. მონაწილე სახელმწიფომ რომელიც პასუხისმგებელია ძებნასა და სამაშველო სამუშაოებზე იმ რეგიონში სადაც ის მოცემულ დახმარებას ახორციელებს უნდა განახორციელოს უპირველესი ვალდებულება რომ განხორციელდეს შესაბამისი კოორდინირება და

თანამშრომლობა, რომ გადარჩენილი პირები აყვანილ იქნენ ხომალდზე და მოხდეს მათი ტრანსპორტირება უსაფრთხო ადგილას, კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით და ორგანიზაციის (საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია) სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით. ამ საქმეებში, შესაბამისმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ რომ მოცემული ხომალდიდან გადმოსხმა განხორციელდეს როგორც კი ეს პრაქტიკულად იქნება შესაძლებელი.”

D. ოქმი მიგრანტთა ხმელეთით, ზღვით და ჰაერით უკანონოდ გადაყვანის წინააღმდეგ, რომელიც ერთვის გაეროს კონვენციას საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის შესახებ (“პალერმოს ოქმი”) (2000)

26. პალერმოს ომის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად:

“1. არაფერმა ამ ოქმში არ უნდა იმოქმედოს სხვა სახელმწიფოებისა და ინდივიდების საერთაშორისო სამართლით აღიარებულ უფლებებზე, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებზე. ხსენებულში მათ შორის იგულისხმება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, კერძოდ, 1951 წლის კონვენცია და 1967 წლის ოქმი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და მასში მოცემული non-refoulement პრინციპი.”

E. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1821 (2011) რეზოლუცია

27. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2011 წლის 21 ივნის მიიღო რეზოლუცია ზღვაში თავშესაფრის მაძიებლების, ლტოლვილების და უკანონო მიგრანტების აღმოჩენისა და გადარჩენის შესახებ, რომლის თანახმადაც:

“1. ევროპის სამხრეთის საზღვრების ზედამხედველობა იქცა რეგიონალურ პრიორიტეტად. ევროპის კონტინენტზე ხდება მიგრანტების მასობრივი შემოსვლა ზღვით აფრიკიდან, უმეტესად იტალიის, მალტის, ესპანეთის, საბერძნეთისა და კვიპროსის გავლით.

2. მიგრანტები, ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები და სხვები საფრთხის ქვეშ აყენებენ საკუთარ თავს როდესაც ცდილობენ მიაღწიონ ევროპის სამხრეთ საზღვრებს, არასაიმედო და სახიფათო ხომალდებით. მოცემული მგზავრობები, რომლებიც ყოველთვის ხორციელდება უკანონოდ, უმეტესად კი დროშის გარეშე მცურავი გემების მეშვეობით, აყენებენ მათ იმ საფრთხის წინაშე, რომ ხელში ჩაუვარდნენ მიგრანტთა უკანონო გადამყვანს და ტრეფიკინგის ჯგუფებს, მგზავრებს უქვემდებარებენ სასოწარკვეთას, მათ არ გააჩნიათ სამართლებრივი დაცვის საშუალებები და საერთო ჯამში, არანაირად არ არიან დაცულნი მგზავრობისას.

3. მიუხედავად იმისა რომ ზღვით შემსვლელთა რაოდენობა დაეცა უკანასკნელი წლების განმავლობაში, რაც საიმიგრაციო გზების შეცვლაში გამოიხატა (განსაკუთრებით თურქეთსა და საბერძნეთს შორის სახმელეთო საზღვრზე), საპარლამენტო ასამბლეა, მისი, *inter alia*, 1637 რეზოლუციით (2008): “ზღვით შემოსული შერეული საიმიგრაციო ნაკადები სამხრეთ ევროპაში”, კიდევ ერთხელ გამოხატავს მის ღრმა შეშფოთებას იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით რომლებიც ეხება ამ შერეული საიმიგრაციო ნაკადების ზღვით შემოსვლას. ბევრი ადამიანი, რომელიც აღმოჩნდა ზღვაში განსაცდელში, იმ დროს როდესაც ისინი ცდილობდნენ მიეღწიათ ევროპის სანაპიროებამდე - გადაარჩინეს და უკან დააბრუნეს, მაგრამ ფატალური ინციდენტების სია - რომელიც მოსალოდნელი და ტრაგიკულია - გრძელდება და ფაქტიურად ყოველდღიურად კიდევ უფრო იზრდება.

4. მეტიც, უკანასკნელმა მასობრივმა ჩამოსვლამ იტალიასა და მალტაში, რომელსაც საფუძვლად დაედო ჩრდილოეთ აფრიკაში არეულობა, დაადასტურა რომ ევროპა ყოველთვის უნდა იყოს მომზადებული და ელოდეს მის სამხრეთ საზღვრებზე არალეგალური მიგრანტების, თავშესაფრის მაძიებლებისა და ლტოლვილების შესაძლო დიდი რაოდენობის შემოსვლას.

5. ასამბლეა უთითებს რომ მოცემული საზღვაო შემოსვლის მართვის ღონისძიებები წარმოშობენ მთელ რიგ პრობლემებს, რომელთაგან ხუთი განსაკუთრებით შემაშფოთებელია:

5.1. მიუხედავად შესაბამისი ინსტრუმენტებისა, რომლებიც გამოიყენება ამ სფეროში და რომლებიც ჯეროვნად ადგენენ სახელმწიფოთა და ინდივიდების უფლებებსა და ვალდებულებებს ამ სფეროში, მათი შინაარსის ინტერპრეტაცია განსხვავდება. ზოგიერთი სახელმწიფო არ ეთანხმება მათი ვალდებულებების ხასიათსა და ფარგლებს კონკრეტულ სიტუაციებში და ზოგიერთი სახელმწიფო აგრეთვე კითხვის წინაშე აყენებენ non-refoulement პრინციპის გამოყენებას ზღვაზე;

5.2. როდესაც აბსოლუტური პრიორიტეტია ზღვაზე აღმოჩენის შემთხვევაში გადარჩენილების სწრაფი გადასხმა “უსაფრთხო ადგილას”, “უსაფრთხო ადგილის” ცნება განმარტებულ უნდა იქნას ანალოგიურად ყველა მონაწილე სახელმწიფოს მიერ. თუმცა ნათელია რომ “უსაფრთხო ადგილის” ცნება არ უნდა შეიზღუდოს მარტო პირთა ფიზიკური უსაფრთხოებით, არამედ აუცილებლად მოიცავს აგრეთვე ფუნდამენტური უფლებების დაცვას;

5.3. შესაძლო განსხვავებები პირდაპირ უქმნიან საფრთხეს განსაცდელში მყოფ პირთა სიცოცხლეს, კერძოდ ისინი აყოვნებენ ან ხელს უშლიან სამაშველო ღონისძიებების განხორციელებას და მათ მაღალი ალბათობით შეიძლება დაუკარგონ სურვილი მეზღვაურებს, რათა მათ გადაარჩინონ განსაცდელში მყოფი პირები. მეტიც, ამ განსხვავებებმა განმარტებაში შეიძლება გამოიწვიოს *non-refoulement* პრინციპის დარღვევა გარკვეულ პირებთან მიმართებაში, მათ შორის საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირებთან მიმართებაში;

5.4. მიუხედავად იმისა რომ ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საზღვრებზე ზღვაში განსაცდელში მყოფ პირთა აღმოჩენასთან დაკავშირებით მზარდ როლს თამაშობს ქმედითი თანამშრომლობის მენეჯმენტის ევროპული სააგენტო (Frontex), საერთაშორისო და ევროპის კავშირის სამართალში არ არსებობს ადეკვატური გარანტიები ადამიანის უფლებებსა და ვალდებულებებთან მიმართებაში, მათი ერთობლივი მოქმედების კონტექსტში.

5.5. და ბოლოს, საზღვაო ჩამოსვლა აკისრებს არაპროპორციულ წნეხს სახელმწიფოებს, რომლებიც მდებარეობს ევროპის კავშირის სამხრეთ საზღვრებზე. პასუხისმგებლობები და საერთო მიზნები მიგრაციის სფეროში ევროპის სახელმწიფოებს შორის მიღწეული არ არის.

6. სიტუაცია უფრო რთულდება იმ ფაქტის გამო რომ მოცემული საიმიგრაციო ტალღები შერეული ხასიათისაა და შესაბამისად მოითხოვენ სპეციალურ დაცვაზე ორიენტირებულ პასუხებს გადარჩენილთა სტატუსის შენარჩუნების თვალსაზრისით. იმისათვის რომ მოხდეს რეაგირება საზღვაო ჩამოსვლებზე ადეკვატურად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ეს საკითხი თავიანთი მიგრაციის მართვის პოლიტიკისა და საქმიანობის განხორციელებისას.

7. ასამბლეა ახსენებს წევრ ქვეყნებს მათ ვალდებულებებს, რომლებიც მათ ეკისრებათ საერთაშორისო სამართლით, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, 1982 წლის გაეროს საზღვაო სამართლის კონვენციითა და 1951 წლის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის კონვენციით და შეახსენებს ქვეყნებს ნონ-რეფოულემენტ-ის პრინციპს და თავშესაფრის მოთხოვნის უფლებას. ასამბლეა აგრეთვე იმეორებს წევრი სახელმწიფოების იმ ვალდებულებებს, რომლებიც გათვალისწინებულია 1974 წლის ზღვაში სიცოცხლის უსაფრთხოების შესახებ საერთაშორისო კონვენციითა და 1979 წლის საზღვაო ძებნისა და გადარჩენის შესახებ საერთაშორისო კონვენციით.

8. საბოლოოდ და ამ ყველაფერთან ერთად, ასამბლეა ახსენებს წევრ ქვეყნებს რომ მათ აქვთ როგორც მორალური ისე იურიდიული ვალდებულება აიყვანონ პირები, რომლებიც განსაცდელში არიან ზღვაზე ყოველგვარი დაყოვნების გარეშე და არაორაზროვნად იმეორებს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის განმარტებას, რომლის მიხედვით ნონ-რეფოულემენტ პრინციპი თანაბრად ვრცელდება ღია ზღვის შემთხვევაში. ღია ზღვა არ არის ტერიტორია სადაც სახელმწიფოები გათავისუფლებულნი არიან მათი სამართლებრივი ვალდებულებებისგან, მათ შორის იმ ვალდებულებებისგან, რომლებიც გამომდინარეობენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლიდან და ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლიდან.

9. შესაბამისად, ასამბლეა მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, როდესაც ისინი ახორციელებენ საზღვაო საზღვრის კონტროლის ოპერაციებს, უკანონოდ მოქალაქეთა გადაყვანის თუ ტრეფიკინგის პრევენციის მიზნებისათვის თუ

საზღვრის მენეჯმენტის გამო, იყვნენ მზად განახორციელონ დე ჯურე ან დე ფაქტო იურისდიქცია, რათა:

9.1. შეასრულონ ყოველთვის და გაჭიანურების გარეშე მათი ვალდებულებები ზღვაში განსაცდელში მყოფ ადამიანთა გადასარჩენად;

9.2. უზრუნველყონ რომ საზღვრის მენეჯმენტის პოლიტიკა და საქმიანობები, მოიცავდნენ მოძიების ღონისძიებებს, აღიარებდნენ ინდივიდების შერეულ მასებს, რომლებიც ცდილობენ გადაკვეთონ საზღვაო საზღვრები;

9.3. უზრუნველყოს ყველა აღმოჩენილი პირისათვის ადამიანური მოპყრობა და მათი უფლებების, მათ შორის ნონ-რეფოულემენტ პრინციპის, სისტემატური დაცვა მიუხედავად იმისა თუ რამდენად განხორციელდა სამაშველო ღონისძიებები მათ ტერიტორიულ წყლებში თუ სხვა ქვეყნის ად ჰოც ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში ან ღია ზღვაში;

9.4. თავი შეიკავონ ნებისმიერი პრაქტიკისაგან რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს პირის პირდაპირი ან არა პირდაპირი დაბრუნება, მათ შორის ღია ზღვაში, UNHCR-ის ამ პრინციპის ექსტრატერიტორიული განმარტების შესაბამისად და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად;

9.5. განახორციელოს პრიორიტეტული ღონისძიება გემიდან სწრაფი ჩამოსხმის “უსაფრთხო ადგილას” და განმარტოს “უსაფრთხო ადგილი” როგორც ადგილი, რომელმაც შეიძლება დააკმაყოფილოს ჩამოსხმული პირების პირველადი საჭიროებები და არც ერთ შემთხვევაში არ დააყენონ საფრთხის წინაშე მათი ფუნდამენტური უფლებები, რადგან ცნება “უსაფრთხო” გულისხმობს იმაზე მეტს ვიდრე ფიზიკური საფრთხისაგან დაცვა. სახელმწიფოებმა აგრეთვე უნდა გაითვალისწინონ ჩამოსხმის ადგილის განზომილება ფუნდამენტური უფლებების კუთხით;

9.6. მოახდინოს იმის უზრუნველყოფა, რომ იმ აღმოჩენილ პირებს ვინც საჭიროებენ საერთაშორისო დაცვას, ხელი მიუწვდებოდეთ თავშესაფრის პროცედურის სამართლიან და ეფექტიან სისტემაზე;

9.7. მოახდინოს იმის უზრუნველყოფა, რომ იმ აღმოჩენილ პირებს ვინც არიან ადამიანის ტრეფიკინგის მსხვერპლნი ან ექვემდებარებიან აღნიშნულ საფრთხეს, ხელი მიუწვდებოდეთ სამართლებრივ დაცვასა და დახმარებაზე;

9.8. უზრუნველყონ რომ აღმოჩენილ პირთა მოთავსება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში - ყოველთვის მცირეწლოვანთა და მოწყვლადი კატეგორიების ჩართვით - მათი სტატუსის მიუხედავად, ნებადართულია სასამართლო ორგანოების მიერ და ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ როდესაც ეს აუცილებელია და კანონით დადგენილი მიზნებით, არ არსებობს შესაბამისი ალტერნატივა და მოცემული მოთავსება შეესაბამება მინიმალურ სტანდარტებს და პრინციპებს როგორც ეს მოცემულია ასამბლეის 1707 (2010) რეზოლუციაში ევროპაში თავშესაფრის მაძიებელთა დაკავებისა და უკანონო მიგრანტების შესახებ;

9.9. შეაჩეროს ნებისმიერი ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც მათ შეიძლება გაფორმებული ჰქონდეთ მესამე სახელმწიფოსთან თუ გადარჩენილთა ადამიანის უფლებები, და მათ შორის თავშესაფრის პროცედურისადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ არის შესაბამისად დაცული მასში, და როდესაც ამან შეიძლება გამოიწვიოს *non-refoulement* პრინციპის დარღვევა და გააფორმოს ახალი ორმხრივი შეთანხმებები რომლებიც შეიცავენ ამ ადამიანის უფლებების გარანტიებს და ღონისძიებებს მათი მუდმივი და ეფექტიანი მონიტორინგისთვის;

9.10. ხელი მოაწეროს და რატიფიცირება გაუკეთოს, თუ მათ ეს ჯერ არ გაუკეთებიათ, ზემოაღნიშნულ შესაბამის საერთაშორისო აქტებს და მხედველობაში მიიღოს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) სახელმძღვანელო დოკუმენტი ზღვაში გადარჩენილ პირებთან მოპყრობის შესახებ;

9.11. ხელი მოაწეროს და რატიფიცირება გააკეთოს, თუ აქამდე არ მოუხდენია, ევროპის საბჭოს კონვენციას ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ (CETS No. 197) და ეგრეთწოდებულ „პალერმოს ოქმებს“ გაეროს კონვენციის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ (2000);

9.12. უზრუნველყოს რომ საზღვაო საზღვრის კონტროლის ოპერაციები და სასაზღვრო საკონტროლო ღონისძიებები ზეგავლენას არ მოახდენენ დაცვის იმ ღონისძიებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლით ისეთი მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორიცაა ლტოლვილები, მოქალაქეობის არ მქონე პირები, ქალები და მზრუნველობა მოკლებული ბავშვები, მიგრანტები, ტრეფიკინგის მსხვერპლები ან ტრეფიკინგის საფრთხის ქვეშ მყოფი პირები ან პირები, რომლებიც დაექვემდებარნენ წამებას და მიიღეს ტრავმა.

10. ასამბლეა შეშფოთებულია სიცხადის არ არსებობით ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოებისა და Frontex შესაბამისი ვალდებულებების კუთხით და შესაბამისი გარანტიების არ არსებობით ფუნდამენტური უფლებებისა და საერთაშორისო სტანდარტების კუთხით ამ სააგენტოს მიერ კოორდინირებული ერთობლივი ოპერაციების ფარგლებში. ასამბლეა მიესალმება ევროპის კომისიის მიერ წარმოდგენილ წინადადებებს რომელიც მიზნად ისახავს მოხდეს ცვლილებების შეტანა წესებში რომლებიც არეგულირებენ მოცემული სააგენტოს საქმიანობას, იმისათვის რომ მოხდეს ფუნდამენტურ უფლებათა სრული დაცვის გარანტიების გაძლიერება, იგი მიიჩნევს მათ არაადეკვატურად და სურს რომ ევროპის პარლამენტს მიენიჭოს დემოკრატიული კონტროლის უფლება ამ სააგენტოს საქმიანობაზე, კერძოდ იმ შემთხვევებში სადაც ფუნდამენტური უფლებების საკითხი დგება.

11. ასამბლეას აგრეთვე მიაჩნია აუცილებლად რომ მიღებულ იქნეს ღონისძიებები, რათა გამოსწორებულ იქნეს ძირითადი მიზეზები რომლებიც აიძულებენ უიმედოდ მყოფ პირებს თავისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ ჩააგდონ ევროპის მიმართულების მქონე გემებზე ასვლით. ასამბლეა

მოუწოდებს ყველა წევრ ქვეყანას უზრუნველყონ სიმშვიდის, კანონის უზენაესობის პოპულარიზაცია პოტენციური მიგრანტების და თავშესაფრის მამდიებელთა წარმოშობის ქვეყნებში.

12. ბოლოს, სანაპირო სახელმწიფოებისათვის არსებული სერიოზული გამოწვევების გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს ზღვის მეშვეობით უკანონო მიგრანტთა შერეულ მასებს, ასამბლეა მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, კერძოდ IMO-ს, UNHCR-ს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას (IOM), ევროპის საბჭოს და ევროპის კავშირს (მათ შორის Fრონტებ-ს და ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისს) რათა მათ:

12.1. უზრუნველყონ საჭირო დახმარებით აღნიშნული სახელმწიფოები სოლიდარობის პრინციპისა და პასუხისმგებლობების გაზიარების გათვალისწინებით;

12.2. IMO-ს ფარგლებში, გასწიონ კონკრეტული ზომები რათა უზრუნველყონ თანმიმდევრული და ჰარმონიული მიდგომა საერთაშორისო საზღვაო სამართლისადმი ინტერ ალია, ძირითადი ტერმინების და ნორმების დეფინიციაზე და შინაარსზე შეთანხმების გზით;

12.3. შექმნან უწყებათაშორისო ჯგუფი იმ მიზნით რომ შეისწავლონ და გადაწყვიტონ ძირითადი პრობლემები საზღვაო აღმოჩენის სფეროში, მათ შორის ხუთი პრობლემის რომლებიც იდენტიფიცირებულია მოცემულ რეზოლუციაში, პოლიტიკის ნათელი პრიორიტეტების დადგენით, სახელმწიფოებისთვის და სხვა შესაბამისი მონაწილეებისთვის ხელმძღვანელობის მიცემით და მოცემული საზღვაო აღმოჩენის ღონისძიებების მონიტორინგით და შეფასებით. ჯგუფი უნდა შედგებოდეს შემდეგი ორგანიზაციების წევრებისგან IMO, UNHCR, IOM, ევროპის საბჭო, და ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისი.“

F. ევროპის კავშირის სამართალი

1. ევროპის კავშირის ქარტია ფუნდამენტური უფლებების შესახებ (2000)

28. ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა შესახებ ქარტიის მე-19 მუხლის მიხედვით:

დაცვა გადაყვანის, გაძევების და ექსტრადიციის დროს

“1. კოლექტიური გაძევება აკრძალულია.

2. არავინ შეიძლება გაგდებულ, გაძევებულ ან ექსტრადირებულ იქნას სახელმწიფოში სადაც არსებობს იმის სერიოზული საფრთხე რომ ის შეიძლება დაექვემდებაროს სიკვდილით დასჯას, წამებას ან სხვა არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას.“

2. 1985 წლის შენგენის შეთანხმება

29. შენგენის შეთანხმების მე-17 მუხლის მიხედვით:

“პირთა გადაადგილებასთან დაკავშირებით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საერთო საზღვრების კონტროლის გაუქმება და ამ კონტროლის გადაწევა საგარეო საზღვრებთან. ამასთან მიმართებაში, მათ უნდა უზრუნველყონ წინასწარი ჰარმონიზაცია, სადაც ეს აუცილებელია, კანონებისა და ადმინისტრაციული დებულებების, რომლებიც ეხება აკრძალვებს და შეზღუდვებს რომლებიც ქმნიან კონტროლის საფუძველს და მიიღონ დამატებითი ღონისძიებები, რათა დაიცვან უსაფრთხოება და დაამარცხოთ იმ სახელმწიფოს მოქალაქეების უკანონო მიგრაცია, რომელიც არ არის ევროპის თანამეგობრობის წევრი.“

3. საბჭოს 2004 წლის 26 ოქტომბრის რეგულაცია (EC) # 2007/2004 ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საზღვრების სამოქმედო კოორდინაციის მართვის ევროპული სააგენტოს დაფუძნების შესახებ (FRONTEX)

30. რეგულაცია (EC) no. 2007/2004 შეიცავს შემდეგ დებულებებს:

“(1) ევროპის კავშირის საგარეო საზღვრების სფეროში არსებულ თანამეგობრობის პოლიტიკას მიზანია მოხდეს მართვის ინტეგრირება, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ და მაღალი დონის კონტროლს და ზედამხედველობას. ხსენებული იმის აუცილებელი წინაპირობაა, რომ ევროპის კავშირში მოხდეს პირთა თავისუფალი გადაადგილება და ასევე წარმოადგენს თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროს ფუნდამენტურ კომპონენტს. ამასთან დაკავშირებით, მოსალოდნელია საგარეო საზღვრების კონტროლისთვის სტანდარტებისა და პროცედურების საერთო წესების შექმნა.

(2) საერთო წესების ეფექტიანი იმპლემენტაცია მოითხოვს წევრ ქვეყნებს შორის სამოქმედო პოლიტიკის გაზრდილ კოორდინაციას

(3) საგარეო საზღვრების პრაქტიკოსების საერთო განყოფილების გამოცდილების გათვალისწინებით, რომლებიც საქმიანობენ საბჭოს ფარგლებში, სპეციალიზებული საგარეო ორგანოს ფუნქციებია წევრ ქვეყნებში ოპერაციული თანამშრომლობის კოორდინაციის გაუმჯობესება საგარეო საზღვრების მართვის კუთხით. ხსენებული ორგანო უნდა დაფუძნდეს ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საზღვრების ოპერაციული კოორდინაციის მართვის ევროპული სააგენტოს ფარგლებში (შემდგომში „სააგენტო“).

(4) საგარეო საზღვრების კონტროლისა და თვალთვალის ვალდებულება ეკუთვნით წევრ ქვეყნებს. სააგენტომ ფასილიტაცია უნდა მოახდინოს არსებული და მომავალი თანამეგობრობის ღონისძიებების რომლებიც დაკავშირებულია საგარეო საზღვრების მენეჯმენტთან, იმის უზრუნველყოფით რომ მოხდება წევრი ქვეყნების მოქმედებების კოორდინაცია ამ ღონისძიებების იმპლემენტაციის დროს.

(5) საგარეო საზღვრების ეფექტიანი კონტროლი და ზედამხედველობა არის განსაკუთრებული ინტერესის საგანი წევრი ქვეყნებისათვის მიუხედავად მათი გეოგრაფიული მდებარეობისა. შესაბამისად, წევრ ქვეყნებს შორის არსებობს საგარეო საზღვრების მართვის სფეროში სოლიდარობის მხარდაჭერის საჭიროება. სააგენტოს დაფუძნება, რომელიც ეხმარება წევრ ქვეყნებს საგარეო საზღვრის მართვის ოპერაციული ასპექტების იმპლემენტაციაში, მათ შორის მესამე ქვეყნის მოქალაქეების უკან დაბრუნების კუთხით, რომლებიც უკანონოდ იმყოფებიან წევრ ქვეყნებში, წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ამ მიმართულებით.“

4. ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2006 წლის 15 მარტის რეგულაცია (EC) no. 562/2006 რომელიც აფუძნებს თანამეგობრობის წესების კოდექსს, რომლებიც არეგულირებენ პირთა გადაადგილებას საზღვრებზე (შენგენის საზღვრების კოდექსი)

31. რეგულაციის (EC) no. 562/2006 მე-3 მუხლის მიხედვით:

“მოცემული რეგულაცია უნდა ეხებოდეს ნებისმიერ პირს რომელიც კვეთავს წევრი სახელმწიფოების შიდა თუ გარე საზღვრებს, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე:

(ა) იმ პირთა უფლებები, რომლებიც სარგებლობენ თანამეგობრობის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლებით;

(ბ) ლტოლვილთა და იმათი უფლებები, რომლებიც ითხოვენ საერთაშორისო დაცვას, კერძოდ *non-refoulement* -თან მიმართებაში.”

5. საბჭოს 2010 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, რომელიც თან ერთვის შენგენის სასაზღვრო კოდექსს საზღვაო საგარეო საზღვრების ზედამხედველობის თვალსაზრისით, ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების მიერ საგარეო საზღვრებზე ოპერაციული თანამშრომლობის მართვის ევროპული სააგენტოს მიერ კოორდინირებული ოპერაციული თანამშრომლობის კონტექსტში (2010/252/EU).

32. 2010 წლის 26 აპრილის საბჭოს გადაწყვეტილების დანართის მიხედვით:

“საზღვაო საზღვრის ფუნქციონირების წესები კოორდინირებული სააგენტოს მიერ [FRONTEX]

1. ზოგადი პრინციპები

1.1. ღონისძიებები რომლებიც მიღებულია თვალთვალის ოპერაციის მიზნებისთვის უნდა განხორციელდეს ფუნდამენტური უფლებების შესაბამისად და იმ გზით, რაც არ აყენებს საფრთხის ქვეშ აღმოჩენილ ან გადარჩენილ პირებს, მათ შორის მონაწილე ჯგუფებს.

1.2. არავინ შეიძლება ჩამოსმულ იქნეს ან სხვაგვარად გადაეცეს ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებს დარღვევით. ასევე დაუშვებელია პირის ჩამოსმა ისეთ ქვეყანაში საიდანაც არსებობს non-refoulement პრინციპის დარღვევით გამკაცრების ან სხვა ქვეყანაში დაბრუნების საფრთხე. 1.1. პუნქტში მოცემული დებულებების გათვალისწინებით, აღმოჩენილი ან გადარჩენილი პირები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი მათთვის გასაგები მეთოდებით, ისე რომ მათ მიეცეთ საშუალება გამოხატონ ნებისმიერი მიზეზები იმის თაობაზე რომ ჩამოსმა შემოთავაზებულ ადგილას დაარღვევს non-refoulement პრინციპს.

1.3. ბავშვის, ტრეფიკინგის მსხვერპლების, სასწრაფო სამედიცინო საჭიროების მქონე პირების, საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირებისა და კონკრეტულ მოწყვლად სიტუაციაში მყოფი სხვა პირების სპეციალური საჭიროებები უნდა იქნეს განხილული ყველა ოპერაციაში.

1.4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ სასაზღვრო დაცვის სამსახურების წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობენ თვალთვალის ოპერაციებში გაწვრთნილები არიან ადამიანის უფლებათა და ლტოლვილთა სამართლის შესაბამის დებულებებში და იცნობენ ძეზნისა და გადარჩენის საერთაშორისო რეჟიმს.“

IV. საერთაშორისო მასალები ღია ზღვაში აღმოჩენის ოპერაციებთან დაკავშირებით რომლებიც განხორციელდა იტალიის მიერ და სიტუაცია ლიბიაში.

A. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის პრესს რელიზი

33. 2009 წლის 7 მაისს UNHCR-მა გამოაქვეყნა შემდეგი პრეს რელიზი:

“ზუთშაბათს UNHCR-მა გამოხატა ღრმა შეშფოთება 230 პირის ბედთან დაკავშირებით, რომლებიც გადარჩენილი იყვნენ ოთხშაბათს იტალიის საპატრულო გემების მიერ მალტის ძეზნისა და გადარჩენის რეგიონში (SAR) და გაგზავნილ იქნენ უკან ლიბიაში მათი შესაძლო დაცვის საჭიროებების სათანადო შესწავლის გარეშე. გადარჩენა მოხდა სადღაც 35 საზღვაო მილის დაშორებით იტალიური კუნძულის ლამპედუსას სამხრეთ აღმოსავლეთში, მაგრამ მალტის და SAR ზონას შორის.

პირების ლიბიაში უკან გაგზავნას მოყვა ერთ დღიანი აქტიური დისკუსია მალტისა და იტალიის ხელისუფლებებს შორის იმის თაობაზე თუ ვინ იყო ვალდებული ამ პირთა გადარჩენისა და სამ გემზე გადაყვანის თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა რომ ისინი იყვნენ ლამპედუსას ახლოს, გემები იყვნენ მალტის ძებნისა და გადარჩენის ვალდებულების არეალში.

მიუხედავად იმისა რომ არ არსებობს ინფორმაცია გემზე მყოფ პირთა მოქალაქეობის შესახებ, არსებობს იმის ალბათობა რომ მათ შორის იყვნენ პირები საერთაშორისო დაცვის საჭიროებით. 2008 წელს, დაახლოებით საზღვაო გზით შემოსული დაახლოებით 75 პირიდან, რომლებმაც იტალიას მოსთხოვეს თავშესაფრის მინიჭება, მათგან 50 პროცენტს მიენიჭა გარკვეული სახის დაცვა.

„მე მივმართავ იტალიისა და მალტის ხელისუფლებას რათა მათ განაგრძონ იმის უზრუნველყოფა რომ პირები, რომელთა გადარჩენა მოხდება ზღვაზე და აქვთ საერთაშორისო დაცვის საჭიროება მიიღონ სრული ხელმისაწვდომობა ტერიტორიაზე და თავშესაფრის პროცედურებზე,“ აღნიშნა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა ანტონიო გუტიერესმა.

მოცემული ინციდენტი წარმოადგენდა მნიშვნელოვან ცვლილებას იტალიის მთავრობის პოლიტიკაში და გამოიწვია სერიოზული შეშფოთება. UNHCR გამოხატავს ღრმა მწუხარებას გამჭირვალობის არ არსებობის გამო რაც ახასიათებდა ამ მოვლენებს.

“ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ იტალიის ხელისუფლებასთან ლამედუსაში და სხვაგან, რათა უზრუნველეთ, რომ პირები რომლებიც გამოექცნენ ომსა და დევნას დაცულები იყვნენ 1951 წლის ქენევის კონვენციის შესაბამისად,“ აღნიშნა რაურენს ჯოლესმა, UNHCR-ის წარმომადგენელმა რომში. „ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია რომ ნონ-რეფოულემენტ საერთაშორისო პრინციპი სრულად იქნეს დაცული.“

ამასთან ერთად, ლიბიას არ მოუწერია ხელი 1951 წლის გაეროს ლტოლვილთა კონვენციისთვის და არ აქვს მოქმედი ეროვნული თავშესაფრის სისტემა. UNHCR მოუწოდებს იტალიის ხელისუფლების ორგანოებს ხელახლა შეაფასონ თავიანთი გადაწყვეტილება და აღარ განახორციელონ ანალოგიური ღონისძიებები”

B. ბ-ნი ჟაკ ბაროტის, ევროპის კომისიის ვიცე პრეზიდენტის, 2009 წლის 15 ივლისის წერილი.

34. 2009 წლის 15 ივლის ბ-ნმა ჟაკ ბაროტმა მიწერა ევროპის პარლამენტის სამოქალაქო თავისუფლებების, მართლმსაჯულების და საშინაო საკითხების კომიტეტის პრეზიდენტს იურიდიული მოსაზრების მოთხოვნის საპასუხოდ რაც შეეხებოდა „იტალიის ხელისუფლების მიერ მიგრანტთა ცალკეული ჯგუფების ზღვით ლიბიაში დაბრუნებას.“ მოცემულ წერილში ევროპის კომისიის ვიცე პრეზიდენტმა აღნიშნა შემდეგი:

„კომისიის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე აღნიშნული მიგრანტები აღმოჩენილ იყვნენ ღია ზღვაში.

თანამეგობრობის ორი წყება წესები უნდა იქნეს განხილული მესამე ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეების არმქონე პირების მცდელობასთან დაკავშირებით რომ შემოვიდნენ, უკანონოდ წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე, რომელთაგან რიგი შეიძლება საჭიროებდეს საერთაშორისო დაცვას.

უპირველესყოვლისა, თანამეგობრობის *acquis* თავშესაფრის სფეროში ითვალისწინებდა დაეცვა თავშესაფრის უფლება, როგორც ეს გათვალისწინებულია ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-18 მუხლით და 1951 წლის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის კონვენციისა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

ამასთან ერთად, მოცემული აცქუსი, მათ შორის 2005 წლის თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივა ვრცელდება თავშესაფრის განაცხადებზე, რომლებიც წარდგენილია წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს საზღვრებს, ტრანზიტულ ტერიტორიებს და საზღვაო საზღვრების კონტექსტში, წევრი ქვეყნების ტერიტორიულ წყლებს. შესაბამისად, ნათელია რომ სამართლებრივი თვალსაზრისით თანამეგობრობის *acquis* თავშესაფრის სფეროში არ ვრცელდება ღია ზღვაში არსებულ სიტუაციებზე.

მეორეს მხრივ, შენგენის საზღვრების კოდექსი (SBC) მოითხოვს რომ წევრმა სახელმწიფოებმა განახორციელონ საზღვრის ზედამხედველობა რათა თავიდან აიცილონ, *inter alia*, საზღვრის უკანონო გადაკვეთები (EC რეგულაციის no. 562/2006 (SBC) მე-12 მუხლი). ამასთან ერთად, თანამეგობრობის ვალდებულება უნდა შესრულდეს ნონ-რეფოულემენტ-ის პრინციპის დაცვით და ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის მქონე სხვა პირთა უფლებების დარღვევის გარეშე.

კომისიის მოსაზრებით საზღვრის ზედამხედველობის საქმიანობები, რომელიც ხორციელდება ზღვაში, როგორც ტერიტორიულ წყლებში, ისე მიმდებარე ზონაში, ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონაში ან ღია ზღვაზე ექცევა SBC გამოყენების ფარგლებში. ამასთან კავშირში, ჩვენი პირველადი სამართლებრივი ანალიზი მიუთითებს რომ იტალიის საზღვრის დაცვის წარმომადგენლების საქმიანობა შეესაბამებოდა „საზღვრის ზედამხედველობის“ მოთხოვნებს, როგორც ეს მოცემულია SBC-ს მე-12 მუხლში, რადგან მათ ხელი შეუშალეს საგარეო საზღვაო საზღვრის უკანონო გადაკვეთას შესაბამისი პირების მხრიდან, რამაც გამოიწვია მათი დაბრუნება წარმოშობის მესამე ქვეყანაში.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, თანამეგობრობის ვალდებულებები უნდა იქნეს გამოყენებული იმ ფუნდამენტურ უფლებებთან მკაცრ შესაბამისობაში, რომლებიც ქმნიან თანამეგობრობის სამართლის ზოგად პრინციპებს. სასამართლომ აგრეთვე დააზუსტა, რომ ამ უფლებების მოქმედების ფარგლები თანამეგობრობის

სამართლებრივ სისტემაში უნდა განისაზღვროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მხედველობაში მიღების გზით.

non-refoulement პრინციპი, როგორც ეს განმარტებულია ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა კონვენციით, კონკრეტულად გულისხმობს, რომ სახელმწიფოებმა უნდა შეიკავონ თავი პირთა უკან დაბრუნებაზე (პირდაპირ თუ არაპირდაპირ) იმ ადგილას, სადაც მას შეიძლება დაემუქროს წამების ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის რეალური საფრთხე.

ამასთან ერთად, სახელმწიფოებს არ შეუძლიათ დააბრუნონ ლტოლვილები უკან იმ ტერიტორიებზე, სადაც მათ სიცოცხლეს ან თავისუფლებას შეიძლება დაემუქროს საფრთხე რასის, რელიგიის, ეთნიკურობის, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებისა თუ პოლიტიკური მოსაზრების გამო. აღნიშნული ვალდებულება უნდა შესრულდეს როდესაც ხორციელდება ნებისმიერი საზღვრის დაცვის კონტროლი SBC შესაბამისად, მათ შორის საზღვრის ზედამხედველობის საქმიანობა ღია ზღვაში. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპის კონვენციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით აღნიშნული აქტები, რომლებიც ხორციელდება ღია ზღვაში სახელმწიფო გამების მიერ წარმოადგენს ექსტრატერიტორიულ იურისდიქციას და შეიძლება გამოიწვიოს შესაბამისი სახელმწიფოს პასუხისმგებლობა.

ზემოაღნიშნული თანამეგობრობის იურისდიქციის გათვალისწინებით, კომისიამ მიმართა იტალიის ხელისუფლებას წარმოედგინა დამატებითი ინფორმაცია კონკრეტულ მოვლენებთან დაკავშირებით შესაბამისი პირების ლიბიაში დაბრუნებასთან დაკავშირებით და იმ დებულებების შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა *non-refoulement* პრინციპთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, როდესაც ხორციელდება ამ ორ ქვეყანას შორის ორმხრივი ხელშეკრულებების აღსრულება.“

C. წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის ანგარიში

35. 2009 წლის 27 ივლისიდან 31 ივლისამდე იტალიას ეწვია წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს კომიტეტი (CPT). ამ ვიზიტის დროს დელეგაციამ შეამოწმა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც წარმოიშვა მთავრობის მიერ გახორციელებული ახალი პოლიტიკის შედეგად და რომლის თანახმადაც ხორციელდებოდა იმ მიგრანტების, რომლებიც უახლოვდებოდნენ იტალიას მის სამხრეთის საზღვაო საზღვარზე, ზღვაში აღმოჩენა და ლიბიაში უკან დაბრუნება. კერძოდ, დელეგაციამ ყურადღება გაამახვილა დაცვის სისტემებზე რომლებიც შემოღებულია რათა უზრუნველყოფილ იყოს, რომ არავინ იქნება გაგზავნილი იმ ქვეყანაში სადაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ისინი გახდებიან წამების მსხვერპლნი.

36. მის ანგარიშში, რომელიც გამოქვეყნდა 2010 წლის 28 აპრილს, CPT გამოხატა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც იტალიის პოლიტიკა, რომელიც გულისხმობდა მიგრანტების ზღვაში აღმოჩენასა და მათთვის ვალდებულების დაკისრებას, რომ დაბრუნდნენ ლიბიაში ან სხვა არაევროპულ ქვეყანაში, არღვევდა *non-refoulement* პრინციპს. კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს რომ იტალია ვალდებული იყო დაეცვა *non-refoulement* პრინციპი, როცა ის ახორციელებდა მის იურისდიქციას, რაც მოიცავდა მისი პერსონალისა და გემების ჩართვას საზღვრის დაცვის ან ზღვაზე გადარჩენის პროცესში, მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ოპერაცია ხორციელდებოდა მისი ტერიტორიის გარეთ. მეტიც, ყველა პირს, რომელიც ექცევა იტალიის იურისდიქციის ქვეშ უნდა მიეცეს საშუალება და შესაძლებლობა მოითხოვოს საერთაშორისო დაცვა. CPT –ს ხელთ არსებული ინფორმაცია მიუთითებს რომ ასეთი შესაძლებლობა და საშუალებები არ იყო მიცემული ზღვაში აღმოჩენილი მიგრანტებისთვის იტალიის ხელისუფლების ორგანოების მხრიდან განსახილველ პერიოდში. ამის საწინააღმდეგოდ, პირებს რომლებიც მიაბრუნეს ლიბიაში, იმ ოპერაციებისას, რომლებიც განხორციელდა 2009 წლის მაისიდან ივლისის ჩათვლით, ჩამოერთვათ უფლება მიეღოთ მათი საქმეების ინდივიდუალური ანალიზი და ეფექტიანი ხელმისაწვდომობა ლტოლვილთა დაცვის სისტემაზე. ამასთან კავშირში, CPT–მ აღნიშნა, რომ პირები რომლებიც გადარჩინეს საზღვაო მგზავრობიდან იყვნენ განსაკუთრებულად მოწყვლადი და ხშირად არ იყვნენ ისეთ მდგომარეობაში, რომელიც მისცემდა მათ საშუალებას დაუყოვნებლივ განეცხადებინათ მათი სურვილის შესახებ მიეღოთ თავშესაფარი.

CPT ანგარიშის მიხედვით, ლიბია არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც უსაფრთხო ქვეყანა ადამიანის უფლებათა და ლტოლვილთა სამართლის მიხედვით; ლიბიაში დაპატიმრებულ და დაკავებულ პირთა მდგომარეობა, მათ შორის ამ მიგრანტების - ვინც აგრეთვე დაექვემდებარნენ სხვა ქვეყანაში დეპორტაციას - მიუთითებდა რომ ის პირები, რომელთა დაბრუნება მოხდა ლიბიაში, მოექცნენ არაადამიანური მოპყრობის საფრთხის ქვეშ.

D. Human Rights Watch -ის ანგარიში

37. მოცულობით ანგარიშში, რომელიც გამოცემულ იქნა 2009 წლის 21 სექტემბერს და დასათაურებული იყო როგორც „უკან დაბრუნებული, სხვაგან გაგდებული: იტალიის მიერ გემის მიგრანტების და თავშესაფრის მაძიებლის ძალით დაბრუნება, ლიბიის მიერ მიგრანტების და თავშესაფრის მაძიებელთა არაადამიანური მოპყრობა“, Human Rights Watch –მა დაგმო იტალიის პრაქტიკა, რომლის თანახმადაც ხდებოდა ღია ზღვაში მიგრანტებით სავსე გემების აღმოჩენა და მათი უკან ლიბიაში დაბრუნება იქ არსებული რეალური საფრთხის გადამოწმების გარეშე. მოცემული ანგარიში აგრეთვე ეფუძნებოდა კვლევის შედეგებს რომლებიც გამოქვეყნდა 2006 წლის ანგარიშში სახელად

„ლიბია, ნაკადის წარმომშობი. მიგრანტების, თავშესაფრის მაძიებლების და ლტოლვილების შეურაცხყოფა.“

38. Human Rights Watch -ის მიხედვით, იტალიის საპატრულო გემებმა ბუქსირით გაიყვანეს მიგრანტთა გემები საერთაშორისო წყლებიდან იმის დადგენის გარეშე თუ რამდენად იყო ზოგიერთი მათგანი ლტოლვილი, ავადმყოფი ან დაშავებული პირი, ფეხმძიმე, მზრუნველობის გარეშე ბავშვი ან ტრეფიკინგის ან სხვა ფორმის ძალადობის მსხვერპლი. იტალიის ხელისუფლების ორგანოებმა აიძულეს მიგრანტები ასულიყვნენ ლიბიის გემებზე ან პირდაპირ წაიყვანეს ლიბიაში, სადაც ხელისუფლების ორგანოებმა დაუყოვნებლივ დააკავეს ისინი. ზოგიერთი ოპერაცია კოორდინირებულ იქნა FRONTEX-ის მიერ.

ანგარიში დაეფუძნა 91 მიგრანტთან ჩატარებულ ინტერვიუს, რომლებიც იყვნენ თავშესაფრის მაძიებლები და ლტოლვილები იტალიასა და მალტაში. ინტერვიუები ძირითადად ჩატარდა 2009 წლის მაისში. ინფორმაცია იქნა მოპოვებული ასევე ლიბიაში დაკავებულ მიგრანტთან განხორციელებული სატელეფონო ინტერვიუს შედეგად. Human Rights Watch -ის წარმომადგენლები ეწვივნენ ლიბიას აპრილში და შეხვდნენ მთავრობის წარმომადგენლებს, მაგრამ ლიბიის ხელისუფლების ორგანოებმა არ დართეს უფლება ორგანიზაციას ინტერვიუ ჩატარებინათ მიგრანტებთან განცალკევებულად. მეტიც, მიუხედავად განმეორებადი მოთხოვნისა ხელისუფლების ორგანოებმა არ მისცეს უფლება Human Rights Watch -ს მოენახულებინა რომელიმე დაკავების ცენტრი ლიბიაში, რომელშიც მრავალი მიგრანტი იმყოფებოდა.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს ახლა აქვს ხელმისაწვდომობა მისტრატას ციხეზე, სადაც უკანონო მიგრანტები ყავთ და სადაც ლიბიელი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ჰუმანიტარულ მომსახურებას. მიუხედავად ამისა, არ არსებობს ფორმალური შეთანხმება და შესაბამისად ხელმისაწვდომობის არანაირი გარანტია. მეტიც, ლიბიას არა აქვს თავშესაფრის კანონი. ხელისუფლების ორგანოები არ ასხვავებენ ლტოლვილებს, თავშესაფრის მაძიებლებს და სხვა უკანონო მიგრანტებს.

39. Human Rights Watch-მა მოითხოვა ლიბიის ხელისუფლებისგან გაეუმჯობესებინა მძიმე პირობები დაკავების ადგილებში ლიბიაში და შეექმნა თავშესაფრის პროცედურები, რომლებიც შესაბამისი იქნებოდა ლტოლვილთა საერთაშორისო სტანდარტებთან. მან ასევე მოუწოდა იტალიის მთავრობას, ევროპის კავშირს და FRONTEX უზრუნველყო თავშესაფრისადმი ხელმისაწვდომობა, მათ შორის მათთვის ვისი აღმოჩენაც მოხდა ღია ზღვაში და თავი შეეკავებინათ არა ლიბიელების დაბრუნებისაგან ლიბიაში მანამ, სანამ მიგრანტების, თავშესაფრის მაძიებლების და ლტოლვილების მიმართ მოპყრობა სრულად არ იქნებოდა შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან.

E. Amnesty International -ის ვიზიტი

40. Amnesty International-ის ჯგუფმა განახორციელა ფაქტების შემსწავლელი ვიზიტი ლიბიაში 2009 წლის 15 დან 23 მაისის ჩათვლით, პირველი ასეთი ვიზიტი ქვეყანაში რომელიც ხელისუფლებამ დაუშვა 2004 წლიდან.

ამ ვიზიტის დროს, Amnesty International ეწვია მისტრატას დაკავების ცენტრს, რომელიც მდებარეობს 200 კილომეტრში ტრიპოლიდან, სადაც რამდენიმე ასეული უკანონო მიგრანტი იმყოფება სხვა აფრიკული ქვეყნიდან საკმაოდ გადატვირთულ პირობებში და მოკლე ინტერვიუები ჩამოართვა იქ მყოფ რამდენიმე პირს. ბევრნი დაკავებულ იყვნენ მას შემდეგ რაც მოხდა მათი აღმოჩენა, როდესაც ისინი ცდილობდნენ მიეღწიათ იტალიის ან სხვა ქვეყნების სანაპიროებისათვის სამხრეთ ევროპაში.

41. Amnesty International შესაძლებლად მიიჩნევს რომ მისტრატას დაკავებულები შეიძლება იყვნენ ლტოლვილები, რომლებიც გაურბიან დევნას და სტრესს და იმის გათვალისწინებით რომ ლიბიას არ აქვს თავშესაფრის პროცედურა და არ არის ლტოლვილთა კონვენციისა და მისი 1967 წლის ოქმის მონაწილე, უცხოელებმა, მათ შორის იმათმა ვისაც ესაჭიროებათ საერთაშორისო დაცვა, შეიძლება აღმოაჩინონ საკუთარი თავი სამართლებრივი დაცვის გარეშე. არ იყო აგრეთვე საჩივრების წარდგენის არანაირი შესაძლებლობა დაკავებულთათვის წამებასთან და სხვა არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებით კომპეტენტურ სასამართლო ორგანოებში.

ლიბიის მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს, Amnesty International –მა გამოხატა შეშფოთება დაკავებასთან დაკავშირებით და სავარაუდო არაადამიანურ მოპყრობასთან მიმართებაში ასობით, სავარაუდოდ ათასობით უცხოელი მოქალაქის, რომლებსაც ხელისუფლების ორგანოები მიიჩნევდნენ უკანონო მიგრანტებად და მოუწოდა მიეღო შესაბამისი პროცედურები თავშესაფრის მაძიებელ პირთა და ლტოლვილთა იდენტიფიცირებისათვის და მათთვის შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფისათვის. საერთაშორისო ამნისტიამ აგრეთვე მოუწოდა ლიბიის ხელისუფლების ორგანოებს შეეწყვიტათ უცხოელ მოქალაქეთა უკან დაბრუნება იმ ქვეყნებში სადაც ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ ადამიანის უფლებების დარღვევის საფრთხის ქვეშ და ეპოვნათ თავისუფლების აღკვეთასთან შედარებით უკეთესი ალტერნატივა იმ უცხოელებისთვის რომელთა დაბრუნება ვერ მოხერხდა მათი წარმოშობის ქვეყანაში ამ მიზეზით. ერიტრეის ზოგიერთმა მოქალაქემ რომლებიც წარმოდგენდნენ გარკვეულ რაოდენობას იმ უცხოელ მოქალაქეთა შორის, რომელთა დაკავება მოხდა მისტრატაში, Amnesty International -ს განუცხადეს, რომ ისინი იქ ამყოფეს ორი წლით.

V. სხვა საერთაშორისო მასალები რომლებიც ასახავს სიტუაციას ლიბიაში

42. ზემოთ მითითებულის გარდა, რამდენიმე ანგარიში იქნა გამოცემული ეროვნული, საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, ლიბიაში უკანონო მიგრანტთა დაკავებისა და ცხოვრების პირობების დაგმოვის თაობაზე.

უმთავრესი ანგარიშებია:

- (i) Human Rights Watch “ტალღის წარმოშობა: მიგრანტების, თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა შეურაცხყოფა,” სექტემბერი 2006;
- (ii) გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, “დასკვნითი მოსაზრებები. ლიბიის არაბული სამეფო,” 15 ნოემბერი 2007;
- (iii) Amnesty International, “ლიბია - საერთაშორისო ამნისტიის ანგარიში 2008,” 28 მაისი 2008;
- (IV) Human Rights Watch, “უფლებები საფრთხის ქვეშ ლიბიაში,” 2 სექტემბერი 2008;
- (v) აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, “2010 წლის ადამიანის უფლებათა ანგარიში: ლიბია,” 4 აპრილი 2010.

VI. საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც ასახავს სიტუაციას სომალისა და ერიტრეაში

43. ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტები სომალიში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა საქმეში Sufi and Elmi v. the United Kingdom (nos. 8319/07 და 11449/07, §§ 80-195, 28 ივნისი 2011).

44. რიგი ანგარიშები გმოვენ ადამიანის უფლებების დარღვევას რომელსაც ადგილი აქვს ერიტრეაში. ისინი დეტალურად ასახავენ ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევებს ერიტრეის მთავრობის მიერ, კერძოდ როგორებიც არის თვითნებური დაპატიმრებები, წამება, პატიმრობის არაადამიანური პირობები, იძულებითი შრომა და სერიოზული შეზღუდვები გადაადგილების, გამოხატვის და რელიგიის თავისუფლებაზე. აღნიშნული დოკუმენტები აგრეთვე აანალიზებენ იმ ერიტრეელების რთულ სიტუაციას, ვინც მოახერხეს გაქცეულიყვნენ სხვა ქვეყნებში, როგორიცაა ლიბია, სუდანი, ეგვიპტე და იტალია და შემდგომში იძულებით რეპატრირებულნი იქნენ.

მნიშვნელოვანი ანგარიშებია:

- (i) UNHCR, “დასაშვებობის მითითებები ერიტრეადან თავშესაფრის მაძიებელ პირთა საერთაშორისო დაცვის საჭიროებებთან მიმართებაში”, 2009 წლის აპრილი;
- (ii) Amnesty International, “ერიტრეა - Amnesty International – ის ანგარიში 2009,” 28 მაისი 2009;

- (iii) Human Rights Watch “სერვისი სიცოცხლისთვის, სახელმწიფო რეპრესიები და უვადო გაწვევა ერიტრეაში”, აპრილი 2009;
- (IV) Human Rights Watch, “ლიბია, არ გააგაზავნო ერეიტროელები უკან წამების საფრთხის ქვეშ”, 15 იანვარი 2010;
- (V) Human Rights Watch, “მსოფლიო ანგარიში”, იანვარი 2010.

სამართალი

I. მთავრობის პირველადი პრეტენზიები

A. ადვოკატის უფლებამოსილების ნამდვილობა და საჩივრის შემდგომი განხილვა

1. მთავრობის მიერ წამოყენებული საკითხები

45. მთავრობამ სადავო გახადა ადვოკატის რწმუნებულების სანდოობა რამდენიმე ასპექტში, რომელიც წარმოდგენილ იქნა მომჩივნების წარმომადგენლების მიერ. პირველ რიგში, მთავრობამ აღნიშნა, რომ უმრავლესობა ადვოკატთა რწმუნებები შეიცავდნენ ფორმალურ ხარვეზებს, კერძოდ:

- (i) კონკრეტიკა თარიღის და ადგილის შესახებ და ზოგიერთ შემთხვევებში, ფაქტი იმის თაობაზე რომ მოცემული თარიღი და ადგილი როგორც ჩანს დაწერილი იყო ერთი და იგივე პირის მიერ;
- (ii) არანაირი მითითება საჩივრის ნომერზე;
- (iii) ფაქტი რომ მომჩივნის იდენტობა მარტოდენ მითითებულ იქნა მხოლოდ გვარის, სახელის, მოქალაქეობის, სავარაუდო ხელმოწერის და თითის ანაბეჭდის გზით, რომელიც ხშირ შემთხვევაში იყო ნაწილობრივი და რთულად გასარჩევი;

(IV) არანაირი დეტალები მომჩივნის დაბადების თარიღთან დაკავშირებით.

46. მთავრობამ შემდგომში განაცხადა რომ საჩივარი არ შეიცავდა რაიმე ინფორმაციას იმ ვითარების შესახებ, რომელშიც ადვოკატის რწმუნება გაფორმდა, შესაბამისად ხსენებული წარმომადგენელი ეჭვს რწმუნებულები ნამდვილობასთან დაკავშირებით, აგრეთვე საჩივარი არ მოიცავდა იმ ნაბიჯების აღწერილობას, რომლებიც გადადგა ადვოკატმა მისი კლიენტების იდენტობის დასადგენად. მთავრობა აგრეთვე სადაოს ხდიდა მომჩივნებსა და მათ წარმომადგენლებს შორის არსებული კონტაქტის ხარისხს. კერძოდ მთავრობა აცხადებდა რომ ელექტრონული წერილები რომლებიც იგზავნებოდა მომჩივნების მიერ მათი ლიბიაში გადაყვანის შემდეგ არ

შეიცავდა ხელმოწერებს, რომლებიც შეიძლება შეედარებინათ რწმუნებაზე მითითებულ ხელმოწერებთან. მთავრობის მოსაზრებით, პრობლემები, რომლებსაც წააწყდნენ ადვოკატები მომჩივნებთან კონტაქტის დამყარებისა და შენარჩუნების თვალსაზრისით, წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს საქმის შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრნობით განხილვისათვის.

47. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რადგან შეუძლებელი იყო მომჩივნების იდენტიფიცირება და რადგან მომჩივნები არ „მონაწილეობდნენ პირადად“, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის განხილვა. *Hussun and Others v. Italy*, (nos. 10171/05, 10601/05, 11593/05 და 17165/05, 19 იანვარი 2010) საქმეზე მითითებით მთავრობამ მოითხოვა რომ სასამართლოს ამოეღო მოცემული საქმე განსახილველ საქმეთა სიიდან.

2. მომჩივანთა არგუმენტები

48. მომჩივნის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ რომ რწმუნებულებები იყო ავთენტური. მათ უპირველეს ყოვლისა აღნიშნეს რომ მთავრობის მიერ ნავარაუდები ფორმალური ხარვეზები არ იყო იმ სახის რომ გამოეწვია მათი ბათილად გამოცხადება.

49. რაც შეეხება იმ ვითარებას, რა ვითარებაშიც მოხდა მოცემული რწმუნებულებების გაცემა, ისინი ამტკიცებდნენ რომ რწმუნებულებები მომზადებულ იქნა მომჩივნების მიერ მათი ლიბიაში ჩასვლის შემდეგ ჰუმანიტარული ორგანიზაციების დახმარებით, რომლებიც საქმიანობენ სხვადასხვა დაკავების ცენტრში. შედეგად ამ ორგანიზაციებმა თავის თავზე აიღეს მომჩივნების წარმომადგენლებთან კონტაქტი და რწმუნებულებების მათთვის გაგზავნა ხელმოსაწერად.

50. ისინი აცხადებდნენ რომ პირების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული პრობლემები სწორედაც რომ წარმოადგენდა წარდგენილი საჩივრის ძირითად ასპექტს, სახელდობრ კი საჩივარი ეხებოდა პირთა კოლექტიურ უკან დაბრუნებას, როდესაც არანაირი ნაბიჯების გადადგმა არ განხორციელებულა მანამდე უკანონო მიგრანტების იდენტიფიცირებისთვის. საქმის გარემოებების მიუხედავად, ადვოკატები სასამართლოს ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ მომჩივნების მნიშვნელოვანი რაოდენობა იდენტიფიცირებულ იქნა UNHCR ტრიპოლის ოფისის მიერ მათი ლიბიაში ჩასვლის შემდეგ.

51. და ბოლოს, ადვოკატები აცხადებდნენ რომ მათ კვლავაც გააგრძელებს კომუნიკაცია ზოგიერთ მომჩივანთან, რომლებთან დაკავშირებაც შესაძლებელი იყო ტელეფონის და ელ-ფოსტის საშუალებით. მათ აღნიშნეს იმ სერიოზული სირთულეების შესახებ, რომლებსაც ისინი აწყდებიან მომჩივნებთან კონტაქტის შესანარჩუნებლად, კერძოდ ლიბიაში 2011 წლის თებერვლიდან გავრცელებული ძალადობის გამო.

3. სასამართლოს შეფასება

52. უპირველეს ყოვლისა სასამართლო იმეორებს რომ მომჩივნის წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს „რწმუნება ან წერილობითი დოკუმენტი, რომელიც იძლევა საფუძველს მოქმედებისთვის“ (სასამართლოს რეგლამენტის 45-ე მუხლის მე-3 ნაწილი). შესაბამისად, მარტივი წერილობითი რწმუნებულება ძალადაკარგულად არ ჩაითვლება, იმ მომენტამდე სანამ არ დადასტურდება რომ ის შედგენილ იქნა მომჩივნის მიერ გაცნობიერებისა და თანხმობის გარეშე (იხილეთ *Velikova v. Bulgaria*, no. 41488/98, §50, ECHR 2000-VI).

53. ამასთან ერთად, არც კონვენცია და არც სასამართლოს რეგლამენტი არ აწესებს სპეციფიკურ მოთხოვნებს იმ ფორმაზე თუ როგორ უნდა შედგეს რწმუნებულება ან მოითხოვს რაიმე ფორმით ამ დოკუმენტის დადასტურებას ხელისუფლების ორგანოების მხრიდან. სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია რომ რწმუნებულებამ ნათლად განსაზღვროს რომ განმაცხადებელი ანდობს მის წარმომადგენელს მისი სასამართლოს წინაშე წარმოდგენას და რომ წარმომადგენელი იღებს ამ რწმუნებას. (იხილეთ *Ryabov v. Russia*, no. 3896/04, §§ 40 და 43, 31 იანვარი 2008).

54. მოცემულ საქმეში, სასამართლო აღნიშნავს რომ საქმეზე დართული ყველა რწმუნებულება ხელმოწერილია და აქვს თითის ანაბეჭდები. მეტიც, მომჩივანთა ადვოკატები წარმოადგენდნენ დეტალურ ინფორმაციას მთელი პროცესის განმავლობაში მომჩივნების ბედზე, ვისთანაც ისინი ინარჩუნებდნენ კონტაქტს. არ არის რაიმე ამ საქმეში რამაც შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ადვოკატების ეს ინფორმაცია ან სასამართლოსთვის მიწოდებული მასალები (იხილეთ, საპირისპიროდ, *Hussun* –ის ზემოხსენებული საქმე §§ 43 50).

55. ამ პირობებში სასამართლოს არ აქვს რაიმე მიზეზი ეჭვი შეიტანოს რწმუნებულების ავთენტურობაში. შედეგად, ის უარყოფს მთავრობის ამ მოსაზრებას.

56. ამასთან ერთად სასამართლო აღნიშნავს რომ ადვოკატების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ორი მომჩივანი, ბ-ნი მოჰამედ აბუკარ მოჰამედი და ბ-ნი ჰასან შარიფ აბბირაჰმანი (#10 და # 11 სიაში) გარდაიცვალნენ მოკლე დროში მას შემდეგ რაც საჩივრის წარდგენა მოხდა (იხილეთ მე-15 პუნქტი ზემოთ).

57. სასამართლო აღნიშნავს რომ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად იგი უარყოფს საჩივარს მომჩივანის გარდაიცვალების შემთხვევაში თუკი მემკვიდრეს ან ახლო ნათესავს არ სურს საქმის გაგრძელება (იხილეთ, სხვა წყაროებთან ერთად, *Scherer v. Switzerland*, 25 მარტი 1994, §§ 31-32, Series A no. 287; *Öhlinger v. Austria*, no. 21444/93, კომისიის 1997 წლის 14 იანვრის ანგარიში, § 15; *Thévenon v. France* (dec.), no. 2476/02, ECHR 2006-III; და *Léger v. France* [GC], no. 19324/02, § 44, 30 მარტი 2009).

58. საქმის გარემოებების გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს რომ აღარ არის დასაბუთებული საჩივრის განხილვის გაგრძელება გარდაცვლილთან დაკავშირებით (კონვენციის 31-ე მუხლის პირველი ნაწილი). მეტიც, ის აღნიშნავს რომ საჩივრები რომლებიც საწყის ეტაპზე შეტანილ იქნა ბ-ნი მოჰამედ აბუკარ მოჰამედის და ბ-ნი ჰასან შარიფ აბბირაჰმანის მიერ იყო სხვა მომჩივნების მიერ წარდგენილი საჩივრების იდენტური, რომლებთან დაკავშირებით ის გამოთქვამს მის მოსაზრებას ქვემოთ. ამ გარემოებებში სასამართლო ვერ ხედავს საფუძვლებს კონვენციით და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, კონვენციის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რომელიც მოითხოვს გარდაცვლილი მომჩივნების საჩივრის განხილვის გაგრძელებას.

59. დასკვნის სახით, სასამართლო განსახილველ საქმეთა სიიდან იღებს იმ საჩივრებს, რომლებიც ეხება მოჰამედ აბუკარ მოჰამედს და ჰასან შარიფ აბბირაჰმანს და განაგრძობს დარჩენილი საჩივრების განხილვას.

B. სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვა

60. დიდი პალატის წინაშე საქმის განხილვის დროს, მთავრობამ აღნიშნა რომ საჩივარი დაუშვებელი იყო რადგან არ იყო ამოწურული სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები. მთავრობა აცხადებდა რომ მომჩივნებმა ვერ შეძლეს მიემართათ იტალიის სასამართლოსადმი, რათა მიეღოთ აღიარება და კომპენსაცია კონვენციის სავარაუდო დარღვევისათვის.

61. მთავრობის მოსაზრებით, მომჩივნებს თავისუფლად შეეძლიათ გადაადგილება და ასევე გააჩნდათ შესაძლებლობა კავშირი დაემყარებინათ ადვოკატებთან, რათა სტრასბურგის სასამართლოსათვის მიმართვამდე დაეწყოთ პროცესი იტალიის სისხლის სამართლის სასამართლოში და ეჩივლათ ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევებზე სამხედრო პირების მხრიდან, რომლებიც ჩართულნი იყვნენ მათი გადაყვანის პროცესში. სისხლის სამართლის პროცესი ამჯერად მიმდინარეობს მსგავს საქმეებში და ასეთი სახის დაკმაყოფილება იყო „ეფექტიანი“.

62. სასამართლო აღნიშნავს რომ მომჩივნები აგრეთვე ასაჩივრებდნენ რომ მათ არ მიენიჭათ დაკმაყოფილება კონვენციის მე-13 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად. ის მიიჩნევს რომ არსებობს ახლო კავშირი მთავრობის არგუმენტებსა და საჩივრის შინაარს შორის, რომლებიც წარდგენილ იქნა მომჩივნების მიერ კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად. შესაბამისად სასამართლო მიიჩნევს რომ აუცილებელია მთავრობის ამ მოსაზრების დაკავშირება კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი საჩივრების შინაარსთან და საჩივრის განხილვა ამ კონტექსტში (იხილეთ 207 პუნქტი ქვემოთ).

II. განსჯადობა კონვენციის პირველი მუხლის შესაბამისად

63. კონვენციის პირველი მუხლის თანახმად:

“მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I თავში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.”

1. მხარეთა არგუმენტაცია

(ა) მთავრობა

64. მოპასუხე მთავრობა აღიარებს რომ განსახილველ მოვლენებს ადგილი ჰქონდა იტალიის სამხედრო გემებზე. ამასთან ერთად, მთავრობამ უარყო რომ მას გააჩნდა „აბსოლუტური და ექსკლუზიურ კონტროლი“ მომჩივნებზე.

65. მთავრობამ აღნიშნა, რომ გემები რომლებსაც გადაყვდათ მომჩივნები აღმოჩენილ იქნენ ღია ზღვაში განსაცდელში მყოფი პირების გადარჩენის ოპერაციის განხორციელებისას - რაც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლით დაკისრებულ ვალდებულებას, კერძოდ, გაეროს კონვენციით საზღვაო სამართლის შესახებ (“მონტეგოს ყურის კონვენცია”)– და არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დახასიათებული როგორც საზღვაო პოლიციური ოპერაცია.

იტალიურმა გემებმა აიღეს ვალდებულება საკუთარ თავზე ჩარეულიყვნენ სამი გემის დასახმარებლად, რომლებიც იყვნენ განსაცდელში და უზრუნველყოთ პირთა უსაფრთხოება. ისინი მოქმედებდნენ ლიბიაში დადებული 2007 და 2009 წლის ორმხრივი შეთანხმებების შესაბამისად. მთავრობა ითხოვდა რომ ღია ზღვაში ადამიანის სიცოცხლის დაცვის ვალდებულება, როგორც ეს მოთხოვნილია მონტეგო ბაი კონვენციით, თავისთავად არ წარმოშობს სახელმწიფოს მიერ შესაბამის პირებთან მიმართებაში იურისდიქციის განხორციელებას.

66. რაც შეეხება მომჩივანთა „გადარჩენის“ ოპერაციას, რაც საერთო ჯამში გაგრძელდა არაუმეტეს ათი საათისა, ხელისუფლების ორგანოებმა უზრუნველყვეს შესაბამისი მხარეები აუცილებელი ჰუმანიტარული და სამედიცინო დახმარებით და არ გამოუყენებიათ რაიმე სახის ძალადობა; ისინი არ ასულან გემებზე და არ გამოუყენებიათ იარაღი. მთავრობის აზრით მოცემული საჩივარი განსხვავდებოდა საქმისგან *Medvedyev and Others v. France* ([GC], no 3394/03, 29 მარტი 2010), რომელშიც სასამართლომ განაცხადა რომ მომჩივნები ექცეოდნენ საფრანგეთის იურისდიქციის ქვეშ იმის გათვალისწინებით რომ საფრანგეთი ახორციელებდა სრულ და ექსკლუზიურ კონტროლს ღია ზღვაში მყოფ გემსა და მის ეკიპაჟზე.

(ბ) მომჩივნები

67. მომჩივნების მოსაზრებით ამ საქმეში იტალია უდავოდ ახორციელებდა იურისდიქციას. როგორც კი ისინი ავიდნენ იტალიურ გემებზე, დაუყოვნებლივ აღმოჩნდნენ იტალიის ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ, რაც თავის მხრივ აკისრებდა იტალიას იმის პასუხისმგებლობას, რომ მას შეესრულებინა ყველა ვალდებულება, რომლებიც გამომდინარეობდა კონვენციიდან და ოქმებიდან.

მთავრობამ აღნიშნა, რომ იტალიის ნავიგაციის კოდექსის მე-4 მუხლი ნათლად გამოხატავდა, რომ ხომალდები რომლებიც გადაადგილდებოდნენ იტალიის დროშის ქვეშ ექცეოდნენ იტალიის იურისდიქციის ქვეშ, მათ შორის იმ დროს როდესაც ცურავდნენ ტერიტორიული წყლების გარეთ.

(C) საქმეში მესამე მხარედ ჩართული ორგანიზაციები

68. საქმეში მესამე მხარედ ჩართულმა ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად სახელმწიფოს ვალდებულებაა უკან არ დააბრუნოს თავშესაფრის მაძიებლები, თვით “პოტენციური” თავშესაფრის მაძიებლებიც კი, და უზრუნველყოს რომ მათ გააჩნდეთ ხელმისაწვდომობა სამართლიან სამართალწარმოებაზე, რომელსაც აქვს ექსტრა ტერიტორიული ხასიათი.

69. საერთაშორისო სამართლის მიხედვით ლტოლვილთა დაცვასთან დაკავშირებით გადამწყვეტი ტესტი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგენის დროს ის კი არ უნდა იყოს თუ რამდენად იმყოფებოდა უკან დაბრუნებული პირი შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არამედ თუ რამდენად ექცეოდა პირი სახელმწიფოს ხელისუფლების ეფექტიანი კონტროლის ქვეშ.

პროცესში მესამე მხარედ ჩართულმა ორგანიზაციებმა მიუთითეს სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, რომელიც ეხება კონვენციის პირველ მუხლსა და “იურისდიქციის” ცნების ექსტრატერიტორიულ მოქმედებას. მითითება გაკეთდა ასევე სხვა საერთაშორისო ორგანოების დასკვნებზე. ორგანიზაციებმა აღნიშნეს ორმაგი სტანდარტების თავიდან აცილების მნიშვნელობა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში და იმის უზრუნველყოფის მნიშვნელობა რომ სახელმწიფომ არ უნდა განახორციელოს მისი ტერიტორიის გარეთ ისეთი ქმედებები რომელთა განხორციელებაც არასოდეს იქნებოდა ნებადართული მათ ტერიტორიაზე.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) ზოგადი პრინციპები რომლებიც ეხება იურისდიქციას კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით

70. კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით, ხელმომწერი სახელმწიფო ვალდებულია “უზრუნველყოს” (ფრანგულად “რეკონაიტრე”) ყველასთვის მისი “იურისდიქციის” ფარგლებში კონვენციის პირველ თავში მოცემული უფლებები და თავისუფლებები (იხილეთ *Soering v. the United Kingdom*, 7 ივლისი 1989, § 86, Series A no. 161, და *Banković and Others v. Belgium and 16 Other Contracting States* (dec.), [GC], no. 52207/99, § 66, ECHR 2001-XII). იურისდიქციის გამოყენება აუცილებელი წინაპირობაა მონაწილე სახელმწიფოსთვის, რათა მას დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ მოქმედებისათვის ან უმოქმედობისათვის რომელთა განხორციელება/განუხორციელებლობაც მას შეერაცხება, და რომლებიც იწვევს კონვენციაში მოცემული უფლებებისა და თავისუფლებების სავარაუდო დარღვევას (იხილეთ *Ilaşcu and Others v. Moldova and Russia* [GC], no. 48787/99, § 311, ECHR 2004 VII).

71. პირველი მუხლის არსიდან გამომდინარე სახელმწიფოს იურისდიქციის ცნებაში ძირითადად მოიაზრება მისი ტერიტორია (იხილეთ *Bankovic* – ის საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული გადაწყვეტილება, §§ 61 და 67, და *Ilaşcu* – ს საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული გადაწყვეტილება, § 312). მიჩნეულია, რომ იურსდიქცია, როგორც წესი, ხორციელდება ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში (იხილეთ *Ilaşcu and Others* -ს საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული გადაწყვეტილება, §312, და *Assanidze v. Georgia* [GC], no. 71503/01, § 139, ECHR 2004-II).

72. მიიჩნევა რა, რომ იურისდიქცია ძირითადად მოქმედებს ტერიტორიულობის პრინციპით, სასამართლომ მხოლოდ გამონაკლის საქმეებში დაადგინა, რომ მონაწილე სახელმწიფოთა საქმიანობა მათი ტერიტორიების გარეთ შეიძლება ჩაითვალოს მათ მიერ კონვენციის პირველი მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, იურისდიქციის განხორციელებად (იხილეთ *Droz and Janousek v. France and Spain*, 26 ივნისი 1992, § 91, Series A no. 240; *Banković* -ის საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული გადაწყვეტილება, §67; და *Ilaşcu and Others* -ის საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული გადაწყვეტილება, § 314).

73. *Loizidou*-ს საქმეზე (პირველადი მოსაზრებები) პირველ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა რომ კონვენციის ობიექტისა და მიზნის გათვალისწინებით, ხელმომწერი მხარის პასუხისმგებლობა შეიძლება აგრეთვე წარმოიშვას როდესაც სამხედრო მოქმედების შედეგად - როგორც კანონიერი ისე უკანონო - ის ახორციელებს ეფექტიან კონტროლს მისი ეროვნული ტერიტორიის არეალის გარეთ (იხილეთ *Loizidou v. Turkey* (პირველადი მოსაზრებები) [GC], 23 მარტი 1995, §62, Series A no. 310). იურისდიქციის განხორციელება გამორიცხულია იმ დროს როდესაც, როგორც ეს *Bankovic*-ის საქმეში იყო, ადგილი აქვს მხოლოდ ერთი კონკრეტული ექსტრატერიტორიული ქმედების განხორციელებას, რადგანაც პირველი

მუხლის ტექსტი არ განიხილავს მოცემულ მიდგომას “იურისდიქციასთან” მიმართებაში (იხილეთ გადაწყვეტილება ციტირებული ზემოთ, § 75). თითოეულ საქმეში ის საკითხი, თუ რამდენად აქვს ადგილი გამონაკლის შემთხვევას, რომელზე დაყრდნობითაც სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ექსტრატერიტორიულად ახორციელებდა იურისდიქციას, დადგენილი უნდა იქნეს კონკრეტულ ფაქტებზე მითითებით, ასე მაგალითად სრული და ექსკლუზიური კონტროლი ციხესა და გემზე (იხილეთ *Al-Skeini and Others v. the United Kingdom* [GC], no. 55721/07, § 132 და 136, 7 ივლისი 2011; *Medvedyev and Others*-ის საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული გადაწყვეტილება, § 67).

74. როდესაც სახელმწიფო მისი წარმომადგენლების მეშვეობით, რომლებიც საქმიანობენ მისი ტერიტორიის გარეთ, ახორციელებს კონტროლს ინდივიდზე, და შესაბამისად იურისდიქციას, სახელმწიფოს პირველი მუხლის საფუძველზე ეკისრება იმის პასუხისმგებლობა, რომ უზრუნველყოს ინდივიდისათვის კონვენციის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, რაც შესაბამისია ამ ინდივიდის სიტუაციისთვის. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა რომ კონვენციის უფლებები შეიძლება “დაყოფილი და გაერთიანებულ იქნეს” (იხილეთ *Al Skeini* -ს საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული გადაწყვეტილება, § 136 და 137; შეადარეთ *Banković* -ის საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული გადაწყვეტილება, § 75).

75. არსებობს სხვა შემთხვევებიც სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში სახელმწიფოთა მიერ იურისდიქციის ექსტრატერიტორიულად განხორციელების შემთხვევებთან დაკავშირებით, რომლებიც მოიცავს სახელმწიფოების საქმიანობას მათი დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლების მეშვეობით უცხოეთში და იმ გემებსა და ხომალდებზე, რომლებიც ამ სახელმწიფოში არიან რეგისტრირებულნი ან გადაადგილდებიან ამ სახელმწიფოს დროშით. ამ სპეციფიკურ სიტუაციებში, სასამართლო აფუძნებს რა საკუთარ საქმიანობას საერთაშორისო ჩვეულებით სამართალსა და ხელშეკრულების დებულებებზე, აღიარებს შესაბამისი სახელმწიფოს მიერ ექსტრატერიტორიული იურისდიქციის განხორციელებას (იხილეთ *Banković* -ის საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული გადაწყვეტილება, § 73, და *Medvedyev and Others* -ის საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული გადაწყვეტილება § 65).

(ბ) ხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

76. სასამართლოს წინაშე სადავო არ გამხდარა, რომ მომხდარ მოვლენებს ადგილი ჰქონდა ღია ზღვაში, იტალიის დროშის ქვეშ მცურავი სამხედრო გემის ბორტზე. მოპასუხე მთავრობა აღიარებს, რომ შემოსავლების პოლიცია

და სანაპირო დაცვის გემები რომელშიც მოხდა მომჩივნების აყვანა სრულად იმყოფებოდნენ იტალიის იურისდიქციის ქვეშ.

77. სასამართლო აღნიშნავს რომ საზღვაო სამართლის შესაბამისი დებულებების არსიდან გამომდინარე, გემები რომლებიც ცურავენ ღია ზღვაში ექვევნიან იმ სახელმწიფოს ექსკლუზიური იურისდიქციის ქვეშ, რომლის დროშის ქვეშაც ცურავენ. საერთაშორისო სამართლის ამ პრინციპმა მიიყვანა სასამართლო იმ დასკვნამდე, რომ ელიარებიანა, საქმეებში იმ ქმედებებთან დაკავშირებით რომლებიც განხორციელდა ხომალდებზე რომლებიც ცურავენ სახელმწიფოს დროშის ქვეშ, ისევე როგორც რეგისტრირებული თვითმფრინავის შემთხვევაში, ამ სახელმწიფოს ექსტრა ტერიტორიული იურისდიქცია (იხილეთ 75-ე პუნქტი ზემოთ). როდესაც სახეზეა კონტროლი მეორე სუბიექტზე, ეს წარმოადგენს დე ჯურე კონტროლს, რომელსაც ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო შესაბამის ინდივიდებზე.

78. ამასთან ერთად, სასამართლო აღნიშნავს რომ ზემოაღნიშნული პრინციპი გამტკიცებულია ადგილობრივ კანონში - იტალიის სანავიგაციო კოდექსის მე-4 მუხლში და არ სადავოდ გამხდარი მოპასუხე მთავრობის მიერ (იხილეთ მე-18 პუნქტი ზემოთ). ის ადგენს რომ მოცემული საქმე მართლაც წარმოადგენს იმ შემთხვევას, როდესაც იტალია ახორციელებდა ექსტრა ტერიტორიულ იურისდიქციას, რაც თავისთავად წარმოშობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას კონვენციის შესაბამისად.

79. მეტიც, კონვენციის თანახმად იტალიას არ შეუძლია თავიდან აირიდოს მის მიერ “იურისდიქციის” განხორციელება ღია ზღვაში სამაშველო ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლო ვერ დაეთანხმება მთავრობის არგუმენტს რომ იტალია არ იყო პასუხისმგებელი მომჩივნების ბედზე იმის გამო რომ კონკრეტულ დროში ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ადგილი ქონდა მონაწილე სუბიექტებზე თითქოსდა მინიმალური კონტროლის განხორციელებას.

80. დასკვნის სახით, საკმარისია აღინიშნოს რომ Medvedyev and Others -ის საქმეზე გამოტანილ ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში, განსახილველ მოვლენებს ადგილი ჰქონდა ხომალდ Winner -ის ბორტზე, რომელიც ცურავდა მესამე სახელმწიფოს დროშის ქვეშ, და რომლის ეკიპაჟიც იმყოფებოდა საფრანგეთის სამხედრო ეკიპაჟის კონტროლის ქვეშ. აღნიშნული საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, სასამართლომ განიხილა საფრანგეთის მოხელეთა მიერ განხორციელებული ქმედებების ხასიათი და ფარგლები იმისათვის, რომ დაედგინა რამდენად ჰქონდა ადგილი, როგორც მინიმუმ, დე ფაქტო განგრძობად და უწყვეტ კონტროლს, რომელსაც საფრანგეთი ახორციელებდა ხომალდ Winner -სა და მის ეკიპაჟზე (Ibid, §§ 66 და 67).

81. სასამართლო აღნიშნავს რომ წინამდებარე საქმეში მოვლენები განვითარდა იტალიის სამხედრო ძალების გემების ბორტზე, რომლის ეკიპაჟიც ექსკლუზიურად შედგებოდა მხოლოდ იტალიის სამხედრო პერსონალისაგან.

სასამართლოს მოსაზრებით, იმ პერიოდის შუალედში როცა მოხდა იტალიის სამხედრო ძალების გემზე აყვანა და შემდგომში ლიბიის ხელისუფლების ორგანოებისათვის გადაცემა, მომჩივნები იმყოფებოდნენ განგრძობად და ექსკლუზიურ *de jure* და *de facto* კონტროლის ქვეშ იტალიის ხელისუფლების ორგანოების მხრიდან. იმ ფაქტებით სპეკულირება, რომ იტალიის გემები იმყოფებოდნენ ღია ზღვაში, რომ ჩარევას გააჩნდა გარკვეული სამაშველო ხასიათი და მიზნები, ვერ მიიყვანს სასამართლოს განსხვავებულ დასკვნამდე.

82. შესაბამისად, მოვლენები რომლებმაც განაპირობეს სავარაუდო დარღვევები ექცევა იტალიის “იურისდიქციის” ქვეშ კონვენციის პირველი მუხლის მიზნებისთვის.

III. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

83. მომჩივნები აცხადებდნენ რომ ლიბიაში და მათ შესაბამის წარმოშობის ქვეყნებში, კერძოდ ერიტრეაში და სომალიში, უკან დაბრუნების შემთხვევაში მათ ემუქრებოდათ წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საფრთხე. ისინი ეყრდნობოდნენ კონვენციის მე-3 მუხლს, რომლის თანახმადაც:

“არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას.”

84. სასამართლომ აღნიშნა რომ საქმე გვაქვს კონვენციის მე-3 მუხლის ორ მნიშვნელოვან განსხვავებულ ასპექტთან, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს განცალკევებულად: პირველ რიგში, საფრთხე იმის თაობაზე რომ მომჩივნები შეიძლება გახდნენ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლნი ლიბიაში და მეორე, საშიშროება რომ მოხდება ლიბიიდან მათი დაბრუნება მათი შესაბამის წარმოშობის ქვეყანაში.

A. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა იმის გამო რომ მომჩივნები დაექვემდებარნენ ლიბიაში არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საფრთხეს

1. მხარეთა მოსაზრებები

(ა) მომჩივნები

85. მომჩივნები აცხადებდნენ რომ ისინი გახდნენ თვითნებური დაბრუნების მსხვერპლნი, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა კონვენციასთან. მომჩივნებმა აღნიშნეს რომ მათ არ მიენიჭათ შესაძლებლობა გაესაჩივრებინათ მათი

დაბრუნება ლიბიაში და მოეთხოვრათ საერთაშორისო დაცვა იტალიის ხელისუფლების მხრიდან.

86. მგზავრობის მიმართულებასთან დაკავშირებით ჯეროვანი ინფორმაციის არ ქონის პირობებში, მომჩივნები, იტალიის გემების ბორტზე ყოფნის განმავლობაში, დარწმუნებულნი იყვნენ რომ ხდებოდა მათი გადაყვანა იტალიაში. ისინი ამტკიცებენ რომ დაექვემდებარნენ რეალურ “მოტყუებას” იტალიის ხელისუფლების ორგანოების მხრიდან.

87. არანაირი პროცედურა, რომელიც მოახდენდა აღმოჩენილი მიგრანტების იდენტიფიცირებასა და მათი პირადი საკითხების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას არ იყო შესაძლებელი გემების პორტზე. ამ პირობებში, არ იყო შესაძლებელი გაკეთებულიყო არანაირი ფორმალური მოთხოვნა თავშესაფართან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, ლიბიის სანაპიროსთან მიახლოებასთან ერთად, მომჩივნებმა და სხვა მიგრანტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა სთხოვეს იტალიის სამხედრო პერსონალს არ ჩამოესხათ ისინი ტრიპოლის პორტში, საიდანაც ისინი ახლახანს გამოიქცნენ და წაეყვანათ იტალიაში.

მომჩივნებმა დაადასტურეს, რომ მათ საკმაოდ ნათლად გამოხატეს მათი სურვილი არ მომხდარიყო მათი გადაცემა ლიბიის ხელისუფლების ორგანოებისათვის. ისინი ასაჩივრებენ მთავრობის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემული მოთხოვნა არ შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც მოთხოვნა საერთაშორისო დაცვაზე.

88. მომჩივნები შემდგომში ამტკიცებდნენ რომ მოხდა მათი დაბრუნება იმ ქვეყანაში სადაც არსებობდა საკმარისი მიზეზები იმის სავარაუდოდ რომ მოხდებოდა მათ მიმართ კონვენციის საწინააღმდეგო მოპყრობა. ბევრი საერთაშორისო წყარო მიუთითებდა არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებზე რომელშიც უკანონო, კერძოდ სომალელი და ერიტრიელი წარმოშობის, მიგრანტები იყვნენ განთავსებულნი ლიბიაში და უკანონო მიგრანტებისთვის ამ ქვეყანაში არსებულ მძიმე საცხოვრებელ პირობებზე.

ამასთან დაკავშირებით მომჩივნებმა მიუთითეს 2010 წლის აპრილის CPT ანგარიშზე და ლიბიაში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით მესამე პირის მიერ გამოცემულ ტექსტებსა და დოკუმენტებზე.

89. მათი მოსაზრებით, იტალიას არ შეეძლო არ სცოდნოდა ამ შემაშფოთებელი სიტუაციის შესახებ, როდესაც ის აწერდა ხელს ორმხრივ შეთანხმებებს ლიბიასთან და განახორციელა უკან დაბრუნების ოპერაცია წინამდებარე შემთხვევაში.

90. მეტიც, დამტკიცდა, რომ მომჩივნების შიშები და წუხილები საფუძვლიანი იყო. ყველა განმცხადებელმა განაცხადა პატიმრობის არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებზე და მათი გათავისუფლების შემდეგ, მძიმე საცხოვრებელ პირობებზე, რომელშიც ცხოვრება უხდებოდათ უკანონო მიგრანტების სტატუსის მქონე პირებს.

91. მომჩივნები ამტკიცებდნენ რომ გადაწყვეტილება ღია ზღვაში აღმოჩენილ უკანონო მიგრანტთა ლიბიაში უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით იყო გააზრებული პოლიტიკური არჩევანი იტალიის მხრიდან, რომლის მიზანიც იყო პოლიციისთვის გადაეცა ძირითადი პასუხისმგებლობა უკანონო მიგრაციის კონტროლის კუთხით, რა დროსაც ხდებოდა შესაბამისი პირების ფუნდამენტური უფლებების დაცვის იგნორირება.

(ბ) მთავრობა

92. მთავრობა უპირველეს ყოვლისა აცხადებდა, რომ მომჩივნებმა სათანადოდ ვერ დაამტკიცეს რომ ისინი იყვნენ სავარაუდოდ კონვენციის საწინააღმდეგო მოპყრობის ობიექტები. შესაბამისად ისინი არ შეიძლებოდა ჩათვლილიყვნენ როგორც “დაზარალებულები” კონვენციის 34-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე.

93. მთავრობამ გააგრძელა იმის მტკიცება, რომ მომჩივნების ლიბიაში გადაყვანა მოხდა იტალიასა და ლიბიას შორის 2007 და 2009 წლებში გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. მოცემული ორმხრივი შეთანხმებები იყო საპასუხო ნაბიჯი აფრიკიდან ევროპაში მიგრანტთა მასობრივ შედინებასთან დაკავშირებით და ხელი მოეწერა თანამშრომლობის პრინციპის საფუძველზე უკანონო მიგრანტებთან მებრძოლ ორ ქვეყანას შორის.

94. ევროპის კავშირის ორგანოებმა, სხვადასხვა დროს მოუწოდეს თანამშრომლობისაკენ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები მიგრაციის კონტროლისა და უკანონო მიგრაციასთან დაკავშირებული დანაშაულების ბრძოლისკენ. მთავრობამ მიუთითა, კერძოდ ევროპის პარლამენტის No. 2006/2250 რეზოლუციაზე და იმიგრაციისა და თავშესაფრის შესახებ ევროპულ პაქტზე მიღებულს ევროპის კავშირის საბჭოს მიერ 2008 წლის 24 სექტემბერს, რომელმაც განამტკიცა საშიშროება ევროპის კავშირის ქვეყნებისათვის თანამშრომლობის თვალსაზრისით და წარმოშობისა და ტრანზიტის ქვეყნებთან პარტნიორობის კუთხით რათა მოხდეს ევროპის კავშირის საგარეო საზღვრების კონტროლის გაძლიერება და არალეგალური იმიგრაციის დამარცხება.

95. მთავრობამ განაცხადა რომ 2009 წლის 6 მაისი მოვლენები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ საჩივარს, განვითარდა ღია ზღვაში საერთაშორისო სამართლის შესაბამისად განხორციელებული სამაშველო ოპერაციისას. მთავრობამ განაცხადა, რომ იტალიის სამხედრო გემები ჩაერივნენ მონტეგოს სრუტის კონვენციისა და საზღვაო ძეგლისა და გადარჩენის საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად, რათა მომხდარიყო რეალურად საშიში სიტუაციის მოგვარება და მომჩივნებისა და სხვა მიგრანტების სიცოცხლის გადარჩენა.

მთავრობის მოსაზრებით, სამართლებრივი სისტემა, რომელიც მოქმედებდა ღია ზღვაში, ხასიათდებოდა თავისუფალი ნავიგაციის პრინციპით. ამ

კონტექსტში, არ იყო აუცილებელი მომხდარიყო შესაბამის პირთა იდენტიფიცირება. იტალიის ხელისუფლების ორგანოებმა მხოლოდ უზრუნველყვეს ჰუმანიტარული დახმარება. მომჩივანთა იდენტობის შემოწმება დაყვანილ იქნა მინიმუმამდე, რადგან არანაირი საზღვაო საპოლიციო ოპერაციის განხორციელება არ იყო გათვალისწინებული ამ გეგმებით.

96. არც ერთ მომენტში მათი ლიბიაში გადაყვანის დროს მომჩივნებს არ მოუთხოვიათ პოლიტიკური თავშესაფარი ან საერთაშორისო დაცვის რაიმე სხვა ფორმა. მთავრობა ამტკიცებდა რომ მომჩივნების მოთხოვნა არ მომხდარიყო მათი გადაცემა ლიბიის ხელისუფლების ორგანოებისათვის არ შეიძლება განმარტებულიყო, როგორც თავშესაფრის მოთხოვნა.

ამასთან დაკავშირებით, მთავრობამ განაცხადა რომ შესაბამის პირებს რომ მოეთხოვათ თავშესაფარი, მოხდებოდა მათი გადაყვანა იტალიის ტერიტორიაზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სხვა ოპერაციების დროს ღია ზღვაში 2009 წელს.

97. მთავრობა აგრეთვე ამტკიცებდა, რომ ლიბია იყო უსაფრთხო მიმღები ქვეყანა. ამ განცხადების გასამყარებლად, მთავრობამ მიუთითა იმ ფაქტზე რომ ლიბიამ მოახდინა გაეროს პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, გაეროს კონვენციის წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის შესახებ, აფრიკის კავშირის ლტოლვილთა კონვენციის რატიფიცირება და ლიბია ასევე გაწევრიანდა საერთაშორისო მიგრაციის ორგანიზაციაში (IOM).

მიუხედავად იმისა რომ არ იყო წევრი გაეროს კონვენციის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, ლიბიამ, ამის მიუხედავად, მისცა საშუალება UNHCR-სა და IOM-ს გაეხსნათ ოფისები ტრიპოლში, შესაბამისად მისცა ამით საშუალება უამრავ მომჩივანს მიეღოთ ლტოლვილის სტატუსი და გარანტირებული ყოფილიყო მათი საერთაშორისო დაცვა.

98. მთავრობამ სასამართლოს ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე რომ როცა ლიბიამ რატიფიცირება გაუკეთა 2008 წლის მეგობრობის შეთანხმებას, მან ნათლად აიღო ვალდებულება დაქვემდებარებულიყო გაეროს ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის პრინციპებს. იტალიას არ ჰქონდა რაიმე მიზეზი ჩაეთვალა რომ ლიბია თავს აარიდებდა ამ ვალდებულებებს.

ეს გარემოება და ფაქტი, რომ UNHCR და IOM ოფისები მდებარეობდა და აქტიურად ფუნქციონირებდა ტრიპოლში სრულად ასაბუთებდა იტალიის მოსაზრებას, რომ ლიბია იყო უსაფრთხო დანიშნულების ქვეყანა ღია ზღვაში აღმოჩენილი მიგრანტებისთვის. მეტიც, მთავრობას მიაჩნდა რომ მრავალი მომჩივნისთვის, მათ შორის ამ საქმის რამდენიმე მომჩივნისთვის, UNHCR მიერ მინიჭებული ლტოლვილის სტატუსის აღიარება იყო იმის ცალმხრივი დადასტურება, რომ სიტუაცია ლიბიაში კონკრეტულ დროში შესაბამისობაში იყო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან.

99. მთავრობამ აღიარა რომ სიტუაცია ლიბიაში გაუარესდა 2010 წლის აპრილის შემდგომ, როცა ხელისუფლების ორგანოებმა დახურეს UNHCR-ის ტერიტორია და რეალურად ძალზედ გაართულდა 2011 წლის დასაწყისის მოვლენების შემდეგ, მაგრამ მთავრობამ აღნიშნა, რომ იტალიამ დაუყოვნებლივ შეწყვიტა მიგრანტების ლიბიაში უკან დაბრუნება და შეცვალა მიგრანტების ღია ზღვაში გადარჩენის პირობები რასაც შესაბამისად მოჰყვა მიგრანტებისათვის იტალიის ტერიტორიაზე შესვლა.

მთავრობამ სადავოდ გახადა “სამთავრობო პრაქტიკის” არსებობა, რომელიც მოიცავდა, მომჩივნების მიხედვით, თვითნებურ გადაყვანას ლიბიაში. ამასთან კავშირში, მათ დაახასიათეს საჩივარი როგორც “პოლიტიკურ და იდეოლოგიურ თავდასხმა” იტალიის მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ. მთავრობამ სთხოვა სასამართლოს განეხილა მხოლოდ 2009 წლის 6 მაისის მოვლენები და არ განეხილა იტალიის უფლებამოსილება მიგრაციის კონტროლის თვალსაზრისით, რადგანაც ხსენებული სფერო მიჩნეულია როგორც განსაკუთრებულად მგრძნობიარე და რთული.

(C) მესამე მხარედ ჩართული ორგანიზაციები

101. მრავალი მოწმის ჩვენებებზე დაყრდნობით, Human Rights Watch -მა და UNHCR-მა დაგმეს იტალიის მიერ მიგრანტების იძულებითი დაბრუნება ლიბიაში. 2009 წლის განმავლობაში იტალიამ განახორციელა ცხრა ოპერაცია ღია ზღვაზე, რასაც შედეგად მოჰყვა 834 სომალელის, ერიტრიელის და ნიგერიელის ლიბიაში დაბრუნება.

102. Human Rights Watch -მა დაგმო სიტუაცია ლიბიაში სხვადასხვა დროს, კერძოდ მის 2006 და 2009 წლების ანგარიშებში. ორგანიზაციამ განაცხადა რომ რადგან ლიბიაში არ არსებობდა ეროვნული თავშესაფრის სისტემა, ხდებოდა უკანონო მიგრანტების სისტემატური დაპატიმრება, რომლებიც ხშირად ექვემდებარებოდნენ წამებასა და ფიზიკურ ძალადობას, მათ შორის გაუპატიურებას. გაეროს დაკავებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო დოკუმენტის დარღვევით ხდებოდა მიგრანტების ხშირი დაკავება გაურკვეველი ვადით და რაიმე სახის სასამართლო ზედამხედველობის გარეშე. მეტიც, დაკავების პირობები იყო არაადამიანური. მიგრანტებს აწამებდნენ და არანაირი სამედიცინო მომსახურება არ იყო უზრუნველყოფილი ქვეყნის მასშტაბით მდებარე სხვადასხვა ბანაკში. ისინი ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაებრუნებინათ მათი წარმოშობის ქვეყანაში ან მიეტოვებინათ უდაბნოში, სადაც რეალური სიკვდილი ელოდათ.

103. Aire Center -მა, Amnesty International -მა და FIDH-მ აღნიშნეს, რომ ანგარიშები სანდო წყაროებიდან მრავალი წლის განმავლობაში ადასტურებდა რომ ადამიანის უფლებათა სიტუაცია ლიბიაში იყო კატასტროფული, კერძოდ ლტოლვილებისთვის, თავშესაფრის მაძიებლებისა და მიგრანტებისთვის,

რომლებიც წარმოშობით იყვნენ აფრიკის ისეთი რეგიონებიდან, როგორიცაა ერიტრეა და სომალი.

სამი მხარის მოსაზრებით არსებობდა “გამომიების ვალდებულება” როდესაც არსებობდა დამაჯერებელ ინფორმაცია სანდო წყაროდან, რომ მიმღებ ქვეყანაში დაკავების ან საცხოვრებელი პირობები შეუსაბამო იყო მე-3 მუხლთან.

Pacta sunt servanda-ს პრინციპის შესაბამისად სახელმწიფო ვერ აირიდებდა კონვენციიდან გამომდინარე შესაბამის პასუხისმგებლობას თავიდან იმ ვალდებულებებზე მითითებით, რომლებიც მას აღებული ჰქონდა ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებებით უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.

104. UNHCR-მა განცხადა, რომ როცა იტალიის ხელისუფლების ორგანოებმა არ წარმოადგინეს დეტალური ინფორმაცია უკან დაბრუნების ოპერაციის შესახებ, რამდენიმე მოწმემ რომელთა გამოკითხვაც მოხდა უმაღლესი კომისრის მიერ, წარმოადგინა მომჩივნების მსგავსი ინფორმაცია. კერძოდ, მათ განაცხადეს რომ იმისათვის რომ წახეხალისებინათ პირების ასვლა იტალიის გემებზე, იტალიის სამხედრო პერსონალმა ისინი დაარწმუნა რომ ხდებოდა მათი გადაყვანა იტალიაში. სხვადასხვა მოწმეები აცხადებდნენ, რომ მათ დაადეს ხელბორკილები და ისინი დაექვემდებარნენ ძალადობას მათი ლიბიის ტერიტორიაზე გადაყვანისა და დაკავების ცენტრში მიყვანისას. მეტიც, იტალიის ხელისუფლების ორგანოებმა კონფისკაცია გაუკეთეს მიგრანტების პერსონალურ ნივთებს, მათ შორის UNHCR-ის სერტიფიკატებს, რომლებიც ადასტურებდნენ მათ ლტოლვილის სტატუსს. სხვადასხვა მოწმემ აგრეთვე დაადასტურა რომ მათ ითხოვეს დაცვა და მათ კონკრეტულად მოახდინეს იტალიის ხელისუფლების ორგანოების ინფორმირება ამ ფაქტის შესახებ განხორციელებული ოპერაციების დროს.

105. UNHCR-მა დაადასტურა, რომ როგორც მინიმუმ, ხუთ მიგრანტს, რომელთა დაბრუნება მოხდა ლიბიაში და რომლებმაც მოგვიანებით შეძლეს იტალიაში შესვლა, მათ შორის ბ-ნი ერმიას ბერჰანეს, მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი იტალიაში. მეტიც, 2009 წელს UNHCR-ის ოფისმა ტრიპოლში ლტოლვილის სტატუსი მიანიჭა სამოცდაცამეტ პირს რომლებიც დააბრუნა იტალიამ, მათ შორის თოთხმეტს მომჩივნებიდან. ამან დაადასტურა რომ ოპერაცია განხორციელებული იტალიის მიერ ღია ზღვაში მოიცავდა სერიოზულ რისკს თვითნებური დაბრუნების იმ პირების, რომლებიც საჭიროებდნენ საერთაშორისო დაცვას.

106. UNHCR-მა შემდგომ განაცხადა, რომ იტალიის არც ერთი არგუმენტი არ ასაბუთებდა იმას რომ დაბრუნება იყო მისაღები. არც სახელმწიფოთა თანამშრომლობის პრინციპი მიგრანტთა არალეგალური ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, არც საერთაშორისო საზღვაო სამართლის დებულებები ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოებასთან

დაკავშირებით არ ათავისუფლებდა სახელმწიფოებს მათი ვალდებულებებისგან დაეცვათ საერთაშორისო სამართლის პრინციპები.

107. ლიბია, რომელიც იყო აზიიდან და აფრიკიდან შესული საიმიგრაციო ნაკადის ტრანზიტული და მიმღები ქვეყანა, ვერ უზრუნველყოფდა თავშესაფრის მამიებლებს ვერანაირი დაცვით. მიუხედავად იმისა, რომ ლიბიას ხელი ჰქონდა მოწერილი ადამიანის უფლებათა რამოდენიმე საერთაშორისო დოკუმენტზე, ის თითქმის ვერ ასრულებდა აღებულ ვალდებულებებს. რაიმე ეროვნული თავშესაფრის სამართლებრივი სისტემის არ არსებობის პირობებში, საქმიანობა ამ სფეროში ხორციელდებოდა ექსკლუზიურად UNHCR-სა და მისი პარტნიორების მიერ. მიუხედავად ამისა, უმაღლესი კომისარის საქმიანობა არასდროს არ ყოფილა ოფიციალურად აღიარებული ლიბიის მთავრობის მიერ, რომელმაც, 2010 წლის აპრილში გასცა UNHCR ტრიპოლის ოფისის დახურვისა და საქმიანობის შეწყვეტის ბრძანება. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ლიბიის მთავრობას არასდროს არ მიუნიჭებია რაიმე ფორმალური სტატუსი პირებისათვის, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ UNHCR-ს მიერ როგორც ლტოლვილები და მათთვის არანაირი დაცვა არ იყო გარანტირებული.

108. 2011 წლის მოვლენებამდე, ნებისმიერი ვინმე, ვინც განიხილებოდა უკანონო მიგრანტად იმყოფებოდა “დაკავების ცენტრში”, რომელთა უმრავლესობას პერიოდულად სტუმრობდა UNHCR. საცხოვრებელი პირობები ამ ცენტრებში იყო ძალზე ცუდი და ხასიათდებოდა გადატვირთულობითა და არაადეკვატური სანიტარული პირობებით. აღნიშნული სიტუაცია მძიმდებოდა უკან დაბრუნების ოპერაციებით, რომლებიც აუარესებდა გადატვირთულობას და იწვევდა სანიტარული სიტუაციის დამატებით გაუარესებას. ამან გამოიწვია დახმარების მნიშვნელოვნად დიდი საჭიროება, რათა მომხდარიყო ამ ინდივიდების სიცოცხლის შენარჩუნება.

109. კოლუმბიის სამართლის სკოლის ადამიანის უფლებათა კლინიკის მიხედვით, რადგანაც ზღვით უკანონო მიგრაცია არ იყო ახალი ფენომენი, საერთაშორისო თანამეგობრობამ ნათლად აღიარა იმის საჭიროება, რომ შეეზღუდათ მიგრაციის კონტროლის პრაქტიკა, მათ შორის ზღვაზე აღმოჩენა, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მიგრანტების ხელმისაწვდომობას დაცვის შესაბამის ღონისძიებებზე და შესაბამისად წამების საფრთხის ქვეშ დააყენოს ისინი.

1. სასამართლოს შეფასება

(ა) დასაშვებობა

110. მთავრობამ განაცხადა რომ მომჩივნები არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყვნენ “მსხვერპლად” კონვენციის 34-ე მუხლის მნიშვნელობით იმ მოვლენების გამო, რომლებთან დაკავშირებითაც მათ გააჩნდათ პრეტენზიები.

მთავრობა სადაოდ ხდიდა იმის რეალური საფრთხის არსებობას, რომ მომჩივნები გახდებოდნენ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლნი ლიბიაში. მოცემული საშიშროება უნდა იქნეს გაანალიზებული არსებითი გარემოებების საფუძველზე რომლებიც დაკავშირებულია თითოეულ განმცხადებელთან. შესაბამისი პირების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია იყო ბუნდოვანი და არასათანადო.

111. სასამართლო მიიჩნევს რომ პირველადი პრეტენზიაში აღნიშნული საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ საკითხებთან, რომლებიც იქნება განხილული, როდესაც სასამართლო შეისწავლის საჩივრებს კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებაში. მოცემული დებულება მოითხოვს რომ სასამართლომ დაადგინოს რამდენად არსებობს მნიშვნელოვანი საფუძვლები იმის დასაჯერებლად, რომ შესაბამის პირს ემუქრება წამების ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის საფრთხე მას შემდეგ რაც მოხდება მისი უკან დაბრუნება. ეს საკითხი შესაბამისად უნდა იქნეს განხილული საჩივრის არსებითად განხილვის დროს.

112. სასამართლო მიიჩნევს რომ საჩივრის ეს ნაწილი წამოჭრის კანონმდებლობასა და ფაქტებთან დაკავშირებულ რთულ საკითხებს, რაც შეუძლებელია დადგინდეს საქმის არსებითი განხილვის გარეშე. სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივარი არ არის სრულად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3(ა) პუნქტის თვალსაზრისით და იგი დაუშვებლად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული რაიმე სხვა საფუძვლით. შესაბამისად ხსენებული პრეტენზია უნდა გამოცხადდეს დასაშვებად.

(ბ) საქმის არსებითი მხარე

(ი) ზოგადი პრინციპები

(ა) მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულება გაძევების დროს

113. სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებს უფლება აქვთ, როგორც საერთაშორისო სამართლის კარგად დადგენილი საკითხი და მათი საკონტრაქტო, მათ შორის კონვენციის, ვალდებულებების საკითხი, აკონტროლონ უცხოელთა შემოსვლა, ცხოვრება და გაძევება (იხილეთ სხვა წყაროებთან ერთად, Abdulaziz, Cabales and Balkandali v. the United Kingdom, 28 მაისი 1985, § 67, Series A no. 94, da Boujlifa v. France, 21 ოქტომბერი 1997, §42, Reports of Judgments and Decisions 1997-VI). სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს რომ პოლიტიკური თავშესაფრის უფლება არ არის მოცემული კონვენციასა და მის ოქმებში (იხილეთ Vilvarajah and Others v. the United Kingdom, 30 ოქტომბერი 1991, § 102, Series A no. 215, da Ahmed v. Austria, 17 დეკემბერი 1996, § 38, Reports 1996-VI).

114. ამის მიუხედავად, გაძევებას ან ნებისმიერ სხვა ღონისძიებას უცხოელის გაძევების შესახებ შეიძლება მოყვეს მე-3 მუხლის შესაბამისად საკითხის წამოწევა, როდესაც არსებითი საფუძვლები არსებობს იმის დასაჯერებლად რომ განსახილველ პირს, თუ მისი გაძევება მოხდება, ემუქრება რეალური საფრთხე გახდეს მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის მსხვერპლი იმ ქვეყანაში, რომელშიც მისი დაბრუნება იგეგმება. აღნიშნულ შემთხვევებში, მე-3 მუხლი გულისხმობს ვალდებულებას არ მოხდეს ინდივიდის გაძევება ასეთ ქვეყანაში (იხილეთ *Soering* -ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 90-91; *Vilvarajah and Others*-ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება § 103; *Ahmed*, ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 39; *H.L.R. v. France*, 29 აპრილი 1997, § 34, Reports 1997-III; *Jabari v. Turkey*, no. 40035/98, § 38, ECHR 2000-VIII; და *Salah Sheekh v. the Netherlands*, no. 1948/04, § 135, 11 იანვარი 2007).

115. ასეთი ტიპის საქმეში, სასამართლო შესაბამისად ვალდებულია გააანალიზოს სიტუაცია მიმღებ ქვეყანაში მე-3 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად. იმ შემთხვევაში როცა პასუხისმგებლობა კონვენციის შესაბამისად არსებობს ან შეიძლება დადგეს, ეს ვალდებულება წარმოიშვება მონაწილე სახელმწიფოს მხრიდან, იმ მიზეზის გამო რომ განხორციელდეს მოქმედება, რომელსაც შეეძლო პირდაპირი ზეგავლენა ჰქონოდა ინდივიდებზე (იხილეთ *Saadi v. Italy* [GC], no. 37201/06. 37201/06, § 126, 28 თებერვალი 2008).

(β) ფაქტორები რომლებიც გამოიყენება იმ საფრთხის გაანალიზებისათვის, რომელიც ეხება კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას

116. იმის დადგენისას თუ რამდენად იქნა ნაჩვენები რომ მომჩივანს ემუქრება მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის რეალური საფრთხე, სასამართლო განიხილავს საკითხს მის წინაშე წარმოდგენილი მასალების საფუძველზე ან თუ ეს აუცილებელია, მასალებით რომლებიც მოპოვებულია *proprio motu* (იხილეთ *H.L.R. v. France* -ს ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 37, და *Hilal v. the United Kingdom*, no. 45276/99, § 60, ECHR 2001-II). წინამდებარე საქმის ანალოგიურ შემთხვევებში სასამართლომ უნდა განახორციელოს არაადამიანური მოპყრობის რეალური საფრთხის არსებობის მკაცრი შეფასება (იხილეთ *Chahal v. the United Kingdom*, 15 ნოემბერი 1996, § 96, ანგარიშები 1996-V).

117. იმისათვის რომ დადგინდეს რამდენად არსებობდა არაადამიანური მოპყრობის საფრთხე, სასამართლომ უნდა განიხილოს მიმღებ ქვეყანაში მომჩივნის გაძევების შესაძლო შედეგები, ამ ქვეყანაში ზოგადი სიტუაციის გათვალისწინებით, ასევე მისი პერსონალური მდგომარეობა. (იხილეთ *Vilvarajah and Others*-ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 108).

118. ამასთან მიმართებაში რაც შეეხება კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ ზოგად მდგომარეობას, სასამართლო ხშირად ამახვილებს ყურადღებას ინფორმაციაზე რომელიც მოცემულია უკანასკნელ ანგარიშებში დამოუკიდებელი საერთაშორისო ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა მაგალითად Amnesty International ან სამთავრობო წყაროები (იხილეთ, ასე მაგალითად, Chahal-ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება §§ 99-100 ; *Muslim v. Turkey*, no. 53566/99, §67, 26 აპრილი 2005; *Said v. the Netherlands*, no. 2345/02, § 54, ECHR 2005-VI; *Al-Moayad v. Germany*(dec.), no.35865/03, §§ 65 66, 20 თებერვალი 2007; და Saadi-ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება §131).

119. საქმეებში სადაც მომჩივანი ამტკიცებდა რომ იყო იმ ჯგუფის წევრი, რომელიც სისტემატურად ექვემდებარებოდა არაადამიანურ მოპყრობას, სასამართლო მიიჩნევს რომ კონვენციის მე-3 მუხლის დაცვა იწყებს მოქმედებას როდესაც მომჩივანი აცხადებს, სადაც ეს აუცილებელი იმ წყაროებზე დაყრდნობით რომლებიც მითითებულ იქნა წინა პუნქტში, რომ არსებობს არსებითი საფუძვლები იმის დასაჯერებლად რომ არასათანადო მოპყრობა ხორციელდება იმ ჯგუფის წევრების მიმართ, რომელსაც იგი მიეკუთვნება (იხილეთ, *mutatis mutandis*, Salah Sheekh-ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, §§ 138-49).

120. უზრუნველყოფილი უფლების აბსოლუტური ხასიათიდან გამომდინარე სასამართლო არ უარყოფს შესაძლებლობას რომ კონვენციის მე-3 მუხლი ასევე შეიძლება იქნას გამოყენებული როდესაც საშიშროება მომდინარეობს პირებისგან ან პირთა ჯგუფებისგან, რომლებიც არ წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს. ამასთან ერთად, უნდა დადასტურდეს რომ საფრთხე რეალურია და მიმღები სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებს არ შეუძლიათ გააქარწყლონ ეს საფრთხე შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფით (იხილეთ *H.L.R. v. France* -ს ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 40).

121. რაც შეეხება კონკრეტულ დროს, საფრთხის არსებობა უნდა შეფასდეს ძირითადად იმ ფაქტებზე მითითებით, რომლებიც იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს პირთა გაძევების დროს.

(იი) ხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

122. სასამართლოს უკვე გააჩნდა შესაძლებლობა აღენიშნა რომ სახელმწიფოები, რომლებიც მდებარეობენ ევროპის კავშირის საგარეო საზღვრებთან, ამ ეტაპზე აწყდებიან მნიშვნელოვან სირთულეებს მიგრანტთა და თავშესაფრის მაძიებელთა მზარდი ნაკადის შემოდინების პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით. სასამართლო არ აკნინებს იმ ტვირთსა და ზეწოლას, რასაც ეს სიტუაცია აკისრებს შესაბამის სახელმწიფოებს, რომლებიც განიცდიან ეკონომიკურ კრიზისს (იხილეთ *M.S.S. v. Belgium and Greece* [GC],

no. 30696/09, § 223, 21 იანვარი 2011). სასამართლოსათვის კარგად არის ცნობილი ის სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია ზღვის მეშვეობით განხორციელებულ მიგრაციასთან, რაც წარმოშობს სახელმწიფოებისთვის დამატებით სირთულეებს ევროპის სამხრეთი საზღვრების კონტროლის თვალსაზრისით.

ამასთან ერთად, მე-3 მუხლით დაცული უფლებების აბსოლუტური ხასიათის გათვალისწინებით, ამან არ შეიძლება გაათავისუფლოს სახელმწიფოები ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

123. სასამართლო იმეორებს, რომ მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობისგან დაცვა სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას არ მოხდეს იმ პირის გაძევება, რომელსაც მიმღებ ქვეყანაში შეიძლება დაემუქროს მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის საფრთხე.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები და არასამთავრობო ორგანიზაციები აღწერენ მოპყრობასთან დაკავშირებულ შემაშფოთებელ პრაქტიკას, რომელიც ხორციელდება უკანონო მიგრანტების მიმართ ლიბიაში არსებულ ეტაპზე. ამ დოკუმენტების დასკვნები დამატებით განმტკიცებულია CPT-ს 2010 წლის 28 აპრილის ანგარიშში (იხილეთ 35-ე პუნქტი ზევით).

124. სასამართლო აღნიშნავს რომ სიტუაცია ლიბიაში დამძიმდა მას შემდეგ რაც დაიხურა UNHCR ოფისი ტრიპოლში 2010 წლის თებერვალში. ამასთან ერთად, ამ საქმის განხილვის მიზნებისთვის, სასამართლო უთითებს ლიბიაში არსებულ სიტუაციაზე საქმის განხილვის პერიოდში.

125. ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა ანგარიშების შესაბამისად, განსახილველ პერიოდში არანაირი დებულება, რომელიც არეგულირებდა ლტოლვილთა დაცვას არ მოქმედებდა ლიბიაში. ნებისმიერი პირი, რომელიც შედიოდა ქვეყანაში უკანონო საშუალებებით განიხილებოდა უკანონო მიგრანტად და არანაირი განსხვავება არ კეთდებოდა უკანონო მიგრანტებსა და თავშესაფრის მაძიებლებს შორის. შესაბამისად, ხდებოდა აღნიშნული პირების სისტემატური დაპატიმრება და დაკავება ისეთ პირობებში, სადაც არ დაიშვებოდნენ მნახველები, UNHCR-ის, Human Rights Watch -ის, Amnesty International -ის წარმომადგენლები, და ასეთი პირობები შეიძლება დახასიათებულ იქნას როგორც არადამიანური. წამების ბევრი შემთხვევა, არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური პირობები და შესაბამისი სამედიცინო დახმარების არ არსებობა დაგმობილ იქნა ყველა დამკვირვებლის მიერ. უკანონო მიგრანტები იმყოფებოდნენ იმ საფრთხის ქვეშ, რომ მოხდებოდა მათი დაბრუნება წარმოშობის ქვეყანაში ნებისმიერ დროს და თუ ისინი მოახერხებდნენ მოეპოვებინათ თავისუფლება აწყდებოდნენ მძიმე საცხოვრებელ პირობებს, მათი სიტუაციის გათვალისწინებით. უკანონო მიგრანტები, როგორებიც იყვნენ მომჩივნები, განწირული იყვნენ დაეკავებინათ მარგინალური და იზოლირებული პოზიცია ლიბიის საზოგადოებაში, რაც ამყოფებდა მათ განსაკუთრებულ მოწყვლად მდგომარეობაში მათ წინააღმდეგ

განხორციელებული ქსენოფობიური და რასისტული ქმედებების თვალსაზრისით (იხილეთ 35-41 პუნქტები ზემოთ).

126. იგივე ანგარიშები ნათლად წარმოაჩენდნენ, რომ უკანონო მიგრანტების, მათ შორის მომჩივნების, დაბრუნება ლიბიაში ღია ზღვაში იტალიის მიერ მათი აღმოჩენის შემდეგ, დაკავშირებული იყო ამ საფრთხეებთან.

127. მოპასუხე მთავრობა შეეწინააღმდეგა შემაშვოთებელ სურათს რაც დახატეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა, და განაცხადა რომ ლიბია იყო, განსახილველ დროს “უსაფრთხო” ადგილი ღია ზღვაში აღმოჩენილი მიგრანტებისთვის. მთავრობა თავის მოსაზრებას აფუძვნებდა იმ მოსაზრებას, რომ ლიბია აკმაყოფილებდა საერთაშორისო ვალდებულებებს თავშესაფრისა და ლტოლვილთა დაცვის კუთხით, მათ შორის *non-refoulement* პრინციპთან მიმართებაში.

მთავრობა აცხადებდა, რომ იტალია-ლიბიის ურთიერთთანამშრომლობის 2008 წლის შეთანხმება, რომლის შესაბამისად მოხდა უკანონო მიგრანტების დაბრუნება ლიბიაში, შესაბამისობაში იყო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და სხვა საერთაშორისო კონვენციებთან, რომელთა მონაწილე მხარეც იყო ლიბია.

128. ხსენებულთან მიმართებაში, სასამართლო აღნიშნავს რომ ლიბიის მიერ მისი საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობა იყო ერთ-ერთი ფაქტი, რომელიც დაგმოვილ იქნა ამ ქვეყანასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ანგარიშებში. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია აღნიშნოს, რომ ადგილობრივი კანონმდებლობის არსებობა და საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიცირება, რომლებიც უზრუნველყოფენ ფუნდამენტურ უფლებებს თავისთავად არ არის საკმარისი, რათა მოხდეს არაადამიანური მოპყრობის საფრთხისაგან ადექვატური დაცვა, როდესაც როგორც ამ საქმეში მოხდა, სარწმუნო წყაროები იტყობინებიან იმ მოპყრობის შესახებ რომლებიც ხორციელდება ან დაშვებულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან, და თავისი არსით ეწინააღმდეგებიან კონვენციის პრინციპებს. (იხილეთ M.S.S.-ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება §353, და, *mutatis mutandis*, Saadi-ს ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება § 147).

129. მეტიც, სასამართლო აღნიშნავს რომ იტალიას არ შეუძლია აიცილოს თავიდან მისი პასუხისმგებლობა ლიბიასთან ორმხრივი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე მითითებით. იმ შემთხვევაში თუ მიჩნეულ იქნება რომ მოცემული შეთანხმებები ითვალისწინებდნენ ნათელ დებულებებს ღია ზღვაში აღმოჩენილი მიგრანტების ლიბიაში დაბრუნების შესახებ, მონაწილე სახელმწიფოს კვლავაც ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის იღებს სახელშეკრულებო ვალდებულებას მას შემდეგ რაც მისთვის ძალაში შევიდა კონვენცია ან მისი დამატებითი ოქმები (იხილეთ *Prince Hans-Adam II of Liechtenstein v. Germany* [GC], no.42527/98, § 47,

ECHR 2001-VIII, და Al-Saadoon and Mufdhi v. the United Kingdom, no. 61498/08, § 128, 2 მარტი 2010).

130. სახელმწიფოს იმ არგუმენტთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ტრიპოლში UNHCR-ის ოფისის არსებობას, უნდა აღინიშნოს რომ უმაღლესი კომისარიატის ოფისის საქმიანობა, მათ შორის მანამდე სანამ მოხდა მისი დახურვა 2010 წლის აპრილში, არასდროს არ ყოფილა აღიარებული რაიმე ფორმით ლიბიის მთავრობის მიერ. სასამართლოს მიერ შესწავლილი დოკუმენტები მიუთითებს რომ UNHCR-ის მიერ მინიჭებული ლტოლვილის სტატუსი არ იძლეოდა ამ პირებისათვის ლიბიაში რაიმე სახის დაცვის გარანტიას.

131. სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ არსებული ვითარება კარგად იყო ცნობილი იტალიის მთავრობისათვის და მარტივად შეიძლებოდა ვითარების გადამოწმება მრავალ წყაროზე დაყრდნობით. შესაბამისად სასამართლო მიიჩნევს რომ როდესაც მოხდა მომჩივნების გადაყვანა, იტალიის მთავრობამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა რომ, როგორც უკანონო მიგრანტები ისინი გახდებოდნენ კონვენციის საწინააღმდეგო მოპყრობის მსხვერპლნი ლიბიაში და ხსენებულ ქვეყანაში არ მოხდებოდა მათი დაცვის უზრუნველყოფა.

132. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნებმა ვერ შეძლეს კეროვნად დაესაბუთებინათ ლიბიაში არსებული საფრთხეები, რადგან მათ არ მიმართეს იტალიის ხელისუფლებას თავშესაფრისათვის. მარტოდენ ის ფაქტი რომ მომჩივნები ეწინააღმდეგებოდნენ მათ გადაყვანას ლიბიაში, მთავრობის აზრით, არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო დაცვის მოთხოვნად, და იტალიის სახელმწიფოსათვის დაეკისრებინა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება.

133. უპირველესყოვლისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს ფაქტი სადაო გახადეს მომჩივნებმა, რომლებმაც განაცხადეს რომ მათ მოახდინეს იტალიის სამხედრო პერსონალის ინფორმირება საერთაშორისო დაცვის მიღების სურვილთან დაკავშირებით. მეტიც, მომჩივნების ვერსია გამყარებულია რამდენიმე მოწმის ჩვენებით რომლებიც მოგროვებულ იქნა UNHCR-სა და Human Rights Watch - ის მიერ. ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ვალდებულნი იყვნენ, გაეთვალისწინებინათ ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებები სისტემატურად ირღვეოდა, რომ მოეპოვებინათ ინფორმაცია იმ მოპყრობის შესახებ, რომელიც განხორციელდებოდა მომჩივნებთან მიმართებაში მათი უკან დაბრუნების შემდგომ (იხილეთ, *mutatis mutandis*, Chahal-ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება §§ 104 და 105; Jabari-ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება §§ 40 და 41; და M.S.S.- ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება §359). საქმის გარემოებების გათვალისწინებით ის ფაქტი, რომ შესაბამისმა პირებმა ნათლად არ მოითხოვეს თავშესაფარი, არ ათავისუფლებდა იტალიას მე-3 მუხლით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისგან.

134. ხსენებულთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის არც ერთი დებულება, რომელიც მითითებულ იქნა მთავრობის მიერ, არ ამართლებდა მომჩივნების უკან განდევნას ლიბიაში, იმის ფონზე რომ ზღვაში პირთა გადარჩენის წესები და ის დებულებები, რომლებიც არეგულირებენ პირთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლას აკისრებენ სახელმწიფოებს პასუხისმგებლობას შეასრულონ საერთაშორისო ლტოლვილთა სამართლიდან, მათ შორის “*non-refoulement*”-ის პრინციპიდან გამომდინარე ვალდებულებები (იხილეთ 23-ე პუნქტი ზემოთ).

135. *Non-refoulement* -ის პრინციპი აგრეთვე განმტკიცებულია ფუნდამენტურ თავისუფლებათა შესახებ ევროპის კავშირის ქარტიის მე-19 მუხლში. ამასთან მიმართებაში სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ევროპის კომისიის ვიცე პრეზიდენტის ბ-ნი ჟაკ ბაროტის 2009 წლის 15 მაისის წერილის შინაარსს, რომელშიც ის აღნიშნავს ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების მიერ ღია ზღვაში განხორციელებული ოპერაციების კონტექსტში *non-refoulement*-ის პრინციპის დაცვის მნიშვნელობას (იხილეთ 34-ე პუნქტი ზემოთ).

136. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს რომ მოცემულ საქმეში მნიშვნელოვანი საფუძვლები იქნა წარმოდგენილი იმის დასაჯერებლად, რომ არსებობდა ლიბიაში მომჩივნების მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის რეალური საფრთხე. ის ფაქტი, რომ უკანონო მიგრანტების დიდი ნაწილი ლიბიაში აღმოჩნდა იგივე სიტუაციაში, როგორც მომჩივნები, არ ამცირებს საფრთხის მნიშვნელობას როდესაც იგი რეალურია (იხილეთ, *mutatis mutandis*, Saadi-ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება § 132).

137. ამ დასკვნებსა და მე-3 მუხლის მიხედვით სახელმწიფოთა ვალდებულებებზე დაყრდნობით, სასამართლო მიიჩნევს რომ მომჩივნების ლიბიაში გადაყვანით იტალიის ხელისუფლების ორგანოებმა, კონვენციის საწინააღმდეგო მოპყრობის საფრთხის ქვეშ დააყენა მომჩივნები.

138. შესაბამისად მთავრობის მოსაზრება მომჩივნების მიერ მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით უარყოფილ უნდა იქნეს და შესაბამისად უნდა დადგინდეს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

B. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა იმ ფაქტის გამო, რომ მომჩივნები დაექვემდებარნენ არასათანადო მოპყრობის საფრთხეს მათი ერიტრეაში და სომალიში თვითნებური დაბრუნების გამო.

1. მხარეთა მოსაზრებები

(ა) მომჩივნები

139. მომჩივნები აცხადებდნენ რომ მათი ლიბიაში გადაყვანა, სადაც ლტოლვილებისა და თავშესაფრის მამიებლებისათვის არ იყო

უზრუნველყოფილი რაიმე სახის დაცვა, აყენებდა მათ იმ საფრთხის ქვეშ რომ ისინი უკან იქნებოდნენ დაბრუნებული თავიანთ სამშობლოში: სომალიაში და ერიტრიაში. მათი თქმით მთელი რიგი ანგარიშები და საერთაშორისო წყაროები ადასტურებდნენ ორივე ამ ქვეყანაში ისეთი პირობების არსებობას, რაც არღვევდა ადამიანის უფლებებს.

140. მომჩივნები, რომლებიც გამოიქცნენ თავიანთი ქვეყნიდან, ამტკიცებდნენ, რომ მათთვის არ მიუნიჭებიათ რაიმე შესაძლებლობა ესარგებლათ საერთაშორისო დაცვით. ის ფაქტი რომ უმეტესობა მათგანმა მიიღო ლტოლვილის სტატუსი ლიბიაში ჩასვლის შემდგომ, ადასტურებდა რომ არაადამიანური მოპყრობის დაქვემდებარების საფრთხე დასაბუთებული იყო. მათ განაცხადეს რომ მიუხედავად იმისა, რომ ლიბიის მთავრობა არ აღიარებდა ლტოლვილის სტატუსს, რომელსაც ანიჭებდა UNHCR ოფისი ტრიპოლში, ამ სტატუსის მინიჭება ახდენდა იმ ფაქტის დემონსტრირებას, რომ მიგრანტთა ჯგუფი, რომელსაც ისინი მიეკუთვნებოდნენ იყო საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე.

(ბ) მთავრობა

141. მთავრობამ აღნიშნა რომ ლიბია იყო ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმომწერი და განაცხადა რომ 2008 წლის მეგობრობის შეთანხმების რატიფიცირებით მან ნათლად აიღო ვალდებულება დაეცვა პრინციპები, რომლებიც მოცემულია გაეროს ქარტიასა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში.

142. მთავრობამ კვლავ დაადასტურა, რომ UNHCR არსებობა ლიბიაში უზრუნველყოფდა, რომ არავინ ვინც უფლებამოსილი იყო მოეთხოვა თავშესაფარი ან საერთაშორისო დაცვის რაიმე სხვა ფორმა არ იქნებოდა თვითნებურად გაძევებული. მთავრობამ აღნიშნა, რომ მომჩივანთა მნიშვნელოვან რაოდენობას მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი ლიბიაში, რაც გამორიცხავდა მათ რეპატრაციას.

(გ) მესამე მხარედ ჩართული ორგანიზაციები

143. UNHCR – მა განაცხადა რომ ლიბია ხშირად ახორციელებდა ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა კოლექტიურ გაძევებას მათი წარმოშობის ქვეყანაში, სადაც ისინი შეიძლება დაქვემდებარებოდნენ წამებას ან სხვა სახის არასათანადო მოპყრობას. ორგანიზაციამ დაგმო ლიბიაში საერთაშორისო დაცვის სისტემის არ არსებობა, რამაც გამოიწვია მაღალი საფრთხე იმ პირთა მასობრივ “რეფოულემენტ“-თან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროებდნენ დაცვას.

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა, Human Rights Watch –მა და Amnesty International –მა აღნიშნეს იმ საფრთხის შესახებ, რომლებიც

არსებობს ერიტრეასა და სომალიში იძულებით რეპატრირებულ პირებთან დაკავშირებით. ხსენებულ ქვეყნებში პირებს ემუქრებოდათ წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საფრთხე და მოელოდათ ძალზედ რთული საცხოვრებელი პირობები.

144. Aire Center -მა, Amnesty International-მა და FIDH -მ განაცხადეს, რომ კონკრეტულ თავშესაფრის მაძიებლებისა და ღია ზღვაში აღმოჩენილი პირების მოწყვლადი მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ გემის ბორტზე არ არსებობდა შესაბამისი გარანტიები, რათა შესაბამის პირებს გაესაჩივრებინათ მათი უკან დაბრუნება მონაწილე სახელმწიფოებისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო პირების უკან დაბრუნების ღონისძიების განხორციელებისას, გამოეკვლიათ მიმღებ სახელმწიფოში არსებული მდგომარეობა, მათ შორის შემდგომი დაბრუნების რაიმე საფრთხეც.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) დასაშვებობა

145. სასამართლო მიიჩნევს რომ მოცემული საჩივარი წამოჭრის სამართალსა და ფაქტებთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს რომელთა გადაწყვეტაც შეუძლებელია საქმის არსებითად განხილვის გარეშე. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ საჩივრის ეს ნაწილი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის მნიშვნელობით. არ არსებობს ასევე რაიმე სხვა საფუძველი მის დაუშვებლად გამოცხადებისათვის. შესაბამისად საჩივარი უნდა გამოცხადდეს არსებით განხილვაზე დაშვებულად.

(ბ) არსებითი მხარე

146. სასამართლო იმეორებს პრინციპს, რომლის მიხედვითაც უცხოელთა არაპირდაპირი გაძევება კვლავაც უცვლელს ტოვებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას და სახელმწიფო ვალდებულია, მყარად დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად უზრუნველყოს, რომ შესაბამისი პირი არ დაექვემდებაროს მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის რეალურ საფრთხეს სამშობლოში უკან დაბრუნების შემთხვევაში (იხილეთ, *mutatis mutandis*, T.I. v. the United Kingdom (dec.), no. 43844/98, ECHR 2000-III, და M.S.S. ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 342).

147. პირის სამშობლოში დაბრუნების დროს, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ შუალედური ქვეყანა ითვალისწინებდეს შესაბამის გარანტიებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონკრეტული პირის სამშობლოში დაბრუნება შესაბამისი საფრთხეების გაანალიზების გარეშე.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც წინამდებარე საქმის მსგავსად შუამავალი სახელმწიფო არ არის კონვენციის ხელშეკრული მხარე.

148. მოცემულ საქმეში სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენს დაადგინოს დაირღვეოდა თუ არა კონვენცია მომჩივნების რეპატრიაციის შემთხვევაში. სასამართლოს ამოცანაა დაადგინოს რამდენად არსებობდა იმის შესაბამისი გარანტიები, რომ აღნიშნული პირები არ იქნებოდნენ თვითნებურად დაბრუნებულები სამშობლოში, მაშინ როდესაც ამ პირებს გააჩნდათ დასაბუთებული მოსაზრება, რომ რეპატრიაციის შემთხვევაში მათ მიმართ მოხდებოდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

149. სასამართლოს გააჩნია გარკვეული ინფორმაცია მომჩივნების წარმოშობის ქვეყნებში, ერიტრეასა და სომალიში არსებული ზოგადი მდგომარეობის შესახებ. ხსენებული ინფორმაცია სასამართლოს წარუდგინეს შესაბამისმა მხარეებმა და საქმეში მე-3 მხარედ ჩართულმა ორგანიზაციებმა (იხილეთ 43-ე და 44-ე პუნქტები ზემოთ).

150. სასამართლო აღნიშნავს რომ UNHCR და Human Rights Watch-ის მიხედვით, ერიტრეაში იძულებით რეპატრირებული პირები გახდნენ წამების და არაადამიანურ პირობებში მოთავსების მსხვერპლნი მარტო იმიტომ, რომ დატოვეს ქვეყანა უკანონოდ. რაც შეეხება სომალის, შუფი ანდ Eლმი-ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა მოგადიშუმი არსებული ძალადობის მაღალი დონე და მზარდი საფრთხე იმ პირებთან მიმართებაში, ვინც დაბრუნდნენ ქვეყანაში, იმ მიზნით რომ გაევლოთ ტერიტორია სადაც მიმდინარეობდა სამხედრო კონფლიქტი ან მოეთხოვათ თავშესაფარი გადაადგილებულ პირთა ან ლტოლვილთა ბანაკებში, სადაც საცხოვრებელი პირობები შემამფოთებელი იყო.

151. სასამართლო მიიჩნევს რომ მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია *prima facie* მიუთითებს, რომ სიტუაცია სომალისა და ერიტრეაში იყო და რჩება მაღალი საფრთხის შემცველად. ეს მოსაზრება, არ გამხდარა სადავო სასამართლოს წინაშე.

152. შესაბამისად მომჩივნებს მაღალი ალბათობით შეეძლოთ ემტკიცებინათ, რომ მათი რეპატრიაცია დაარღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს. სასამართლომ ახლა უნდა გადაწყვიტოს რამდენად გააჩნდა იტალიის ხელისუფლების ორგანოებს იმის გონივრული მოლოდინი, რომ ის უზრუნველყოფდა საკმარის გარანტიებს თვითნებური რეპატრიაციისაგან.

153. სასამართლო, უპირველესყოვლისა, აღნიშნავს რომ ლიბიას არ მოუხდენია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის კონვენციის რატიფიცირება. მეტიც, საერთაშორისო დამკვირვებლებმა ყურადღება გაამახვილეს ლიბიაში რაიმე ფორმის თავშესაფრისა და ლტოლვილთა დაცვის პროცედურის არ არსებობაზე. ამასთან დაკავშირებით, სასამართლოს უკვე აღნიშნა, რომ UNHCR არსებობა ტრიპოლში ფაქტიურად არ წარმოადგენდა არანაირ გარანტიას თავშესაფრის მაძიებელთა დაცვისათვის იმ ნეგატიური შეხედულების გამო,

რომელიც გააჩნდათ ლიბიის ხელისუფლების ორგანოებს ამ ორგანიზაციასთან მიმართებაში. ხელისუფლების ორგანოები არ ანიჭებდნენ არანაირ მნიშვნელობას ლტოლვილის სტატუსს (იხილეთ 130 პუნქტი ზემოთ).

154. ამ პირობებში, სასამართლო ვერ დაეთანხმება მთავრობის არგუმენტს იმის თაობაზე რომ UNHCR-ის საქმიანობა წარმოადგენდა გარანტიას თვითნებური რეპატრიაციის საწინააღმდეგოდ. მეტიც, Human Rights Watch-მა და UNHCR-მა დაგმეს უკანონო მიგრანტების, მათ შორის თავშესაფრის მაძიებლების და ლტოლვილების ადრე განხორციელებული იძულებითი დაბრუნება, მაღალი საფრთხის შემცველ ქვეყნებში.

155. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მომჩივანთა ნაწილმა მოიპოვა ლტოლვილის სტატუსი არ არის საკმარისი სასამართლოს დასარწმუნებლად, რომ არ არსებობს თვითნებური დაბრუნების საფრთხე. ხსენებულის საპირისპიროდ, სასამართლო იზიარებს მომჩივანთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ეს წარმოადგენს დამატებით მტკიცებულებას შესაბამისი პირების მოწყვლადობის შესახებ.

156. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ როდესაც მოხდა მომჩივნების გადაყვანა ლიბიაში, იტალიის ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდნენ იმის შესახებ, რომ არ არსებობდა საკმარისი გარანტიები შესაბამისი პირების სამშობლოში თვითნებური დაბრუნების საფრთხესთან დაკავშირებით. ყოველივე ხსენებული კი ნათელი უნდა ყოფილიყო იმის ფონზე, რომ არ არსებობდა თავშესაფრის რაიმე პროცედურა და შეუძლებელი იყო ლიბიის ხელისუფლების იძულება ელიარებიან UNHCR-ის მიერ მინიჭებული ლტოლვილის სტატუსი.

157. მეტიც, სასამართლო იმეორებს რომ იტალია არ არის გათავისუფლებული მისი კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან, რადგან მომჩივნებმა არ მოითხოვეს თავშესაფარი ან არ ახსნეს მოსალოდნელი საფრთხე იმის გამო რომ არ არსებობდა თავშესაფრის სისტემა ლიბიაში. ის კვლავ იმეორებს რომ იტალიის ხელისუფლების ორგანოებს უნდა შეესწავლათ თუ რამდენად ასრულებდნენ საერთაშორისო ვალდებულებებს ლიბიის ხელისუფლების ორგანოები ლტოლვილთა დაცვის კუთხით.

158. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მომჩივნების გადაყვანამ ლიბიაში დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან ამან განაპირობა მომჩივნებისთვის თვითნებური რეპატრიაციის საფრთხის წარმოშობა.

IV. მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის სავარაუდო დარღვევა.

159. მომჩივნებმა აღნიშნეს რომ ისინი გახდნენ კოლექტიური გაძევების მსხვერპლნი რაც უკანონო იყო. ისინი დაეყრდნენ მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლს, რომლის მიხედვითაც:

“დაუშვებელია უცხოელთა კოლექტიური გაძევება”

1. მხარეთა მოსაზრებები

(ა) მთავრობა

160. მთავრობამ განაცხადა რომ მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი არ იყო შემხებლობაში განსახილველ საქმესთან. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ამ დებულებით მოცემული გარანტია მოქმედებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხდებოდა უცხოელების, ან საზღვრის უკანონოდ გადამკვეთი პირების, გაძევება სახელმწიფოს ტერიტორიიდან. მოცემულ საქმეში, ხსენებული ღონისძიება წარმოადგენდა ხელისუფლების ორგანოების უარს დაეშვათ მომჩივნები სახელმწიფოს ტერიტორიაზე და არა „გაძევებას“.

(ბ) მომჩივნები

161. აღიარებდნენ, რომ სიტყვა „გაძევება“ წარმოადგენს იმის წინაპირობას, რომ მე-4 ოქმის მე-4 მუხლი იქნეს გამოყენებული, მომჩივნებმა განაცხადეს რომ ევოლუციურ მიდგომას უნდა მიეყვანა სასამართლო იმ დასკვნამდე, რომ ელიარებინა მე-4 ოქმის მე-4 მუხლის გამოყენება მოცემულ საქმეში.

162. კერძოდ, მომჩივნები მოითხოვდნენ სასამართლოსაგან ამ დებულების ფუნქციურ და ლოგიკურ განმარტებას. მათი მოსაზრებით, კოლექტიური გაძევების ძირითადი მიზანი იყო მოეხდინა იმის უზრუნველყოფა, რომ სახელმწიფოებს არ გაეძევებინათ უცხოელთა ჯგუფები მათი ინდივიდუალური გარემოებების შესწავლის გარეშე. ხსენებული მიდგომა აგრეთვე უნდა გამოიყენებოდეს ღია ზღვაში მყოფ მიგრანტთა უკან დაბრუნების ღონისძიებებთან მიმართებაშიც, რომლებიც ხორციელდება რაიმე წინასწარი ფორმალური გადაწყვეტილების მიღების გარეშე, რადგანაც მოცემული ღონისძიებები შეიძლება წარმოადგენდეს „ფარულ გაძევებას“. ამ დებულების მიზანმიმართული და „ექსტრატერიტორიული“ განმარტება უნდა ხდებოდეს პრაქტიკულ და ეფექტიან და არა მარტოდენ თეორიულ და ილუზიურ კონტექსტში.

163. მომჩივნების მიხედვით, იმ შემთხვევებშიც კი თუ სასამართლოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის მიერ დადგენილი აკრძალვა მხოლოდ ტერიტორიული ხასიათის იყო, მათი ლიბიაში უკან დაბრუნება ყველა შემთხვევაში მოექცეოდა მოცემული მუხლის მოქმედების არეალში, რადგან ეს განხორციელდა იტალიის დროშის ქვეშ მცურავ გემზე, რაც იტალიის ნავიგაციის კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით წარმოადგენს „იტალიის ტერიტორიას“. მომჩივნების ლიბიაში დაბრუნება, რაიმე წინასწარი იდენტიფიკაციისა და პერსონალური

მდგომარეობის განხილვის გარეშე, წარმოადგენდა გაძევების ღონისძიებას, რაც თავისი შინაარსით, იყო „კოლექტიური“.

(C) მესამე მხარედ ჩართული ორგანიზაციები

164. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), რომლის მოსაზრებებიც გაზიარებულ იქნა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ (UNHCR) (იხილეთ მე-7 პუნქტი ზემოთ), ამტკიცებდა რომ მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი შემხებლობაში იყო ამ საქმესთან. მესამე მხარედ ჩართულმა ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ ხსენებულ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდა, საერთაშორისო მიგრაციის სფეროში ამ დებულების ფართო ინტერპრეტაციის პოტენციური მნიშვნელობის გათვალისწინებით.

მას შემდეგ რაც აღინიშნა რომ უცხოელების, და მათ შორის ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფი პირების, კოლექტიური გაძევება, ზოგადად აკრძალული იყო საერთაშორისო სამართლის მიხედვით, UNHCR ამტკიცებდა, რომ ღია ზღვაში აღმოჩენილ პირებს უნდა შეეძლოთ ისარგებლონ დაცვის გარანტიებით, რათა არ მოხდეს მათი ამ სახით გაძევება, იმ შემთხვევაშიც კი თუ მათ არ მიუღწევიათ სახელმწიფოს საზღვრისთვის.

კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე კოლექტიური გაძევება ღია ზღვაში აკრძალულია, და კონვენციის დებულებებიც უნდა განიმარტოს ხსენებული პრინციპის შესაბამისად. სახელმწიფოებისთვის იმის შესაძლებლობის მიცემა რომ ღია ზღვაში აღმოჩენილი მიგრანტები უკან მიაბრუნოს მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის დარღვევით იმის ნიშანი იქნება, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ თავი აარიდონ კონვენციით დაკისრებულ ვალდებულებებს მათი სასაზღვრო ოპერაციების გაფართოებით. მეტიც, ღია ზღვაში განხორციელებულ საქმიანობაზე ხელმომწერი სახელმწიფოების ექსტრატერიტორიული იურისდიქციის გავრცელება, UNHCR მიხედვით, გულისხმობს იმის პრეზუმპციას, რომ კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული ყველა უფლება იქნება გამოყენებული.

165. კოლუმბიის სამართლის სკოლის ადამიანის უფლებათა კლინიკამ ყურადღება გაამახვილა ლტოლვილთა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული პროცედურული გარანტიების მნიშვნელობაზე. სახელმწიფოები ვალდებულნი არიან განიხილონ თითოეული ინდივიდის სიტუაცია კონკრეტული საქმის მიხედვით, რათა მოახდინონ იმის უზრუნველყოფა, რომ შესაბამისი პირების ფუნდამენტური უფლებები ეფექტიანად იქნეს დაცული და თავიდან იქნესაცილებული მათი გაძევება როდესაც არსებობს მათთვის ზიანის მიყენების საფრთხე.

კოლუმბიის სამართლის სკოლის ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადებით ზღვის მეშვეობით განხორციელებული უკანონო მიგრაცია წარმოადგენდა ახალ ფენომენს მაგრამ საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა

იმის საჭიროება, რომ მოეხდინა იმ შეზღუდვების იდენტიფიცირება, რომლებიც უნდა მოქმედებდეს სახელმწიფოს მიერ მიგრაციის კონტროლთან დაკავშირებით, მათ შორის ზღვაში აღმოჩენის შემთხვევაშიც. ნონ-რეფოულემენტ პრინციპი მოითხოვს სახელმწიფოებისგან თავი შეიკავონ პირების გაძევებისაგან მათი გარემოებების კონკრეტული საქმის მიხედვით განხილვის გარეშე.

გაეროს რიგმა ორგანოებმა, ისეთმა როგორიცაა წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, ნათლად განაცხადეს რომ მოცემული პრაქტიკა დაკავშირებული იყო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების დარღვევის საფრთხესთან და ყურადღება გაამახვილეს ინდივიდუალური იდენტიფიკაციისა და შეფასების მნიშვნელობაზე, რათა შესაბამისი პირები დაცული ყოფილიყვნენ გაძევებისაგან ისეთ ქვეყნებში სადაც მათ ემუქრებოდათ არასათანადო მოპყრობის საფრთხე. ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისმა კომისიამ აღიარა ამ პრინციპების მნიშვნელობა საქმეში *The Haitian Center for Human Rights et al. v. United States* (საქმე #10 675, ანგარიში # 51/96, § 163), რომელშიც მან გამოხატა მოსაზრება, რომ დაუშვებელი იყო აშშ-ს მიერ ჰაიტელი მიგრანტების სამშობლოში დაბრუნება მათი სტატუსის ადექვატური განსაზღვრის გარეშე. ასევე დაუშვებელი იყო მათთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისათვის აუცილებელი განხილვის არწარმართვა. მოცემული გადაწყვეტილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან ის ეწინააღმდეგებოდა აშშ უზენაესი სასამართლოს ადრეულ პრაქტიკას საქმეში *Sale v. Haitian Centers Council* (113 S. Ct., 2549, 1993).

2. სასამართლოს შეფასება

(ა) დასაშვებობა

166. სასამართლომ უპირველესყოვლისა უნდა განიხილოს დასაშვებობის საკითხი მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის შესაბამისად. საქმეში *Henning Becker v. Denmark* (no. 7011/75, 1975 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება) დანიის ხელისუფლების მხრიდან დაახლოებით ორასი ვიეტნამელი ბავშვისაგან შემდგარი ჯგუფის რეპატრაციასთან დაკავშირებით კომისიამ პირველად განსაზღვრა “უცხოელთა კოლექტიური გაძევება” როგორც “კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოების ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც აიძულებს უცხოელებს, როგორც ჯგუფს, დატოვოს ქვეყანა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოცემული ღონისძიება მიღებულია უცხოელთა ჯგუფის წარმომადგენელთა თითოეულის კონკრეტული საქმის დასაბუთებული და ობიექტური განხილვის შემდეგ და საფუძველზე”.

167. მოცემული დეფინიცია გამოყენებულ იქნა შემდგომში კონვენციის ორგანოების მიერ სხვა საქმეებში მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლთან დაკავშირებით. სასამართლო აღნიშნავს რომ მოცემულ საქმეთა უმრავლესობა

მოიცავდა პირებს, ვინც იყვნენ განსახილველ ტერიტორიაზე (იხილეთ K.G. v. the F.R.G., no.7704/76, 1977 წლის 1 მარტის კომისიის გადაწყვეტილება; O. and Others v. Luxembourg, no.7757/77, 1978 წლის 3 მარტის კომისიის გადაწყვეტილება; A. and Others v. the Netherlands, no. 14209/88, 1988 წლის 16 დეკემბრის კომისიის გადაწყვეტილება; Andric v. Sweden (dec), no. 45917/99, 23 თებერვალი 1999; Čonka v. Belgium, no. 51564/99, ECHR 2002 I; Davydov v. Estonia (dec), no. 31 მაისი 2005; Berisha and Haljiti v. “the former Yugoslav Republic of Macedonia”, no. 18670/03, 2005 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება; Sultani v. France, no.45223/05, ECHR 2007-X; Ghulami v. France (dec), no.45302/05, 7 აპრილი 2009; და Dritsas v. Italy (dec). 2344/02, 1 თებერვალი 2011).

168. აღსანიშნავია, რომ Xhavera and Others v. Italy da Albania ((dec), no. 39473/98, 2001 წლის 11 იანვარი) საქმე, ეხებოდა ალბანელ მოქალაქეებს, რომელთაც სცადეს შესულიყვნენ იტალიაში უკანონოდ ალბანურ ხომალდზე ყოფნით და აღმოჩენილ იქნენ იტალიელი სამხედრო გემების მიერ დაახლოებით 35 საზღვაო მილის მოშორებით იტალიის სანაპიროდან. იტალიურმა გემმა სცადა ხელი შეეშალა პირებისთვის ეროვნულ ტერიტორიაზე შესვლაში, რამაც შეჯახების შედეგად გამოიწვია ორმოცდათვრამეტი პირის, მათ შორის მომჩივნების მშობლების, გარდაცვალება. ამ საქმეში მომჩივნებმა გაასაჩივრეს კონკრეტულად 1997 წლის კანონი #60, რაც ითვალისწინებდა ჩვეულებრივი უცხოელების დაუყოვნებლივ გაძევების, ღონისძიებას, რომელიც მხოლოდ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას, გაძევების აღსრულების შეჩერების გარეშე. ისინი მიიჩნევდნენ რომ ეს წარმოადგენდა მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლით უზრუნველყოფილი გარანტიის დარღვევას. სასამართლომ უარყო საჩივარი *ratione personae* პრინციპთან შეუსაბამობის გამო, რადგან განსახილველი დებულება არ ყოფილა გამოყენებული მათ საქმეში. სასამართლომ არ იმსჯელა მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის გამოყენებაზე მოცემულ საქმეში.

169. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ, უპირველესყოვლისა უნდა განიხილოს რამდენად ვრცელდება მე-4 ოქმის მე-4 მუხლი საქმეზე, რომელიც მოიცავს უცხოელთა გაძევებას მესამე სახელმწიფოში, რაც ეროვნული ტერიტორიის გარედან განხორციელდა. უნდა დადგინდეს, რამდენად წარმოადგენდა მომჩივნების გადაყვანა ლიბიაში “უცხოელთა კოლექტიური გაძევების” განსახილველი დებულების შინაარსიდან გამომდინარე.

170. კონსტიტუციის დებულებების განმარტების დროს სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ ვენის კონვენციის 31-ე და 33-ე მუხლებზე (მაგალითის სახით იხილეთ, Golder v. the United Kingdom, 21 თებერვალი 1975, § 29, Series A no.18; Demir and Baykara v. Turkey [GC], no. 34503/97, §65, 12 ნოემბერი 2008; და Saadi v. the United Kingdom [GC], no.13229/03, § 62, 29 იანვარი 2008).

171. საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ ვენის კონვენციის შესაბამისად, სასამართლომ უნდა დაადგინოს ჩვეულებრივი მნიშვნელობა, რომელიც ხელშეკრულების ტერმინებს უნდა მიეცეს მათ კონტექსტში, გამომდინარე ხელშეკრულების ობიექტიდან და მიზნებიდან. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის ფაქტი რომ განსახილველი დებულება ქმნის ხელშეკრულების ნაწილს ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის მიზნით და კონვენცია უნდა იქნეს წაკითხული და განმარტებული ერთიანობაში იმგვარად რომ წახალისდეს ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა და მის სხვადასხვა დებულებებს შორის ჰარმონია (იხილეთ *Stec and Others v. the United Kingdom* (dec) [GC], nos. 65731/01 და 65900/01, § 48, ECHR 2005-X). სასამართლომ აგრეთვე უნდა მიიღოს მხედველობაში საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი შესაბამისი დებულებები და პრინციპები, რომლებიც გამოიყენება ხელშემკვრელ მხარეებს შორის ურთიერთობის დროს (იხილეთ *Al-Adsani v. the United Kingdom* [GC], no. 35763/97, § 55, ECHR 2001-XI, და *Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi (Bosphorus Airways) v. Ireland* [GC], no. 45036/98, § 150, ECHR 2005-VI; იხილეთ აგრეთვე ვენის კონვენციის 31-ე მუხლის მე-3 (c) ნაწილი). სასამართლოს შეუძლია აგრეთვე მიმართოს განმარტების დამატებით საშუალებებს, კერძოდ კონვენციის *travaux préparatoires* (მოსამზადებელ მასალებს), იმისათვის, რომ ზემოთ მითითებული მეთოდების შესაბამისად დაადასტუროს განსაზღვრული შინაარსი, ან იმისათვის რომ დაზუსტდეს შინაარსი როდესაც ის სხვაგვარად იქნებოდა გაურკვეველი, ბუნდოვანი ან ამკარად იწვევდა აბსურდულ ან არაგონივრულ შედეგებს (იხილეთ ვენის კონვენციის 32-ე მუხლი).

172. მთავრობამ განაცხადა, რომ არსებობდა ლოგიკური ხელის შემშლელი გარემოება მოცემულ საქმეში მე-4 ოქმის მე-4 მუხლის გამოყენებისათვის. კერძოდ, მომჩივნები არ იმყოფებოდნენ იტალიის ტერიტორიაზე მათი ლიბიაში გადაყვანის დროს და მოცემული ღონისძიება, მთავრობის აზრით, არ შეიძლება განხილული ყოფილიყო, როგორც “გაძევება” ამ ტერმინის ჩვეულებრივი შინაარსის გათვალისწინებით.

173. სასამართლო არ დაეთანხმა მთავრობის მოსაზრებას ამ საკითხზე. ის აღნიშნავს, რომ როცა განხილული საქმეები ეხებოდა ინდივიდებს ვინც უკვე იყვნენ, სხვადასხვა ფორმით, შესაბამისი ქვეყნის ტერიტორიაზე, მე-4 ოქმის მე-4 მუხლის ტექსტი თავისთავად არ უქმნის პრობლემას მის ექსტრატერიტორიულ გამოყენებას. უნდა აღინიშნოს, რომ მე-4 ოქმის მე-4 მუხლი არ მოიცავს რაიმე მითითებას “ტერიტორიის” შესახებ. თუმცა, მოცემული ოქმის მე-3 მუხლის ტექსტი, პირდაპირ უთითებს - მოქალაქეების გაძევების აკრძალვის ტერიტორიულ მოქმედებაზე. ამის მსგავსად, მე-7 ოქმის პირველი მუხლი ნათლად მიუთითებს ტერიტორიის ცნებაზე სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრები უცხოელების გაძევებასთან დაკავშირებულ პროცედურულ გარანტიებთან დაკავშირებით. სასამართლოს მოსაზრებით, მოცემული ტექსტისიგნორირება დაუშვებელია.

174. Travaux préparatoires არ ხდის ნათელს მე-4 ოქმის მე-4 მუხლის გამოყენების ფარგლებსა და შინაარსთან მიმართებაში. ნებისმიერ შემთხვევაში, მე-4 ოქმის 1963 წლის განმარტებითი ბარათი, ცხადყოფს, რომ როგორც ექსპერტთა კომიტეტი მიიჩნევს მე-4 მუხლის მიზანი იყო ფორმალურად აეკრძალა “უცხოელთა კოლექტიური გაძევება ისეთი სახით როგორც ეს ხდებოდა უახლოეს ისტორიაში”. შესაბამისად, “მიღწეულ იქნა შეთანხმება რომ მოცემული მუხლისა [მე-4 მუხლი] და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიღება არ შეიძლება რაიმე ფორმით იქნეს განმარტებული როგორც წარსულში უცხოელთა კოლექტიური გაძევების ღონისძიებების გამართლება.” პროექტის კომენტარი გვამცნობს რომ ექსპერტთა კომიტეტის მიხედვით, უცხოელები რომლებზეც მუხლი მიუთითებს, არიან არა მარტო ისინი ვინც კანონიერად ცხოვრობენ ტერიტორიაზე, არამედ “ყველა ისინი ვისაც არა აქვთ მოქალაქეობის უფლება ქვეყანაში, კვეთავენ რა სახელმწიფოს, ცხოვრობენ მის ტერიტორიაზე, არიან რა ლტოლვილები ან შევიდნენ ქვეყანაში მათი ინიციატივით ან არიან მოქალაქეობის არმქონე პირები ან აქვთ სხვა სხვა ქვეყნის მოქალაქეობა” (კომიტეტის საბოლოო პროექტის მე-4 მუხლი, გვერდი 505, §34). ბოლოს, მე-4 ოქმის შემქმნელების მიხედვით სიტყვა “გაძევება” უნდა იქნეს განმარტებული “ორიგინალური შინაარსით, როგორც ეს ძირითადად გამოიყენება (ადგილიდან გაყვანა)”. როცა ეს უკანასკნელი დეფინიცია მოცემულია ოქმის მე-3 მუხლთან დაკავშირებულ ნაწილში, სასამართლო მიიჩნევს რომ ის აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოცემული ოქმის მე-4 მუხლთან მიმართებაშიც. ამასთან ერთად travaux préparatoires არ კრძალავს მე-4 ოქმის მე-4 მუხლის ექსტრა-ტერიტორიულ გამოყენებას.

175. საჭიროა გაირკვეს, რამდენად დასაბუთებულია მოცემული განმარტება. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ყურადღება უნდა მიექცეს განსახილველი დებულების მიზანსა და შინაარსს, რომელიც თავისთავად უნდა გაანალიზდეს სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ფუძემდებლური პრინციპის საფუძველზე, რომ კონვენცია ცოცხალი ინსტრუმენტია, და დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა იქნეს განმარტებული. (იხილეთ, მაგალითად, Soering -ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, §102; *Dudgeon v. the United Kingdom*, 22 ოქტომბერი 1981, 1981, Series A no. 45; *X,Y and Z v. the United Kingdom*, 22 აპრილი 1997, Reports 1997-II; *V. v. the United Kingdom [GC]*, no. 24888/94, § 72, ECHR 1999-IX; და *Matthews v. the United Kingdom [GC]*, no. 24833/94, § 39, ECHR 1999-I). მეტიც, აუცილებელია რომ კონვენცია ინტერპრეტირებული და გამოყენებული იქნეს იმ ფორმით რაც განაპირობებს რომ დაცვის გარანტიები იყოს პრაქტიკული და ეფექტიანი და არა თეორიული და ილუზიური. (იხილეთ *Marckx v. Belgium*, 13 ივნისი 1979, §41, Series A no. 31; *Airey v. Ireland*, 9 ოქტომბერი 1979, § 26, Series A no.32; *Mamatkulov and Askarov v. Turkey [GC]*, nos. 46827/99 და 46951/99, § 121, ECHR 2005-I; *Leyla Şahin v. Turkey [GC]*, no. 44774/98, §136, ECHR 2005-XI).

176. დიდი დრო გავიდა მე-4 ოქმის შემუშავებიდან. იმ პერიოდის შემდეგ იზრდება მიგრაცია ევროპაში. ემიგრანტთა ნაკადი ხშირად ტოვებს ქვეყანას ზღვის საშუალებით. დღესდღეისობით, სახელმწიფოები უკანონო მიგრაციის აღკვეთის ერთ-ერთ საშუალებად მიგრანტების ღია ზღვაში აღმოჩენას და ტრანზიტის ან წარმოშობის ქვეყნებში დაბრუნებას მოიაზრებენ.

ეკონომიკურ კრიზისსა და უკანასკნელ სოციოლოგიურ თუ პოლიტიკურ ცვლილებებს, რომლებმაც კონკრეტული ზეგავლენა მოახდინეს აფრიკის გარკვეულ რეგიონებზე და ცენტრალურ აზიაზე, ახალი გამოწვევები გაუჩინა ევროპულ ქვეყნებს იმიგრაციის კონტროლის თვალსაზრისით.

177. სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ კომისიისა და სასამართლოს ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მე-4 ოქმის მე-4 მუხლის მიზანია მოახდინოს იმის პრევენცია, რომ სახელმწიფოებმა არ განახორციელონ გარკვეული უცხოელების გადაყვანა მათი პირადი გარემოებების შესწავლის გარეშე და შესაბამისად, მათთვის შესაძლებლობის მინიჭების გარეშე რომ წარადგინონ არგუმენტები შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების მიერ აღნიშნული ღონისძიების გატარების საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, მე-4 ოქმის მე-4 მუხლი კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა ეროვნული ტერიტორიიდან მხოლოდ კოლექტიური გაძევების შემთხვევაში რომ იქნეს გამოყენებული, თანამედროვე მიგრაციის თავისებურებების მნიშვნელოვანი კომპონენტი არ მოხვდებოდა ზემოაღნიშნულ მუხლში, იმის მიუხედავად რომ ქმედება რომელსაც ეს დებულება კრძალავს, ეროვნული ტერიტორიის გარეთ ხორციელდება, კერძოდ კი ღია ზღვაში. შესაბამისად მე-4 მუხლი არაეფექტიანი იქნებოდა პრაქტიკაში მოცემულ სიტუაციებში, რაც, ამის მიუხედავად სულ უფრო გახშირდა. ამის შედეგი იქნებოდა რომ ხმელეთის მეშვეობით გადაადგილებული მიგრანტებისაგან განსხვავებით, მიგრანტები, რომლებიც ზღვით გადადიან და ხშირად საკუთარ სიცოცხლეს აყენებენ საფრთხის ქვეშ, ვერ მოახერხებდნენ მიეღწიათ სახელმწიფოს საზღვრამდე, და არ იქნებოდნენ უფლებამოსილნი ესარგებლათ მათი პერსონალური გარემოებების შემოწმების შესაძლებლობით მანამ სანამ მოხდებოდა მათი გაძევება.

178. შესაბამისად ნათელია რომ მაშინ, როდესაც ცნება “იურისდიქცია” ძირითადად ტერიტორიულ ხასიათს ატარებს და გულისხმობს რომ უნდა იქნეს აღსრულებული სახელმწიფოთა ეროვნულ ტერიტორიაზე (იხილეთ 71-ე მუხლის პუნქტი ზემოთ), გაძევების ცნება აგრეთვე პრინციპულად ტერიტორიულია, იმ თვალსაზრისით რომ გაძევებები ყველაზე ხშირად ხდება ეროვნული ტერიტორიიდან. როცა ამის მიუხედავად, როგორც მოცემულ საქმეში, სასამართლომ დაადგინა რომ მონაწილე სახელმწიფომ როგორც გამონაკლისი, გამოიყენა მისი იურისდიქცია მისი ეროვნული ტერიტორიის გარეთ, ის ვერ ხედავს რაიმე წინაღობას იმის მისაღებად რომ ექსტრატერიტორიულმა გამოყენებამ იურისდიქციის სახელმწიფოს მიერ მიიღო კოლექტიური გაძევების ფორმა.

სხვაგვარი დასკვნა და უკანასკნელი ცნებისთვის ტერიტორიული არსის მინიჭება გამოიწვევს არათანაბარ სიტუაციას კონვენციის, როგორც ასეთის, გამოყენების ფარგლებსა და მე-4 ოქმის მე-4 მუხლს შორის, რაც იქნება კონვენციის მოცემული პრინციპის საწინააღმდეგო, რომელიც გულისხმობს მის განმარტებას ერთიანობაში. მეტიც, ღია ზღვაში სახელმწიფოს მიერ მისი იურისდიქციის განხორციელებასთან დაკავშირებით, სასამართლომ უკვე აღნიშნა, რომ საზღვაო გარემოს სპეციალურმა ხასიათმა არ შეიძლება გაამართლოს კანონის გარეთ არსებული ტერიტორია სადაც ინდივიდებს არ ფარავს რაიმე სამართლებრივი სისტემა და კონვენციით გარანტირებული უფლებები, რომელთა დაცვის ვალდებულება ყველა ადამიანის მიმართ აიღეს სახელმწიფოებმა მათი იურისდიქციის ფარგლებში (იხილეთ Medvedyev and Others -ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 81).

179. ზემოაღნიშნული მოსაზრებები არ აყენებენ კითხვის ნიშნის ქვეშ სახელმწიფოთა უფლებას განხორციელოს საიმიგრაციო პოლიტიკა. ამის მიუხედავად უნდა აღინიშნოს რომ მიგრაციის ტალღების მართვასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა არ შეიძლება გაამართლოს ისეთი პრაქტიკის გამოყენება, რომელიც შეუსაბამოა სახელმწიფოს ვალდებულებებთან კონვენციის მიხედვით. სასამართლო აცხადებს, რომ ხელშეკრულებების დებულებები უნდა იქნეს განმარტებული კეთილსინდისიერად ხელშეკრულების მიზნისა და დანიშნულების გათვალისწინებით და ეფექტიანობის პრინციპის შესაბამისად (იხილეთ Mamatkulov and Askarov ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 81 § 123).

180. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს რომ ღია ზღვაში აღმოჩენის შედეგად განხორციელებული უცხოელთა გაძევება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მათ მიერ სუვერენული ხელისუფლების განხორციელების კონტექსტში, რომლის ეფექტი არის ის რომ მოხდეს მიგრანტების პრევენცია სახელმწიფოს საზღვრებამდე მათი მიღწევის მომენტამდე ან მათი გაძევება სხვა სახელმწიფოს მიმართულებით, წარმოადგენს იურისდიქციის განხორციელებას კონვენციის პირველი მუხლის შინაარსის შესაბამისად, რაც განაპირობებს შესაბამისი სახელმწიფოს ვალდებულებებს მე-4 ოქმის მე-4 მუხლის თვალსაზრისით.

181. მოცემულ საქმეში, სასამართლო მიიჩნევს რომ ოპერაცია რომლის შედეგი იყო მომჩივნების გადაყვანა ლიბიაში განხორციელდა იტალიის ხელისუფლების ორგანოების მიერ იტალიის ტერიტორიაზე უკანონო მიგრანტების მიერ შემოსვლის თავიდან აცილების მიზნით. ამასთან კავშირში, ეს განსაკუთრებულ წონას სძენს კონკრეტულ განცხადებებს რომლებიც გაკეთდა მოცემული მოვლენების შემდეგ იტალიის პრესაში და სახელმწიფოს სენატში შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, რომელშიც მან განმარტა უკან დაბრუნების ოპერაციების მნიშვნელობა ღია ზღვაში უკანონო მიგრაციის დამარცხების თვალსაზრისით და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა ხმელეთის გამოყენებით მიგრანტთა შემოსვლა, რაც შედეგად მოჰყვა 2009

წლის მაისში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას (იხილეთ მე-13 პუნქტი ზემოთ).

182. შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მთავრობის პრეტენზიას და მიიჩნევს რომ მე-4 ოქმის მე-4 მუხლი გამოიყენება მოცემულ საქმეში.

(ბ) საქმის არსებითი მხარე

183. სასამართლო აღნიშნავს რომ, ამ დროისთვის, Čonka საქმე (იხილეთ გადაწყვეტილება ციტირებული ზემოთ) არის ერთადერთი რომელში დადგენილ იქნა მე-4 ოქმის მე-4 მუხლის დარღვევა. ამ საქმის განხილვის დროს, იმისათვის რომ დადგენილიყო ადგილი ჰქონდა თუ არა კოლექტიურ გაძევებას, სასამართლომ განიხილა საქმის გარემოებები და დაადგინა თუ რამდენად იყო მიღებული მხედველობაში დეპორტაციის გადაწყვეტილებების მიღების დროს შესაბამისი ინდივიდების კონკრეტული გარემოებები. სასამართლომ შემდგომ აღნიშნა (გვ 61-63):

“სასამართლო აღნიშნავს რომ განსახილველი დაკავებისა და დეპორტაციის ბრძანებები მიღებულ იქნა იმ მიზნით, რომ აღსრულებულიყო ტერიტორიის დატოვება, და დათარიღებული იყო 1999 წლის 29 სექტემბრით; მოცემული ბრძანება მიღებულ იქნა მარტო უცხოელთა შესახებ კანონის მე-7 ნაწილის პირველი პუნქტის, მე-2 ნაწილის შესაბამისად და ერთადერთი მითითება მომჩივანთა პერსონალურ გარემოებებზე იყო იმ ფაქტის გამო რომ მათმა ყოფნამ ბელგიაში გადააჭარბა სამ თვეს. კერძოდ, მოცემულმა დოკუმენტმა არანაირი მითითება არ გააკეთა მათ განცხადებაზე თავშესაფართან დაკავშირებით ან 1999 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებაზე. უნდა იქნეს აღიარებული რომ, მოცემულ გადაწყვეტილებებს აგრეთვე ახლდა ბრძანება ქვეყნის დატოვების შესახებ, მაგრამ თავისთავად მოცემული ბრძანება არ იძლეოდა მომჩივნების დაპატიმრების საშუალებას. მომჩივნების დაპატიმრება, შესაბამისად ნაბრძანები იქნა პირველად 1999 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით, რომელიც არ იყო უკავშირდებოდა მათი თავშესაფრის მოთხოვნას, მაგრამ ამის მიუხედავად საკმარისი იყო რომ ეგულისხმა სადავო ღონისძიებების განხორციელება. მოცემულ გარემოებებში და იგივე წარმოშობის მქონე დიდი რაოდენობით პირების გათვალისწინებით, რომლებსაც იგივე ბედი ერგოთ როგორც მომჩივნებს, სასამართლომ მიიჩნია რომ განხორციელებული პროცედურა არ აძლევდა მას საშუალებას გამოერიცხა ყოველგვარი ეჭვი იმის თაობაზე, რომ გაძევება შეიძლება ყოფილიყო კოლექტიური.

მოცემული ეჭვი გაძლიერებულია შემდეგი ფაქტორებით: უპირველესყოვლისა, მომჩივნების დეპორტაციამდე, შესაბამისმა პოლიტიკურმა ხელისუფლების ორგანოებმა განაცხადეს რომ ადგილი ექნებოდა მსგავს ოპერაციებს და მისცეს ინსტრუქციები შესაბამისი

ხელისუფლების ორგანოებს მათი იმპლემენტაციისათვის...; მეორეს მხრივ, ყველა უცხოელს მოეთხოვათ გამოცხადებულიყვნენ პოლიციის განყოფილებაში ერთი და იგივე დროს; მესამე მხრივ, მათ მიმართ გამოცემული ბრძანებები მოითხოვდა რომ მათ დაეტოვებინათ ქვეყნის ტერიტორია და მათი დაპატიმრებები ხორციელდებოდა იდენტური ფორმით; მეოთხე, უცხოელებისთვის ძალზედ რთული იყო ადვოკატებთან დაკავშირება; და ბოლოს, თავშესაფრის პროცედურები არ იქნა დასრულებული.

მოკლედ, არც ერთ ეტაპზე იმ პერიოდში როცა მოხდა უცხოელებისთვის შეტყობინების ჩაბარება რომ გამოცხადებულიყვნენ პოლიციის განყოფილებაში და მათ გაძევებას შორის პროცედურამ არ გაითვალისწინა საკმარისი გარანტიები იმის დემონსტრირებისათვის, რომ პერსონალური გარემოებები თითოეული მათგანზე არსებითად და ინდივიდუალურად მიღებულიყო მხედველობაში.”

184. მის პრეცედენტულ სამართალში, კონვენციის ორგანოებმა დამატებით აღნიშნეს: ის ფაქტი რომ მთელი რიგ უცხოელებთან მიმართებით ხდება მსგავსი გადაწყვეტილებების გამოტანა, თავისთავად არ წარმოშობს დასკვნას რომ სახეზე გვაქვს კოლექტიური გაძევება თუ თითოეულ პირს მიეცა საშუალება წარედგინა არგუმენტები მისი გაძევების საწინააღმდეგოდ კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოს წინაშე ინდივიდუალური ფორმით (იხილეთ K.G. v. F.R.G.,-ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 81; Andric -ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 81; და Sultani ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 81). და ბოლოს, სასამართლომ გადაწყვიტა რომ ადგილი არ აქვს მე-4 ოქმის მე-4 მუხლის დარღვევას თუ გაძევების გადაწყვეტილების არ არსებობა რომელიც მიღებულია ინდივიდუალური ფორმით, ეფუძნება თვით მომჩივანთა უკანონო ქმედების შედეგს (იხილეთ Berisha and Haljiti -ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 81, და Dritsas -ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 81).

185. მოცემულ საქმეში სასამართლოს მხოლოდ შეუძლია დაადგინოს, რომ მომჩივანთა ლიბიაში გადაყვანა მოხდა თითოეულ მომჩივანთა ინდივიდუალური სიტუაციის რაიმე ფორმით განხილვის გარეშე. სადაოდ არ გამხდარა, რომ მომჩივნების მიმართ არ განხორციელებულა რაიმე ფორმის იდენტიფიცირების პროცედურა იტალიის ხელისუფლების ორგანოების მიერ, რომლებმაც შემოიფარგლენ მხოლოდ ყველა მიგრანტის აყვანით სამხედრო გემებზე და შემდგომში ჩამოსხმით ლიბიის მიწაზე. მეტიც, სასამართლო აღნიშნავს რომ სამხედრო გემებზე მყოფი პერსონალი არ იყო გაწვრთნილი, რათა განეხორციელებინა ინდივიდუალური ინტერვიუები და მათ არ დახმარებიათ თარჯიმნები ან იურიდიული მრჩეველები.

ეს საკმარისია სასამართლოსთვის რომ გამორიცხოს საკმარისი გარანტიების არსებობა რომელიც უზრუნველყოფდა რომ თითოეული ამ პირის

ინდივიდუალური გარემოებები რეალურად იქნებოდა დეტალური შესწავლის საგანი.

186. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს რომ მომჩივანთა გაძევებას გააჩნდა კოლექტიური ხასიათი მე-4 ოქმის მე-4 მუხლის მოთხოვნათა საპირისპიროდ და შესაბამისად ადგილი ჰქონდა მოცემული მუხლის დარღვევას.

VI. კონვენციის მე-3 მუხლთან და მე-4 ოქმის მე-4 მუხლთან ერთად განხილული მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

187. მომჩივნები ჩიოდნენ, რომ მათ არ მიეცათ შესაძლებლობა ესარგებლათ იტალიის კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის ეროვნული საშუალებებით, რათა შეეტანათ საჩივარი კონვენციის მე-3 მუხლისა და მე-4 ოქმის მე-4 მუხლის მიხედვით. ისინი დაეყრდნენ კონვენციის მე-13 მუხლს, რომლის მიხედვით:

“ყველას ვისი უფლებები და თავისუფლებები, როგორც ეს არის მოცემული კონვენციაში, დაირღვა უნდა ქონდეს ეფექტიანი დაკმაყოფილების საშუალება ეროვნული ხელისუფლების ორგანოების წინაშე, მიუხედავად იმისა დარღვევა ჩადენილ იქნა პირების მიერ რომლებიც მოქმედებდნენ ოფიციალურ ფარგლებში თუ არა.”

1. მხარეთა არგუმენტაცია

(ა) მომჩივნები

188. მომჩივნებმა განაცხადეს, რომ იტალიის მიერ ღია ზღვაში მათი აღმოჩენა არ იყო განხორციელებული კანონის შესაბამისად და ხსენებული ღონისძიების კანონიერება არ იქნა გადასინჯული ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ. ამის გამო, მომჩივნებს წაერთვათ საჩივრის შეტანის რაიმე სახის შესაძლებლობა მათი ლიბიაში უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით და ისინი მიიჩნევდნენ რომ ამით დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და მე-4 ოქმის მე-4 მუხლი.

189. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ სასამართლოს პრეცედენტული სამართლით გათვალისწინებული არც ერთი მოთხოვნა შიდასახალმწიფოებრივი საშუალებების ეფექტიანობასთან დაკავშირებით არ იქნა დაცული იტალიის ხელისუფლების ორგანოების მხრიდან, რომლებმაც არც კი მოახდინეს აღმოჩენილი მიგრანტების იდენტიფიცირება და იგნორირება გაუკეთეს მათ მოთხოვნებს დაცვაზე. მეტიც, იმ შემთხვევაშიც კი თუ მიჩნეული იქნებოდა, რომ მომჩივნებს ჰქონდათ საშუალება გაეჟღერებინათ მოთხოვნა თავშესაფართან დაკავშირებით სამხედრო პერსონალის წინაშე, მათ ვერ მიენიჭებოდათ იტალიის კანონით გათვალისწინებული პროცედურული

გარანტიები, როგორცაა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა, იმ მარტივი მიზეზის გამო რომ ისინი იყვნენ გემების ბორტზე.

190. მომჩივნებმა ჩათვალეს რომ ტერიტორიული სუვერენიტეტის გამოყენებას იმიგრაციის პოლიტიკასთან კავშირში არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გამოეწვია სახელმწიფოს კონსტიტუციის მხრიდან დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა, ისევე როგორც, იურისდიქციის ქვეშ მყოფი ნებისმიერი პირისათვის ეროვნული სასამართლოს წინაშე სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების წართმევა.

(ბ) მთავრობა

191. მთავრობამ განაცხადა რომ რადგან განსახილველ საქმეში მოვლენები განვითარდა გემების ბორტზე, შეუძლებელი იყო მომჩივნებისათვის ეროვნული სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველყოფა.

192. დიდი პალატის წინაშე განხილვის დროს მთავრობა ამტკიცებდა, რომ მომჩივნებს უნდა მიემართათ ეროვნული სასამართლოსათვის, რათა მომხდარიყო დარღვევის აღიარება და შესაძლებელია, კომპენსაციის გადახდა კონვენციის სავარაუდო დარღვევისათვის. მთავრობა აცხადებს, რომ იტალიის მართლმსაჯულების სისტემა გაითვალისწინებდა ნებისმიერ ვალდებულებას სამხედრო პერსონალთან მიმართებაში, რომლებმაც გადაარჩინეს მომჩივნები. მთავრობა აცხადებდა, რომ მომჩივნებს, რომლებსაც UNHCR-მა ლტოლვილის სტატუსი მიანიჭა, გააჩნდათ შესაძლებლობა ნებისმიერ დროს შესულიყვნენ იტალიის ტერიტორიაზე და ესარგებლათ კონვენციით მათთვის გარანტირებული უფლებებით, მათ შორის სასამართლო ხელისუფლების ორგანოებზე ხელმისაწვდომობის უფლებით.

(C) მესამე მხარედ ჩართული ორგანიზაციები

193. UNHCR-მა განაცხადა რომ *non-refoulement* პრინციპი სახელმწიფოებს პროცედურულ ვალდებულებებს უწესებს. მეტიც, კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებულ თავშესაფრის პროცედურებისადმი ხელმისაწვდომობის უფლება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო როცა ის მოიცავდა “შერეულ” მიგრაციულ ტალღებს, რომლის ფარგლებშიც პოტენციური თავშესაფრის მაძიებლები უნდა გამოვლენილიყვნენ და გამოყოფილიყვნენ სხვა მიგრანტებისაგან.

194. ევროპაში ინდივიდუალური უფლებების საკონსულტაციო ცენტრმა (“Aire centre”), Amnesty International-მა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციამ (“FIDH”) მიიჩნიეს რომ ინდივიდებს, რომლებიც უკან დააბრუნეს ღია ზღვაში აღმოჩენის შედეგად საერთოდ არ გააჩნდათ ხელმისაწვდომობა სამართლებრივი დაცვის რაიმე სახის ეფექტიან საშუალებაზე იმ მონაწილე

სახელმწიფოში, რომელიც პასუხისმგებელი იყო ამ დაბრუნების ოპერაციებზე. ცხადია, აღნიშნული, მე-13 მუხლის ვალდებულებებს არ შეესაბამებოდა. მომჩივნებს აგრეთვე არ გააჩნდათ ადექვატური შესაძლებლობა არც აუცილებელი მხარდაჭერა, კერძოდ თარჯიმნის დახმარება, რათა შეძლებოდათ წარედგინათ მიზეზები რომლებიც დაასაბუთებდნენ მათი უკან დაბრუნების დაუშვებლობას. მესამე მხარედ ჩართული ორგანიზაციები ამტკიცებდნენ, რომ როდესაც კონვენციის მონაწილე მხარეები ზღვაში ახორციელებდნენ პირთა აღმოჩენასა რასაც შედეგად მოყვებოდა ამ პირთა უკან დაბრუნება, მათი ვალდებულება იყო უზრუნველყოთ რომ თითოეულ ამ პირს ჰქონოდა ეფექტიანი შესაძლებლობა გაესაჩივრებინა მათი უკან დაბრუნება კონვენციით გარანტირებულ უფლებებთან შესაბამისობის კუთხით და მოეპოვებინა მათი საჩივრების განხილვა მანამ სანამ მათი დაბრუნება განხორციელდებოდა.

მესამე მხარედ ჩართულმა ორგანიზაციებმა ჩათვალეს, რომ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების არ არსებობა - რომელიც უზრუნველყოფდა მომჩივნების იდენტიფიცირებას და დაცვას, მათი მოთხოვნებისა და საჭიროებების ინდივიდუალურ გააზრებას, ისევე როგორც რაიმე შემდგომი გამოძიების არ არსებობა რათა გარკვეულიყო დაბრუნებული პირების ბედი. - წარმოადგენდა სერიოზულ ხარვეზს

195. კოლუმბიის სამართლის სკოლის ადამიანის უფლებათა კლინიკის შეფასებით საერთაშორისო ადამიანის უფლებათა და ლტოლვილთა სამართლის მიხედვით, სახელმწიფოს უნდა ეცნობებინა მიგრანტებისთვის მათი უფლებების შესახებ. მოცემული მოთხოვნა გადამწყვეტი იყო და გავლენას ახდენდა სახელმწიფოს ვალდებულებაზე რომ მოეხდინა საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირების იდენტიფიკაცია. მოცემული მოთხოვნა მნიშვნელოვანი იყო ზღვაში მყოფი პირებისთვის, რადგან ისინი მაღალი ალბათობით არ იქნებოდნენ ინფორმირებულნი ადგილობრივი სამართლის შესახებ და ხშირად არ ქონდათ ხელმისაწვდომობა თარჯიმანსა და იურიდიულ რჩევაზე. ამის შემდეგ, თითოეული პირი უნდა ყოფილიყო დაკითხული ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ რათა მიღებულ ყოფილიყო ინდივიდუალური გადაწყვეტილება მის განცხადებაზე.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) დასაშვებობა

196. სასამართლო იმეორებს რომ მან გააერთიანა მთავრობის მიერ დიდი პალატის წინაშე განხილვის დროს დაყენებული შუამდგომლობა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებების ამოწურვის ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ, მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებულ საჩივრებთან. შესაბამისად, სასამართლო

მიიჩნევს რომ საჩივრის ეს ნაწილი სამართლისა და ფაქტების კომპლექსურ საკითხებს წარმოშობს, რაც შეუძლებელია დადგინდეს საქმის არსებითად განხილვის გარეშე. ის დამატებით აღნიშნავს რომ ეს საჩივარი არ არის სრულად უსაფუძვლო კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) ნაწილის მიხედვით. საჩივარის დაუშვებლობა არც სხვა საფუძვლებით დგინდება, შესაბამისად, უნდა გამოცხადდეს დასაშვებად.

(ბ) არსებითი მხარე

(ი) ზოგადი პრინციპები

197. კონვენციის მე-13 მუხლი უზრუნველყოფს ეროვნულ დონეზე სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების არსებობას, რათა კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებები და თავისუფლებები აღსრულდეს და უზრუნველყოფილ იქნეს. აღნიშნული დებულება მოითხოვს რომ სამართლებრივი დაცვის ეროვნულმა საშუალებებმა განიხილონ “დასაბუთებული საჩივრის” შინაარსი კონვენციის შესაბამისად და გაითვალისწინონ შესაბამისი დაკმაყოფილება. მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებათა ფარგლები მე-13 მუხლის შესაბამისად განსხვავდება და დამოკიდებულია მომჩივნის საჩივრის ხასიათზე. თუმცა, დაცვის საშუალება რომელიც მოთხოვნილია მე-13 მუხლით უნდა იყოს “ეფექტიანი” პრაქტიკაში, ისევე როგორც კანონით. “დაკმაყოფილების” “ეფექტიანობა” მე-13 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე დამოკიდებულია მომჩივნისთვის სასარგებლო დასასრულის მოსალოდნელობაზე. არც მასში მითითებული “ხელისუფლების ორგანო” არ არის აუცილებელი რომ იყოს სასამართლო ორგანო; მაგრამ თუ ის ასეთი არ არის, მისი უფლებამოსილებები და გარანტიები რელევანტურია იმის დადგენის დროს რამდენად ეფექტიანია მის მიერ განსაზღვრული სამართლიანი დაკმაყოფილება. აგრეთვე, თუ კონკრეტული დაცვის საშუალება თავისთავად სრულად არ აკმაყოფილებს მე-13 მუხლის მოთხოვნებს, ადგილობრივი სამართლით განსაზღვრული სხვადასხვა დაცვის საშუალებების ერთობლიობა შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს. (იხილეთ, სხვა წყაროებთან ერთად, *Kudła v. Poland* [GC], no. 30210/96, § 157, ECHR 2000 XI).

198. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მომჩივნების საჩივარი მათი მესამე ქვეყანაში გადაყვანას და ამით კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის საფრთხის წინაშე დაყენების შესახებ “აუცილებლად უნდა გახდეს დეტალური განხილვის საგანი “ეროვნული ხელისუფლების ორგანოების” მხრიდან” (იხილეთ *Shamayev and Others v. Georgia and Russia*, no. 36378/02, § 448, ECHR 2005-III; აგრეთვე იხილეთ *Jabari*-ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 81 § 39). აღნიშნული პრინციპის მიხედვით, სასამართლომ დაადგინა რომ მე-3 მუხლთან ერთად მე-13 მუხლის

ცნების “ეფექტიანი დაკმაყოფილების” განხილვა, პირველ რიგში მოითხოვს “დამოუკიდებელად და ეფექტიანად იქნეს შესწავლილი” საჩივარი, რომელსაც პირი წარადგენს როდესაც “არსებობს მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის მნიშვნელოვანი საფრთხე” და მეორეს მხრივ, “გასაჩივრებული ღონისძიების შეჩერების შესაძლებლობას.” (იხილეთ ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილებები, § 460 და §50 შესაბამისად).

199. ამასთან ერთად, ორგანო-ს ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში, § 81 §§ 79 სასამართლომ, მე-4 ოქმის მე-4 მუხლთან ერთად მე-13 მუხლთან მიმართებაში, განაცხადა, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალებამ ვერ დააკმაყოფილა ზემოაღნიშნული მოთხოვნები, რადგან მას არ გააჩნდა გამეცების აღსრულების შეჩერების ეფექტი. კერძოდ სასამართლომ განაცხადა რომ (§ 79):

“სასამართლო მიიჩნევს რომ მე-13 მუხლის მიხედვით სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების ცნება მოითხოვს, რომ ასეთი საშუალების გამოყენების შედეგად შესაძლებელი იყო კონვენციის საწინააღმდეგო ისეთი ქმედების აღსრულების შეჩერება, რომლის შედეგიც პოტენციურად გამოუსწორებელია. შესაბამისად, სანამ ეროვნული ხელისუფლების ორგანოები არ განიხილავენ აღნიშნული ღონისძიებების კონვენციასთან შესაბამისობას, ამ ღონისძიებათა აღსრულება მე-13 მუხლთან შეუსაბამოა. თუმცა მონაწილე სახელმწიფოებს მინიჭებული აქვთ გარკვეული დისკრეცია მე-13 აირჩიონ კონკრეტული საშუალებები მუხლის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.”

200. იმ მნიშვნელობის გათვალისწინებით, რასაც სასამართლო ანიჭებს მე-3 მუხლს და იმ ზიანის გამოუსწორებლობა, რომელიც შეიძლება დადგეს თუ წამების ან არაადამიანური მოპყრობის საფრთხე რეალობაში აღსრულდება, სასამართლომ დაადგინა რომ შემაჩერებელი ეფექტი აგრეთვე უნდა გავრცელდეს ისეთ საქმეებზე რომელშიც სახელმწიფოები იღებენ გადაწყვეტილებებს უცხოელების მესამე სახელმწიფოში წაყვანის შესახებ, სადაც არსებობს საფუძვლიანი მიზეზები იმის დასაჯერებლად, რომ ისინი წააწყდებიან მსგავსი ხასიათის საფრთხეს (იხილეთ Gebremedhin [Geberamadhien] v. France, no. 25389/05, § 66, ECHR 2007-II, და M.S.S.-ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 293).

(იი) ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეზე

201. სასამართლომ უკვე დაადგინა რომ მომჩივნების დაბრუნება ლიბიაში წარმოადგენდა კონვენციის მე-3 მუხლისა და მე-4 ოქმის მე-4 მუხლის დარღვევას. ამ საკითხებზე მომჩივნების მერ წარდგენილი საჩივრები არის შესაბამისად “სადავო” მე-13 მუხლის მიზნებისათვის.

202. სასამართლომ დაადგინა რომ მომჩივნებს არ გააჩნდათ შესაძლებლობა ხელმისაწვდომობა ჰქონოდათ შესაბამის პროცედურებზე, რათა მოეხდინათ

მათი პერსონალური გარემოებების იდენტიფიცირება მანამ სანამ მოხდებოდა მათი დაბრუნება ლიბიაში (იხილეთ 185-ე პუნქტი ზემოთ). მთავრობამ აღიარა რომ არანაირი ღონისძიება არ გატარებულა ამისათვის სამხედრო გემის ბორტზე, რომელზეც მომჩივნები იძულებით აიყვანეს. ბორტზე პერსონალს შორის არც თარჯიმნები და არც იურიდიული მრჩევლები არ იყვნენ.

203. სასამართლო აღნიშნავს რომ მომჩივნები ასაჩივრებდნენ, რომ მათთვის არ მიუწოდებიათ რაიმე სახის ინფორმაცია იტალიის სამხედრო პერსონალს, რომლებმაც ისინი დაარწმუნეს რომ იტალიაში გადაიყვანდნენ და არ აცნობეს მათ იმ პროცედურის შესახებ რომელიც უნდა გამოეყენებიათ, რათა თავი აეცილებინათ ლიბიაში დაბრუნება.

იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული გარემოებები სადაო გახადა მთავრობამ, სასამართლო უფრო სანდოდ მიიჩნევს მომჩივნების ვერსიას, რადგან მას განამტკიცებს UNHCR, CPT და Human Rights Watch –ის მიერ შეგროვებული საკმაოდ ბევრი მოწმის ჩვენება.

204. სასამართლომ ადრე დაადგინა რომ ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის არ არსებობა არის უმნიშვნელოვანესი ბარიერი თავშესაფრის პროცედურებისადმი ხელმისაწვდომობაზე (იხილეთ M.S.S.-ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 304). სასამართლო იმეორებს, რომ ყველა იმ პირს ვისაც ემუქრება გაძევება, უფლება უნდა ჰქონდეს მიიღოს საკმარისი ინფორმაცია, რათა მიეცეს შესაძლებლობა ხელი მიუწვდებოდეს ჯეროვან პროცედურებზე და დაასაბუთოს წარდგენილი საჩივარი.

205. განსახილველი საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს რომ მომჩივნებს წაერთვათ რაიმე სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც მისცემდა კონვენციის მე-3 მუხლისა და მე-4 ოქმის მე-4 მუხლის საფუძველზე საჩივრის შეტანის საშუალებას შესაბამის კომპეტენტურ ხელისუფლების ორგანოში და ასევე უზრუნველყოფდა იმის შესაძლებლობას, რომ მომხდარიყო მათი მოთხოვნების სრულფასოვანი და საფუძვლიანი გაანალიზება მანამ სანამ გაძევების ღონისძიება იქნებოდა სისრულეში მოყვანილი.

206. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს რომ მომჩივნებს უნდა გამოეყენებინათ შესაძლებლობა მიემართათ იტალიის სისხლის სამართლის სასამართლოსადმი მათ მიერ ლიბიაში ჩასვლისთანავე, სასამართლოს მხოლოდ შეუძლია აღნიშნოს რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ მოცემული დაკმაყოფილების საშუალება ხელმისაწვდომი იქნებოდა მათთვის, კონვენციის მე-13 მუხლის მოთხოვნები ნამდვილად არ კმაყოფილდება სისხლის სამართლის პროცედურების დაწყებით სამხედრო გემებში მყოფი სამხედრო პერსონალის წინააღმდეგ, რადგან ეს არ აკმაყოფილებს შეჩერების ეფექტის კრიტერიუმს როგორც განმტკიცებულია ზემოთ მოცემულ Conka -ს გადაწყვეტილებაში. სასამართლო იმეორებს, რომ მოთხოვნა რომელიც მომდინარეობს მე-13 მუხლიდან და რომლის თანახმადაც უნდა მოხდეს

გასაჩივრებული ღონისძიების აღსრულების შეჩერება, არ შეიძლება განხილულ იქნეს დამატებით ღონისძიებად (იხილეთ M.S.S-ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 388).

207. სასამართლო ასკვნის რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლთან და მე-4 ოქმის მე-4 მუხლთან ერთად განხილული მე-13 მუხლის დარღვევას. მისი აზრით მომჩივნები არ შეიძლება გაკრიტიკებულ იქნენ რადგან მათ ვერ შეძლეს ეფექტიანი დაკმაყოფილების ადგილობრივი საშუალებების ამოწურვა და რომ მთავრობის პირველადი პრეტენზია (იხილეთ 62-ე პუნქტი ზემოთ) უნდა იქნეს უარყოფილი.

VII. კონვენციის 46-ე და 41-ე მუხლები

A. კონვენციის 46-ე მუხლი

208. კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად:

“1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საქმეში სადაც ისინი მხარეები არიან.
2. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება უნდა გადაეცეს მინისტრთა კომიტეტს რომელმაც უნდა მოახდინოს მისი აღსრულების ზედამხედველობა.”

209. კონვენციის 46-ე მუხლის მიხედვით, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას იღებენ შეასრულონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება იმ საქმეებში სადაც ისინი მხარეები არიან და მინისტრთა კომიტეტი პასუხიმგებელია გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობაზე. აღნიშნული გულისხმობს რომ როდესაც სასამართლო ადგენს დარღვევას, მოპასუხე ქვეყანა სამართლებრივად ვალდებულია არა მარტო გადაუხადოს დაინტერესებულ პირებს თანხები, რომლებიც დაეკისრათ მათ ზიანის ანაზღაურების სახით 41-ე მუხლის მიხედვით, არამედ განახორციელოს სათანადო ზოგადი და/ან ინდივიდუალური ღონისძიებები. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები თავისი არსით დეკლარაციული ხასიათისაა, და შესაბამისი სახელმწიფოს ძირითადი ვალდებულებაა, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ, აირჩიოს ის საშუალებები რომლებიც გამოყენებულ იქნება კონვენციის 46-ე მუხლის მიხედვით სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად. მოცემული საშუალებები შესაბამისობაში უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემულ დასკვნებთან. ამის მიუხედავად, გარკვეულ კონკრეტულ სიტუაციებში, სასამართლომ შეიძლება სასარგებლოდ ჩათვალოს მოპასუხე სახელმწიფოსთვის მითითების გაკეთება, იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს რათა აღიკვეთოს – ხშირ შემთხვევებში სისტემური - სიტუაცია რომელიც წარმოშობდა კონვენციის

დარღვევას (იხილეთ, ასე მაგალითად, *Öcalan v. Turkey* [GC], no. 46221/99, § 210, ECHR 2005-IV, *da Popov v Russia*, no. 26853/04, § 263, 13 ივლისი 2006). ზოგჯერ აღმოჩენილი დარღვევის ხასიათი შეიძლება იყოს ისეთი, რომელიც არ ტოვებს რეალურ არჩევანს საჭირო ღონისძიებებთან მიმართებაში (იხილეთ *Assanidze*-ს ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 198; *Aleksanyan v. Russia*, no. 46468/06, §239, 22 დეკემბერი 2008; და *Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) v. Switzerland (no. 2)* [GC], no. 32772/02, §§ 85 და 88, 30 ივნისი 2009).

210. განსახილველ საქმეში სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს მოცემული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მიუთითოს ინდივიდუალურ ღონისძიებებზე, ზოგადი ღონისძიებებისგათვალისწინებით, რომლებიც აუცილებელია სხვა მსგავსი დარღვევების მომავალში თავიდან ასაცილებლად (იხილეთ *M.S.S*-ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, § 400).

211. სასამართლომ დაადგინა, *inter alia*, რომ მომჩივნების გაძევებამ, ეს უკანასკნელნი ლიბიაში არაადამიანური მოპყრობის, ხოლო სომალისა და ერიტრეაში თვითნებური რეპატრაციის საფრთხის წინაშე დააყენა. საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ იტალიის მთავრობამ უნდა გადადგას ყველა საჭირო ნაბიჯი, რათა მიიღოს გარანტიები ლიბიის ხელისუფლების ორგანოების მხრიდან რომ მომჩივნები არ იქნებიან მე-3 მუხლის შეუსაბამო მოპყრობის მსხვერპლნი ან არ მოხდება მათი თვითნებური რეპატრაცია.

B. კონვენციის 41-ე მუხლი

212. კონვენციის 41-ე მუხლის მიხედვით:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშეშვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

213. თითოეული მომჩივანი მოითხოვდა 15,000 ევროს არამატერიალური ზიანისთვის, რომელიც მათ სავარაუდოდ მიადგა.

214. მთავრობა არ დაეთანხმა ამ მოთხოვნას, და მიუთითა რომ მომჩივნები იტალიის ხელისუფლების ორგანოების ჩარევის შედეგად გადაარჩინეს სიკვდილს.

215. სასამართლო მიიჩნევს რომ მომჩივნებმა სავარაუდოდ განიცადეს გარკვეული ზიანი რომლის ანაზღაურებაც არ შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს მიერ დარღვევების დადგენით. მოცემულ საქმეში დადგენილი დარღვევების ხასიათის გათვალისწინებით, სასამართლო აკმაყოფილებს

მომჩივნების მოთხოვნას და ანიჭებს თითოეულ მათგანს 15,000 ევროს მორალური ზიანისათვის. ხსენებული თანხა უნდა გადაეცეთ წარმომადგენლებს მომჩივნებისთვის გადასაცემად.

ჩ. ხარჯები

216. მომჩივნებმა აგრეთვე მოითხოვეს EUR 1,575.74 ხარჯებისთვის და პროცესის სხვა დანახარჯებისთვის.

217. მთავრობა შეეწინააღმდეგა ამ მოთხოვნას.

218. სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კომპენსაცია შეიძლება გაიცეს ხარჯებისთვის და პროცესის სხვა დანახარჯებისთვის მხოლოდ მაშინ თუ მომჩივნის მიერ მათი გაღება მოხდა რეალურად, გამოწვეული იყო აუცილებლობით და მისი ოდენობა გონივრულია. მოცემულ საქმეში, მის ხელთ არსებული დოკუმენტებისა და პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს რომ სასამართლო პროცესის ხარჯებთან დაკავშირებით მოთხოვნილი თანხების საერთო ჯამი გონივრულია და აკისრებს მთავრობას ამ თანხის გადახდას მომჩივნების სასარგებლოდ.

D. საურავი

219. სასამართლოს მიაჩნია, საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამ პროცენტის განაკვეთი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო

1. ცამეტი ხმით ოთხის წინააღმდეგ ადგენს განსახილველ საქმეთა სიიდან საჩივრის ამოღებას, რომელიც შეეხება ბ-ნ მოჰამედ აბუკარ მოჰამედს და ბ-ნ ჰასან შარიფ აბბირაჰმანს;

2. ერთხმად ადგენს, არ მოხდეს საჩივრის ამოღება განსახილველ საქმეთა სიიდან, იმ ნაწილში, რომელიც ეხება სხვა მომჩივნებს;

3. ერთხმად ადგენს, რომ მომჩივნები იყვნენ იტალიის იურისდიქციის ქვეშ კონვენციის პირველი მუხლის მნიშვნელობით;

4. ერთხმად განიხილავს საქმის არსთან ერთად მთავრობის მიერ წარდგენილწინასწარ შენიშვნას რომელიც ეხება ადგილობრივი ეფექტიანი დაკმაყოფილების საშუალებების ამოწურვის არ არსებობას და მომჩივნების მიერ დაზარალებულის სტატუსის არქონასთან დაკავშირებით საკითხს;

5. ერთხმად, აცხადებს არსებით განხილვაზე დაშვებულად საჩივრებს მე-3 მუხლთან მიმართებაში;

6. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას იმ ფაქტთან მიმართებაში, რომლის მიხედვითაც მომჩივნები დაექვემდებარნენ ლიბიაში არაადამიანური მოპყრობის საფრთხეს და უარყოფს მთავრობის წინასწარ მოსაზრებას მომჩივნების მიერ დაზარალებულის სტატუსის არქონასთან დაკავშირებით;

7. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას იმ ფაქტთან მიმართებაში რომლის მიხედვითაც მომჩივნები დაექვემდებარნენ სომალისა და ერიტრეაში რეპატრიაციის საფრთხეს;

8. ერთხმად აცხადებს დასაშვებად საჩივარს მე-4 ოქმის მე-4 მუხლის მიხედვით;

9. ერთხმად ადგენს რომ ადგილი ჰქონდა მე-4 ოქმის მე-4 მუხლის დარღვევას;

10. ერთხმად აცხადებს დასაშვებად საჩივარს კონვენციის მე-13 მუხლთან მიმართებაში მე-3 მუხლთან და მე-4 ოქმის მე-4 მუხლთან კავშირში.

11. ერთხმად ადგენს რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლის, მე-3 მუხლთან კავშირში, და მე-4 ოქმის მე-4 მუხლთან კავშირში, დარღვევას და უარყოფს მთავრობის პირველად პრეტენზიას სამართლებრივი დაცვის ეროვნული საშუალებების არამოწურვის შესახებ;

12. ერთხმად ადგენს

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს მომჩივნებს სამი თვის ვადაში შემდეგი თანხა:

(i) EUR 15,000 (თხუთმეტი ათასი ევრო) თითოეულს მორალური ზიანისათვის, და დამატებით ნებისმიერი გადასახადი რაც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. ხსენებული თანხა კი შენახული უნდა იქნეს წარმომადგენლების მიერ მომჩივნებისათვის გადასაცემად.

(ii) EUR 1,575.74 (ათას ხუთას სამოცდახუთი ევრო და სამოცდახუთი ცენტი) ჯამში, ამასთან ერთად ნებისმიერი გადასახადი რომელიც შეიძლება დაეკისროს მომჩივნებს, ხარჯებისა და პროცესის სხვა დანახარჯებისათვის;

(ბ) რომ ზემოხსენებული 3 თვიანი ვადის გასვლის შემდგომ გადახდის დღემდე საურავი უნდა იქნეს გადახდილი იმ მოცულობით, რაც უტოლდება

ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამ პროცენტიანი განაკვეთი.

შესრულებულია ინგლისურად და ფრანგულად, და გაცხადებულია საჯარო განხილვაზე ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2012 წლის 23 თებერვალს სასამართლოს რეგლამენტის 78-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის მიხედვით.

მაიკლ ო ბოილი ნიკოლას ბრატზა
რეგისტრატორი პრეზიდენტი

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განსხვავებული მოსაზრება მოსამართლე პინტო დე ალბუქუერკეს თანდართულია ამ გადაწყვეტილებაზე.

N.B.

M.O.B.

მომჩივანთა სია

მომჩივნის სახელი / დაბადების ადგილი და თარიღი /მომჩივნის
არსებული მდგომარეობა

1. ჯამაარ ჰირსი სადიკ სომალი,
30 მაისი 1984 ლტოლვილის სტატუსი მინიჭებულია 2009 წლის 25 ივნის
(N. 507-09 № 00279)
2. შეიხ ალი მოჰამედისომალი,
22 იანვარი 1979 ლტოლვილის სტატუსი მინიჭებულია 2009 წლის 13
აგვისტოს (N. 229-09 № 0002)
3. ჰასან მოჰ'ზ ალი სომალი,
10 სექტემბერი 1982 ლტოლვილის სტატუსი მინიჭებულია 2009 წლის 25 ივნის
(N. 229-09 № 00008)
4. შეიხ ომარ აჰმედ სომალი,
1 იანვარი 1993 ლტოლვილის სტატუსი მინიჭებულია 2009 წლის 13
აგვისტოს (N. 229-09 № 00010)
5. ალი ელვას ავეს სომალი,
6 ივნისი 1983 ლტოლვილის სტატუსი მინიჭებულია 2009 წლის 13
აგვისტოს (N. 229-09 № 00001)
6. კადიე მოჰამედ აბდი სომალი,
28 მარტი 1988 ლტოლვილის სტატუსი მინიჭებულია 2009 წლის 25 ივნის
(N. 229-09 № 00011)
7. ჰასან ქადარ აბდილჟი სომალი,

- 8 ივლისი 1978 ლტოლვილის სტატუსი მინიჭებულია 2009 წლის 26 ივლის (N. 229-09#00003)
8. საიდ აბდუქადირ ისმაილ სომალი,
20 ივლისი 1976 ლტოლვილის სტატუსი მინიჭებულია
2009 წლის 13 აგვისტოს (N. 229-09 # 00006)
9. ალი აბდიგანი აბდილაჰი სომალი,
1 იანვარი 1986 ლტოლვილის სტატუსი მინიჭებულია 2009 წლის 25 ივნის (N. 229-09 # 00007)
10. მოჰამედ მოჰამედ აბუკარ სომალი,
27 თებერვალი 1984 გარდაიცვალა უცნობ თარიღში
11. აბბირაჰმან ჰასან შარიფ სომალი, თარიღი უცნობია
გარდაიცვალა 2009 წლის ნოემბერში
12. თესრაყ სამსონ მლაშ ერიტრეა, თარიღი უცნობია
ადგილსამყოფელი უცნობია
13. ჰაბტემქაელ ვალდუ ერიტრეა,
1 იანვარი 1971 ლტოლვილის სტატუსი მინიჭებულია 2009 წლის 25 ივნისს (N. 229-08 # 00311); შვეიცარიის მაცხოვრებელი
14. ზეწეიდი ბინიამ ერიტრეა,
24 აპრილი 1973 ლიბიის მაცხოვრებელი
15. გებრეი ამან წუეჰანსი ერიტრეა,
25 ივნისი 1978 ლიბიის მაცხოვრებელი
16. ნასრბ მიფტა ერიტრეა,
3 ივლისი 1989 ლიბიის მაცხოვრებელი
17. სალიჰ საიდ ერიტრეა,
1 იანვარი 1977 ლიბიის მაცხოვრებელი
18. ადმასუ ესტიფანოსი ერიტრეა, თარიღი უცნობია
ადგილსამყოფელი უცნობია
19. თცეგეი ჰაბტომ ერიტრეა, თარიღი უცნობია იმყოფება ჩუჩას
დაკავების ცენტრში, ტუნისი
20. ბერჰანე ერმიას ერიტრეა,
1 აგვისტო 1984 ლტოლვილის სტატუსი მინიჭებული 2011 წლის 25 მაისს;
იტალიის მცხოვრები;
21. ეოჰანეს რობელ აბზალი ერიტრეა,
12 ივნისი 1985 ლტოლვილის სტატუსი მინიჭებული 2009 წლის 8
ოქტომბერს (N. 507-09 # 001346); ბენინის მცხოვრები
22. კერი თელაჰუნ მეჰერტე ერიტრეა, თარიღი უცნობია
ადგილსამყოფელი უცნობია
23. კიდანე ჰაიელონ მოგოს ერიტრეა,
24 თებერვალი 1974 ლტოლვილის სტატუსი მინიჭებული 2009 წლის 25 ივნისს
(N. 229-09 # 00015); შვეიცარიის მცხოვრები
24. კიდან კიფლომ თესფაზიონ ერიტრეა,

29 ივნისი 1978 ლტოლვილის სტატუსი მინიჭებული 2009 წლის 25 ივნისს
(N. 229-09 ჩ 00012); მალტის მცხოვრები

მოსამართლე პინტო დე ალბუქუერკოს
თანხვედრი მოსაზრება

Hirsi-ს საქმე ეხება ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვას ერთის მხრივ და საიმიგრაციო და საზღვრის კონტროლის პოლიტიკის საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობას მოერეს მხრივ. არსებითი საკითხი ამ საქმეში არის ის თუ როგორ უნდა მოახდინოს ევროპამ იმის აღიარება რომ ლტოლვილებს გააჩნიათ “უფლება ჰქონდეთ უფლებები”, ჰანა არედტის გამონათქვამი. პასუხი ამ განსაკუთრებულ მგრძნობიარე პოლიტიკურ პრობლემებზე უნდა ვეძიოთ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალში. მიუხედავად იმისა რომ მე ვეთანხმები დიდი პალატის გადაწყვეტილებას, მე მსურს მოცემული საქმის ანალიზი განვახორციელო იმ პრობლემების გადაწყვეტისთვის პრინციპულ და საფუძვლიანი მიდგომის კონტექსტში, რომელიც ითვალისწინებს მნიშვნელოვან კავშირს საერთაშორისო სამართლის ამ ორ სფეროს შორის.

ლტოლვილთა *refoulement*–ის აკრძალვა

დებულება ლტოლვილთა გაძევების აკრძალვასთან დაკავშირებით მოცემულია ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალში (ლტოლვილთა სტატუსის შესახებ გაეროს 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლი და ლტოლვილთა პრობლემების სპეციფიკური ასპექტების შესახებ 1969 წლის აფრიკის კავშირის ორგანიზაციის კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა უნივერსალურ სამართალში (1984 წლის გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-3 მუხლი და იძულებითი გაუჩინარებისაგან ყველა პირის დაცვის შესახებ გაეროს კონვენციის მე-16 მუხლის პირველი ნაწილში) და რეგიონულ ადამიანის უფლებათა სამართალში (ამერიკის 1969 წლის ადამიანის უფლებათა კონვენციის 22-ე მუხლის მე-8 ნაწილი), ადამიანის და ხალხთა უფლებათა შესახებ 1981 წლის აფრიკის ქარტიის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი, წამების აკრძალვისა და დასჯის შესახებ ინტერ-ამერიკული კონვენციის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილი და 2000 წლის ევროპის კავშირის ფუნდამენტურ თავისუფლებათა შესახებ ქარტიის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილი). არ არსებობს არანაირი ნათელი აკრძალვა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციაში, მაგრამ ეს პრინციპი აღიარებულ იქნა

სასამართლოს მიერ საერთაშორისო ლტოლვილთა სამართლის თვალსაზრისით.

ევროპის კონვენციის მიხედვით ლტოლვილი არ შეიძლება დაბრუნებულ იქნას მის წარმოშობის ქვეყანაში ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში სადაც მას ემუქრება სერიოზული ზიანის მიღება ნებისმიერი იდენტიფიცირებული თუ არა იდენტიფიცირებული პირის მიერ ან საჯარო ან კერძო ორგანიზაციის მიერ. დაბრუნების აქტი შეიძლება წარმოადგენდეს გაძევებას, ექსტრადიციას, დეპორტაციას, ამოღებას არაფორმალურ ტრანსფერს, “რენდირებას”, უარყოფას, შევლის აკრძალვას ან ნებისმიერ სხვა ღონისძიებას რომლის შედეგი იქნება პირის დავალებულია დარჩეს მისი წარმოშობის ქვეყანაში. სერიოზული ზიანის საფრთხე შეიძლება დადგეს უცხოური აგრესიის, შიდა სამხედრო კონფლიქტის, უკანონო მოკვდინების, უკანონო გაუჩინარების, სიკვდილის დასჯის, წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, იძულებითი შრომის, ადამიანთა ტრეფიკინგის, დევნის, უკუმოქმედი სისხლის სამართლის კანონზე დაფუძნებული სასამართლო პროცესის ან მიმღებ სახელმწიფოში კონვენციის უფლების არსებითი დარღვევის გამო (პირდაპირი დაბრუნება) ან სხვა სახის გადაცემით პირის მიმღები სახელმწიფოდან მესამე სახელმწიფოში სადაც არსებობს მსგავსი საფრთხე (არაპირდაპირი დაბრუნება).

ფაქტობრივად, *non-refoulement* ვალდებულება მოქმედებს იმ შემთხვევებში როდესაც ირღვევა ევროპული კონვენციით უზრუნველყოფილი უფლება ან არსებობს ისეთი უფლების დარღვევის საფრთხე, როგორიცაა სიცოცხლის უფლება, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება, ან სამართლიანი სასამართლოს უფლების “აშკარა დარღვევა”, თავისუფლების უფლების დარღვევა, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ან კონვენციით უზრუნველყოფილი ნებისმიერი სხვა უფლების დარღვევა.

მსგავსი სტანდარტი გამოიყენება ადამიანის უფლებათა უნივერსალურ სამართალთან მიმართებაში წამების საწინააღმდეგო კონვენციის, ბავშვის უფლებების კონვენციის და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის თვალსაზრისით.

ამ სტანდარტების შესაბამისად, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ უკვე გამოაცხადა რომ “არავინ შეიძლება ნების გარეშე გაძევებულ იქნეს ან მოხდეს მისი ექსტრადიცია ქვეყანაში სადაც მნიშვნელოვანი საფუძვლები არსებობს იმის დასაჯერებლად რომ ის შეიძლება გახდეს უკანონო, თვითნებური დასჯის მსხვერპლი” და “არც ერთმა სახელმწიფომ არ უნდა გააძევოს, დააბრუნოს ან ექსტრადიცია გაუკეთოს პირს სხვა სახელმწიფოში სადაც არსებობს მნიშვნელოვანი საფუძვლები იმის დასაჯერებლად რომ ის დადგება იძულებით გაუჩინარების საშიშროების საფრთხის ქვეშ.”

მიუხედავად იმისა რომ ლტოლვილის კონცეფცია რომელიც მოცემულია გაეროს ლტოლვილთა კონვენციის 33-ე მუხლში ნაკლებად მოცულობითია

ვიდრე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული დეფინიცია და ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალში ხსენებულმა განვითარება ჰპოვა ადამიანის უფლებათა სტანდარტების ასიმილირებით და შესაბამისად კონვენციის ლტოლვილთა კონცეფციის გაფართოებით (რომელიც არასწორად არის ცნობილი როგორც *de jure* ლტოლვილები) სხვა ინდივიდებთან მიმართებაში ვინც არიან დამატებითი საერთაშორისო დაცვის საჭიროების ქვეშ (არასწორედ ცნობილი დე ფაქტო ლტოლვილები). საუკეთესო მაგალითები არის აფრიკის კონვენციის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი, 1984 წლის კართაგენის დეკლარაციის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი, ევროპის კავშირის საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/83/EC დირექტივის მე-15 მუხლი და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2001) 18 რეკომენდაცია დამატებითი დაცვის შესახებ.

ნებისმიერ შემთხვევაში არც საერთაშორისო ლტოლვილთა სამართალი და არც საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართალი არ განასხვავებს იმ რეჟიმს რომელიც გამოიყენება ლტოლვილების მიმართ საერთაშორისო დაცვის კონტექსტში, მათ შორის *non-refoulement* გარანტია მკაცრად იდენტურია ორივე კატეგორიის პირებისთვის. არ არსებობს ლეგიტიმური მიზეზი, რათა “*de jure* ლტოლვილები” დაცულ იქნენ უფრო მეტად, ვიდრე “*de facto* ლტოლვილები”, რადგან ყველა მათგანი იზიარებს და განიცდის საერთაშორისო დაცვის საჭიროებას. მოპყრობაში ნებისმიერი განსხვავება გამოიწვევს მეორე კლასის ლტოლვილების შექმნას, რაც დისკრიმინაციული იქნება. იგივე დასკვნა გამოიყენება ლტოლვილების მასიური შემოსვლის შემთხვევაში. ლტოლვილთა ჯგუფი არ შეიძლება იყოს ობიექტი დაქვეითებული სტატუსის “თანდაყოლილი” მასიური შემოსვლის გამონაკლისის გამო “შესაბამისი” ლტოლვილის სტატუსის გათვალისწინებით. თუკი მოხდებოდა დამატებითი დაცვითი ღონისძიების ნაკლები უზრუნველყოფა (ასე მაგალითად, საცხოვრებლის უფლებაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, დასაქმებასთან, სოციალურ უსაფრთხოებასთან და სამედიცინო დაცვასთან მიმართებით) იმ პირებისთვის ვინც სახელმწიფოს ტერიტორიაზე შევიდნენ მასიურად, ხსენებული ჩაითვლება დისკრიმინაციად.

პირი არ ხდება ლტოლვილად აღიარების გამო, არამედ ხდება იმის აღიარება რომ ის ლტოლვილია. იმის გათვალისწინებით რომ ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრა ძირითადად დეკლარაციულ ხასიათს ატარებს, *non-refoulement* პრინციპი გამოიყენება იმ პირების მიმართ ვისი სტატუსიც ჯერ არ დადგენილა (თავშესაფრის მაძიებლები) და მათ შორის იმათ მიმართ ვისაც არ გამოუხატიათ მათი დაცვის სურვილი. შედეგად, არც თავშესაფართან დაკავშირებული შესაბამისი მოთხოვნის არ არსებობის დროს, არც შესაბამისი დასაბუთება თავშესაფრის განცხადების შესაფერისი მტკიცებულებით არ ჩამოაცილებს სახელმწიფოებს *non-refoulement* ვალდებულებისგან ნებისმიერი უცხოელის მიმართ, ვისაც ესაჭიროებათ საერთაშორისო დაცვა. არანაირი

ავტომატური ნეგატიური დასკვნა არ შეიძლება გამოტანილ იქნეს თავშესაფრის განცხადებისა და თავშესაფრის განცხადების მხარდამჭერი შესაბამისი მტკიცებულების არ არსებობის გამო, რადგან სახელმწიფოს აკისრია გამოძიების ვალდებულება, მისივე შუამდგომლობით, ნებისმიერი სიტუაცია როდესაც არის საჭიროება საერთაშორისო დაცვის, განსაკუთრებით როცა, როგორც სასამართლომ აღნიშნა, ადგილი აქვს ისეთი ფაქტების არსებობას რომლებიც წარმოადგენენ მომჩივნისთვის საფრთხეს “და არგად იყო ცნობილი და თავისუფლად შეიძლებოდა მათი ამოკითხვა სხვადასხვა წყაროდან.”

მიუხედავად იმისა რომ გაეროს ლტოლვილთა კონვენციაში მოცემული ვალდებულება ექვემდებარება გამონაკლისებს ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საფუძვლებზე დაყრდნობით, არც ერთი ასეთი გამონაკლისი არ შეიძლება იქნეს აღმოჩენილი ევროპის ადამიანის უფლებათა სამართალში , არც ადამიანის უფლებათა უნივერსალურ სამართალში : არ არსებობს რაიმე პერსონალური დროისა და სივრცითი შეზღუდვები საჩივარზე. შესაბამისად, ის გამოიყენება, საგამონაკლისო პირობებში, მათ შორის საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს.

რადგან ლტოლვილის სტატუსის დადგენა არის მნიშვნელოვანი გზა ძირითადი უფლებების დასაცავად, refoulement-ის აკრძალვა დამოკიდებულია დაცული უფლების ხასიათზე. როდესაც არსებობს - მნიშვნელოვანი ზიანის, უცხოური აგრესიის, შიდა შეიარაღებული კონფლიქტის, უკანონო მოკვდინების, იძულებითი გაუჩინარების, სიკვდილის დასჯის, წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, იძულებითი შრომის, ადამიანთა ტრეფიკინგის, დევნის ან უკუძალის მქონე სისხლის სამართლის კანონსა თუ წამების ან არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შედეგად მიღებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით სასამართლო განხილვის - საფრთხე მიმღებ ქვეყანაში, non-refoulement ვალდებულება წარმოადგენს აბსოლუტურ ვალდებულებას ყველა სახელმწიფოსათვის.

როდესაც არსებობს ევროპული კონვენციის უფლების დარღვევის საფრთხე (გარდა სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებისა და სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობის უკუქცევითი ძალის გამოყენებისა) მიმღებ სახელმწიფოში, სახელმწიფომ შეიძლება გადაუხვიოს მისი ვალდებულებისგან უზრუნველყოს საერთაშორისო დაცვა, რაც დამოკიდებული იქნება კონკურენციაში მყოფი ღირებულებების პროპორციულობის გაანალიზებაზე.

არსებობს გამონაკლისი ამ პროპორციულობის ტესტიდან: როდესაც ნებისმიერი ევროპული კონვენციის უფლების დარღვევის საფრთხე (გარდა სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებისა და სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობის უკუქცევითი ძალის გამოყენებისა) მიმღებ ქვეყანაში, ეს “აღმაშფოთებელია” და უფლების ძირითადი არსი კითხვის

ნიშნის ქვეშ დგას, სახელმწიფო ცალსახად შებოჭილია *non-refoulement* ვალდებულებით.

ამ კონტექსტში, *refoulement* -ის აკრძალვა არის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის პრინციპი, რომელიც სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსთვის, მათ შორის იმათთვის, ვინც არ არის გაეროს ლტოლვილთა კონვენციის ან ნებისმიერი სხვა შეთანხმების, რომლებიც ეხება ლტოლვილთა დაცვას მონაწილე. ამასთან ერთად, აღნიშნული წარმოადგენს *jus cogens* დებულებას, იმ ფაქტის გამო, რომ არანაირი გადახვევა არ დაიშვება და მას სავალდებულო ხასიათი აქვს რადგან არანაირი დათქმა არ დაიშვება მასზე (სახელმწიფოებს სამართლის ვენის კონვენციის 53-ე მუხლი და ლტოლვილთა კონვენციის 42-ე მუხლის პირველი ნაწილი და 1967 წლის ოქმის VII მუხლის პირველი ნაწილი).

აღნიშნული წარმოადგენს გაბატონებულ პოზიციას საერთაშორისო ლტოლვილთა სამართალში.

შესაბამისად გაეროს ლტოლვილთა კონვენციის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილში წარმოდგენილი გამონაკლისები არ შეიძლება უკან იქნეს გახმობილი ძირითად ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, რომლებითაც არანაირი გადახვევა არ დაიშვება (სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება და ლეგალურობის პრინციპი სისხლის სამართალში). მეტიც, ინდივიდი ვინც ექცევა ლტოლვილთა კონვენციის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოქმედების ქვეშ მაინც მიუხედავად ამისა სარგებელს მიიღებს დაცვისგან რომელიც უზრუნველყოფილია უფრო ეფექტიანი საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართლით, ისეთით როგორიცაა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. მოცემული გამონაკლისები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ძირითად ადამიანის უფლებებთან მიმართებაში, რომლისგან გადახვევა არ დაიშვება, ლტოლვილთა კონვენციის მონაწილე იმ ქვეყნების მიერ, ვისაც ხელი არ მოუწერია უფრო ეფექტიანი ხელშეკრულებისთვის. ამ შემთხვევაშიც, გამონაკლისები უნდა განიმარტოს შეზღუდულად და გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმის კონკრეტული გარემოებები და პირის ინდივიდუალური მახასიათებლები უჩვენებს რომ ის წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისა თუ ეროვნული უსაფრთხოებისათვის.

Refoulement -ის აკრძალვა არ არის შეზღუდული ქვეყნის ტერიტორიით, მაგრამ ასევე გამოიყენება სახელმწიფოს ექსტრა ტერიტორიულ მოქმედებაზე, მათ შორის ქმედებაზე რომელიც ხორციელდება ღია ზღვაში. ხსენებულია განმარტება მოქმედებს საერთაშორისო ლტოლვილთა სამართლის მიხედვით, ანალოგიურად განმარტებულია ინტერ-ამერიკული ადამიანის უფლებათა კომისიის , გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის , გაეროს გენერალური ასამბლეის და ლორდთა პალატის და უნივერსალური ადამიანის უფლებათა სამართლის მიხედვით, და გამოიყენება გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტისა და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ .

ცნობილი საერთაშორისო სამართლის მკვლევარები მიყვებიან ამ მიდგომას.

ფაქტი რომ ზოგიერთი ქვეყნის უზენაესი სასამართლო, ისეთი როგორიცაა შვერთებული შტატების უზენაესი სასამართლო და ავსტრალიის უმაღლესი სასამართლო მივიდნენ განსხვავებულ დასკვნამდე ამ საკითხზე.

სიმართლეა რომ შვეიცარიელი დელეგატის განცხადება კონფერენციაზე რომ *Refoulement*-ის აკრძალვა არ ვრცელდება ლტოლვილებზე რომლებიც მიდიან საზღვარზე მხარდაჭერილი იყო სხვა დელეგატების მიერ, მათ შორის ჰოლანდიელი დელეგატის მიერ, რომელმაც განაცხადა რომ კონფერენცია ეთანხმებოდა მოცემულ ინტერპრეტაციას. ასევე მართალია რომ გაეროს ლტოლვილთა კონვენციის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილი გამორიცხავს რეფოულემენტ ვალდებულებისგან ლტოლვილს ვინც წარმოდგენს საშიშროებას იმ ქვეყნისთვის “რომელშიც ის არის” და ლტოლვილები ღია ზღვაში არ არიან რომელიმე ქვეყანაში.

დიდი პატივისცემის მიუხედავად, აშშ უზენაესი სასამართლოს ინტერპრეტაცია ეწინააღმდეგება გაეროს ლტოლვილთა კონვენციის 33-ე მუხლის პირდაპირ და ჩვეულებრივ შინაარსს. სახელშეკრულებო სამართლის ვენის კონვენციის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ხელშეკრულების დებულება უნდა იქნეს განმარტებული ჩვეულებრივი შინაარსიდან გამომდინარე. როდესაც ხელშეკრულების შინაარსი ნათელია მისი ტექსტიდან, როდესაც ის წაკითხულია მისი პირდაპირი შინაარსის გათვალისწინებით, მოსამზადებელი მასალები აუცილებელი არ არის. ისტორიული დამხმარე წყარო უფრო ნაკლებად აუცილებელია რადგანაც ის თავად არის ბუნდოვანი, როგორც ამ საქმეში, და რადგან *Ad hoc* კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელი იყო კონვენციის მომზადებაზე, უზრუნველყოფდა *non-refoulement* ვალდებულებას, იმ პირებთან მიმართებაშიც რომლებიც ჯერ არ შესულან ქვეყნის ტერიტორიაზე, აშშ წარმომადგენლებმა დაადასტურეს 33-ე მუხლის მომზადების დროს რომ არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა ლტოლვილებმა გადმოკვეთეს საზღვარი თუ არა, ჰოლანდიის წარმომადგენელმა ფორმულირება გაუკეთა მის დათქმას მხოლოდ “ლტოლვილთა დიდი ჯგუფის მიმართ ვინც ცდილობენ შევიდნენ ქვეყანაში”. მიმართვაში კონფერენციის თავმჯდომარემ “დაადგინა რომ მხოლოდ ჰოლანდიის წარმომადგენლის მიერ გაკეთებული ინტერპრეტაცია უნდა იქნეს დაფიქსირებული ოქმში.”

გაეროს ლტოლვილთა კონვენციის სხვა დებულებებისგან განსხვავებით, 33-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება არ არის დამოკიდებული ლტოლვილის ყოფნაზე ქვეყნის ტერიტორიაზე. ერთადერთი გეოგრაფიული შეზღუდვა 33-ე მუხლის პირველ ნაწილში მიუთითებს ქვეყანაზე სადაც ლტოლვილი შეიძლება იქნეს გაგზავნილი და არა ადგილზე საიდანაც ის იგზავნება. ამასთან ერთად, ფრანგული ტერმინი *refoulement* მოიცავს

გაძევებას, გადაყვანას, პირისათვის უარის განცხადებას ან თქმას სახელმწიფოში შეშვებასთან დაკავშირებით. ფრანგული სიტყვის ინგლისურ ვერსიაში განზრახ ჩადება შეუძლებელია რომ არ გულისხმობდეს ხაზგასმას ლინგვისტურ ექვივალენტურობაზე ზმნა დაბრუნებასა და ზმნა *refouler* –ს შორის. მეტიც, კონვენციის პრეამბულა აცხადებს რომ მისი მიზანია “უზრუნველყოს ლტოლვილები ყველაზე შესაძლო უფლებითა და თავისუფლებით” და ხსენებული მიზანი მიცემულია 33-ე მუხლის ტექსტში ნათელ გაცხადებაში “ნებისმიერი ფორმით” (*de quelque manière que ce soit*), მათ შორის სახელმწიფოს ქმედებათა ნებისმიერი ტიპით რომელიც მიმართულია საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე უცხოელის გაძევებაზე, ექსტრადიციაზე და ამოღებაზე, ბოლოს, არანაირი არგუმენტი არ შეიძლება იქნეს ნაწარმოები 33-ე მუხლის მე-2 ნაწილის ტერიტორიული მითითებისგან (“ქვეყანა სადაც ის არის”) 33-ე მუხლის პირველი ნაწილის ექსტრატერიტორიული გამოყენების უარყოფის მხარდასაჭერად, რადგან 33-ე მუხლის მე-2 ნაწილი მხოლოდ ითვალისწინებს გამონაკლისს 33-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული წესიდან. ლტოლვილებისათვის სასარგებლო ნორმების გამოყენება არ უნდა იქნეს შეზღუდული მხოლოდ ტერიტორიით, როგორც ეს განსაზღვრულია ამ წესის გამონაკლისში. ასეთი გარდასახვითი ეფექტი, რომელიც აკნინებს უპირატესობის წესებს, დაუშვებელია

სახელშეკრულებო სამართლის ვენის კონვენციის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულების დებულება უნდა იქნეს განმარტებული კეთილსინდისიერად. მიჩნეულია რომ კეთილსინდისიერება თავისთავად არ არის ვალდებულებების წყარო, მაგრამ ის ითვალისწინებს მნიშვნელოვან საშუალებას იმის განსაზღვრისათვის, რომ განმარტოს არსებული ვალდებულების ფარგლები, განსაკუთრებით სახელმწიფოს საქმიანობის შემთხვევაში და მოახდინოს იმ დარღვევების იდენტიფიცირება რომლებმაც გამოიწვიეს სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევა. სახელმწიფო არ მოქმედებს კეთილსინდისიერად ხელშეკრულების იმპლემენტაციის დროს არა მარტო მაშინ როცა ის არღვევს, მოქმედებით ან უმოქმედობით ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, არამედ ასევე მაშინ როდესაც ის აუფასურებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც მან მიიღო, ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი გარანტიების ნორმალურად ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლით.

იძულებითი ხელისშემშლელი პირობები ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ამოქმედების მექანიზმისთვის წარმოადგენს ხელშეკრულებისთვის ხელის შეშლას, და არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს (ხელის შეშლის ტესტი). სახელმწიფო აგრეთვე არ მოქმედებს კეთილსინდისიერად როდესაც ის ახორციელებს

საქმიანობას მისი ტერიტორიის გარეთ, რომელიც მიუღებელი იქნება თუ ის განხორციელდება ქვეყნის შიგნით სახელმწიფოებო ვალდებულებებთან მიმართებაში (ორმაგი სტანდარტის ტესტი). ორმაგი სტანდარტის პოლიტიკის გამოყენება არ უნდა მოხდეს იქ სადაც მისი განხორციელება ეწინააღმდეგება სახელმწიფოებო ვალდებულებას, რაც სავალდებულოა შესაბამისი სახელმწიფოსათვის. ორივე ტესტის გამოყენებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ღია ზღვაში “უკან დაბრუნების” ოპერაციის განხორციელება, საერთაშორისო დაცვის ინდივიდუალური საჭიროებების გაანალიზების გარეშე, მიუღებელია.

დეფოულემენტ აკრძალვის საწინააღმდეგო ერთ-ერთ უკანასკნელ ბარიერს წარმოადგენს თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყანა. გაეროს ლტოლვილთა კონვენცია მოითხოვს რომ ინდივიდი იყოს მისი წარმოშობის ქვეყნის გარეთ, რაც როგორც ჩანს შეუსაბამოა დიპლომატიურ თავშესაფართან, როგორც მინიმუმ როცა აღნიშნული კონცეფცია განმარტებულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს კონსერვატიულ დასაბუთებასთან შესაბამისად თავშესაფრის საქმეში. მაგრამ თავშესაფრის მოთხოვნის უფლება გულისხმობს ასევე პირის შესაბამის უფლებას რომ დატოვოს თავისი ქვეყანა და სხვაგან ეძიოს თავშესაფარი. სახელმწიფოებს შესაბამისად არ შეუძლიათ შეზღუდონ ქვეყნის დატოვებისა და მის გარეთ ეფექტიანი დაცვის პოვნის უფლება.

მიუხედავად იმისა რომ არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს ვალდებულება მიანიჭოს პირს დიპლომატიური თავშესაფარი, საერთაშორისო დაცვის საჭიროება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია როდესაც თავშესაფრის მაძიებელი კვლავ რჩება ქვეყანაში სადაც ის ცხოვრობს და მისი ფიზიკური უსაფრთხოება და თავისუფლება საფრთხის ქვეშაა. საფრთხის წყაროებთან სიახლოვე კიდევ უფრო აუცილებელს ხდის იმ პირთა დაცვას, ვინც იმყოფებიან საფრთხის ქვეშ მათივე ქვეყნებში. თუ არა საერთაშორისო ლტოლვილთა სამართალი, სულ მცირე საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართალი დააკისრებდა სახელმწიფოებს დაცვის ვალდებულებას და ამ გარემოებებში დაცვის ადექვატური ღონისძიებების განხორციელებლობა იქნება კანონის დარღვევა. სახელმწიფოებს არ შეუძლიათ დახუჭონ თვალები დაცვის რეალურ საჭიროებაზე. ასე მაგალითად თუ საფრთხეში მყოფი პირი აწამეს მის ქვეყანაში, ის ითხოვს თავშესაფარს ევროპის იმ სახელმწიფოს საელჩოში, რომელიც არის კონვენციის მონაწილე. ქვეყანაში შესვლის ვიზა უნდა გაიცეს, იმისათვის რომ განხორციელდეს შესაბამისი თავშესაფრის პროცედურა მიმღებ ქვეყანაში. პოზიტიური ვალდებულება რომ განხორციელდეს პირის დაცვა, გამომდინარეობს მე-3 მუხლიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნის სავიზო პოლიტიკა უნდა განხორციელდეს იმ ვალდებულებების შესაბამისად, რომელიც სახელმწიფოს აკისრია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. მნიშვნელოვანი განცხადებები ამასთან მიმართებაში გაცხადებულ იქნა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ, ევროპის

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიერ და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ.

მოცემული დასკვნა აგრეთვე მომდინარეობს ევროპული ისტორიიდან. მეორე მსოფლიო ომის დროს, ევროპაში, ფაქტობრივად იყო რამდენიმე აღსანიშნავი ეპიზოდი, რომელიც უკავშირდებოდა დამცავ ვიზებს. შვედი დიპლომატის ვალენბერგის და სხვათა მოღვაწეობა ბუდაპეშტში და პორტუგალიელი დიპლომატის სოუსა მენდესის მოღვაწეობა ბორდოსა და ბონში კარგად ცნობილი მაგალითებია და უკანასკნელ პერიოდში იქნა მოხსენიებული, როგორც დიპლომატიური მისიების მიერ ფორმალური დაშვებისა და შესაბამისი პროცედურების უზრუნველყოფის საუკეთესო პრეცედენტები ევროპის კავშირში.

აღსანიშნავია უკანასკნელი ეპიზოდის კიდევ ერთხელ მიმოხილვა: ნაცისტური გერმანიის მიერ საფრანგეთის დაპყრობისა და ბელგიის კაპიტულაციის შემდეგ ათასობით პირმა დატოვა სამხრეთ საფრანგეთი, კერძოდ ბორდო და ბონი. ამ პირების მდგომარეობით შეწუხებულმა, ბორდოს პორტუგალიელმა კონსული, არისტიდეს დე სოუსა მენდესი, განსაკუთრებით მტკივნეული დილემის წინაშე დადგა: უნდა შეესრულებინა თუ არა 1939 წლის მთავრობის ცირკულარის ნათელი ბრძანებები, რათა უარი ეთქვა მოქალაქეობის არ მქონე პირებისთვის ნებისმიერი სახის ვიზის გაცემაზე, “ნანსენის პასპორტის მქონე პირებისათვის”, “რუსებისათვის”, “ებრაელებისათვის, რომელთა გამოძევება მოხდა მათი მოქალაქეობის ან საცხოვრებელი ქვეყნიდან” ან ყველა ის “ვინც ვერ იყვნენ იმ პირობებში რომ დაბრუნებულიყვნენ თავისუფლად მათი წარმოშობის ქვეყანაში” თუ მას უნდა ემოქმედა საკუთარი სინდისის თანახმად და გაეცა ვიზები. მან აირჩია ემოქმედა საკუთარი სინდისის თანახმად, საეთაშორისო სამართლის შესაბამისად და მან გასცა ვიზები 30,000 ზე მეტ პირზე მათი მოქალაქეობის, რელიგიური რწმენის ან პოლიტიკური კავშირების მოტივით დევნის გამო. ამ დაუმორჩილებლობის აქტის გამო კონსულმა მაღალი ფასი გადაიხადა: მისი დიპლომატიური კარიერიდან გაძევების შემდეგ, ის მარტო გარდაიცვალა და მის ოჯახს მოუხდა პორტუგალიის დატოვება.

ეს ეპიზოდი რომ მომხდარიყო დღეს, პორტუგალიელი დიპლომატი იმოქმედებდა სრულ შესაბამისობაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დაცვის სტანდარტებთან. მართლაც, მისი მოქმედება იქნებოდა მხოლოდ ერთადერთი მისაღები პასუხი საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირებისთვის.

კოლექტიური გაძევების აკრძალვა

უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა უზრუნველყოფილია მე-4 ოქმის მე-4 მუხლით, ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-19 (1) მუხლით, ადამიანის და ხალხთა უფლებების შესახებ აფრიკული

ქარტიის მე-12(5) მუხლით, ადამიანის უფლებათა აფრიკის კონვენციის 22-ე (2) მუხლით, ადამიანის უფლებების არაბული ქარტიის 26(2) მუხლით.

იმისათვის, რომ ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურა იყოს ინდივიდუალური, სამართლიანი და ეფექტიანი აუცილებელია მას გააჩნდეს როგორც მინიმუმ შემდეგი მახასიათებლები: (1) გონივრული ვადის განსაზღვრა იმისათვის რომ მოხდეს თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებული განცხადების წარდგენა, (2) პერსონალური ინტერვიუ თავშესაფრის მაძიებელთან, მანამ სანამ გადაწყვეტილება იქნება მიღებული მის მიერ წარდგენილ განაცხადზე, (3) იმის შესაძლებლობა რომ მოხდეს მტკიცებულების წარდგენა განცხადების გასამყარებლად (4) დამოუკიდებელი პირველი ინსტანციის ორგანოს მიერ, სრულად დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება, რომელიც დაეყრდნობა თავშესაფრის მაძიებელთა ინდივიდუალურ სიტუაციას და არა მარტო მისი წარმოშობის ქვეყანაში არსებულ ზოგად ვითარებას, (5) გონივრული დრო რომელშიც პირს მიეცემა შესაძლებლობა გაასაჩივროს პირველი ინსტანციის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, (6) პირველი ინსტანციის ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების როგორც ფაქტობრივი ისე სამართლებრივ საფუძვლების ყოვლისმომცველი და სწრაფი სასამართლო განხილვა, და (7) უფასო იურიდიული დახმარება და წარმომადგენლობა და თუ ეს აუცილებელია, თარჯიმნის უფასო დახმარება როგორც პირველ ისე მეორე ინსტანციაში და შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა UNHCR-თან ან ნებისმიერ სხვა ორგანიზაციასთან, რომელიც მუშაობს UNHCR –ის სახელით.

მოცემული პროცედურული გარანტიები მოქმედებს ყველა თავშესაფრის მაძიებელთან მიმართებით მიუხედავად მათი სამართლებრივი თუ ფაქტობრივი სტატუსისა, როგორც ეს აღიარებულია ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლით, ადამიანის უფლებათა უნივერსალური სამართლით და რეგიონული ადამიანის უფლებათა სამართლით.

მოცემული დასკვნა არ ეყრდნობა მხოლოდ იმ ფაქტს რომ სასამართლომ გადაწყვიტა რომ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი არ გამოიყენება გაძევებისა თუ თავშესაფრის პროცედურებზე. ის ასევე არ არის შეზღუდული იმ ფაქტით რომ ზოგიერთი პროცედურული გარანტია უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებით შეიძლება მოძიებულ იქნას მე-7 ოქმის პირველ ნაწილში. მე-4 ოქმის მე-4 მუხლისა და მე-7 ოქმის პირველი ნაწილი არის მსგავსი შინაარსის: ორივე უკავშირდება სამართლიან სასამართლო პროცესს, მაგრამ ისინი განსხვავებული შინაარსს ატარებენ. მე-4 ოქმის მე-4 მუხლი უფრო ფართეხასიათის სამართლიანი პროცედურას ითვალისწინებს ვიდრე მე-7 მუხლის პირველი ნაწილი, რადგან ეს უკანასკნელი ეხება ყველა უცხოელს მიუხედავად მათი სამართლებრივი და ფაქტობრივი სტატუსისა და იგი მოიცავს მხოლოდ იმ უცხოელებს, რომლებიც კანონიერად ცხოვრობენ ქვეყანაში, რომლიდანაც უნდა მოხდეს გაძევება.

Non-refoulement-ის პრინციპის თანახმად სახელმწიფოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს საზღვრების გარეთ, ლოგიკურად გულისხმობს, რომ თავშესაფრის საჩივართა ინდივიდუალური შეფასების პროცედურული გარანტია და კოლექტიური გაძევების აკრძალვის უზრუნველყოფა არ შემოიფარგლება სახელმწიფოს ტერიტორიით და საზღვაო აკვატორიით, არამედ ასევე ვრცელდება ღია ზღვაზე.

დასკვნის სახით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლით გარანტირებული პროცედურული გარანტიის ექსტრატერიტორიული ხასიათი სრულ შესაბამისობაშია სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ექსტრა-ტერიტორიულ ცნებასთან და იგივე გარანტიასთან, რომელიც ნაგულისხმევია ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლით და ადამიანის უფლებათა უნივერსალურ სამართლით.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მიგრაციისა და საზღვრის კონტროლისას ადამიანის უფლებათა დარღვევებზე.

მიგრაციისა და საზღვრის კონტროლი სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციაა და ამ კონტროლის ყველა ფორმა გამოიხატება სახელმწიფოს იურისდიქციის განხორციელებაში. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მიგრაციისა და საზღვრის კონტროლის ყველა ფორმა ექვემდებარება ადამიანის უფლებათა სტანდარტებს და სასამართლოს შესაბამის კონტროლს, მიუხედავად იმისა, თუ სახელმწიფოს რომელი ორგანოს პერსონალი გამოიყენება ამ ოპერაციების განხორციელებისათვის.

მიგრაციისა და საზღვრის კონტროლი როგორც წესი ხორციელდება სახელმწიფო მოხელეების მიერ ქვეყნის საზღვარზე, კერძოდ პირთა და საქონელის ტრანზიტის ადგილებში, როგორცაა პორტები და აეროპორტები. მაგრამ ეს შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს სხვა ადგილას მყოფი მოხელეების მიერ. ფაქტობრივად, საზღვრის კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო მოხელეთა ფორმალური სტატუსი ან ის ფაქტი რომ ეს პერსონალი ატარებს იარაღს არ არის მნიშვნელოვანი. ყველა წარმომადგენელი, საჯარო პირი, დელეგატი, საჯარო მოხელე, პოლიციის ოფიცერი, სამხედრო მოხელე ან დროებით დაკონტრაქტებული სამოქალაქო პირები ვინც ასრულებენ საზღვრის კონტროლის ფუნქციას სამართლებრივად შეზოქილი არიან კონვენციის სტანდარტით.

აგრეთვე არანაირად არ არის მნიშვნელოვანი თუ რამდენად ხორციელდება საიმიგრაციო და საზღვრის დაცვის კონტროლი ხმელეთზე ან სახელმწიფოს საზღვაო აკვატორიაზე, დიპლომატიურ მისიებში, სამხედრო გემებზე, გემებზე რომლებიც რეგისტრირებულია სახელმწიფოში ან იმყოფებიან მისი ეფექტიანი კონტროლის ქვეშ, სხვა ქვეყნის გემებზე, რომლებიც იმყოფებიან სხვა ქვეყნის

ტერიტორიაზე, თუკი კონტროლი ხორციელდება კონვენციის ხელმომწერი მხარის მიერ.

სახელმწიფოს არ შეუძლია თავი აარიდოს მის სახელშეკრულებო ვალდებულებას ლტოლვილებთან მიმართებაში.

შესაბამისად, მიგრაციისა და საზღვრის დაცვის პოლიტიკა, მათ შორის ტერიტორიულ ზღვებში შესვლაზე უარი, ვიზაზე უარის თქმა, წინასწარი შემოწმებისთვის გემზე ასვლაზე უარი, ტექნიკური მომსახურება და საიმიგრაციო კონტროლი, რომელიც ხორციელდება სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, მონაწილე მხარის სახელით, უნდა ექვემდებარებოდეს კონვენციის სტანდარტებს. მიუხედავად იმისა თუ სად ხორციელდება ეს და ხელისუფლების რომელი ორგანოს წარმომადგენელი ახორციელებს ამ ქმედებას, ყოველივე ეს წარმოადგენს სახელმწიფოს ფუნქციის განხორციელებას, საზღვრის კონტროლს და სახელმწიფოს იურისდიქციის მანიფესტაციას.

სახელმწიფოს იურისდიქცია მიგრაციისა და საზღვრის კონტროლის კუთხით, ვრცელდება ადამიანის ნებისმიერ უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ამ კონტროლის განხორციელების დროს. საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე ის დებულებები, რომელიც ეხება ადამიანის უფლებათა დარღვევებს, ჩამოყალიბებულია, თანდართულ და დამტკიცებულ UNGA რეზოლუციაში 56/83, რომელიც მიღებულია 2001 წელს. ხსენებულის თანახმად მონაწილე მხარე ვალდებულია განახორციელოს ქმედებები კონვენციის სტანდარტის შესაბამისად და მისი ვალდებულება არ მცირდება იმ ფაქტით რომ იმ სახელმწიფოს, რომელიც არ არის კონვენციის ხელშემკვრელი მხარე, ასევე ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ქმედებაზე. ასე მაგალითად, არა მონაწილე სახელმწიფოს წარმომადგენლის ყოფნა მონაწილე მხარის სამხედრო გემის ბორტზე, რომელიც იმყოფება მონაწილე სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ არ ათავისუფლებს ამ უკანასკნელს კონვენციის ვალდებულებებისაგან (სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების თავის მე-8 მუხლი). მეორეს მხრივ, მონაწილე მხარის წარმომადგენლის დასწრება არა მონაწილე მხარის სამხედრო გემის ბორტზე ან ფლოტში რომელიც იმყოფება არა მონაწილე მხარის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ ავალდებულებს მონაწილე მხარეს იკისროს პასუხისმგებლობა კონვენციით დადგენილი სტანდარტის ნებისმიერი დარღვევისათვის (სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების მე-16 მუხლი).

იტალიის სახელმწიფოს მიერ კონვენციის სტანდარტის დარღვევა

ზემოაღნიშნული პრინციპის თანახმად, იტალიის საზღვრის კონტროლისას განხორციელებული „უკან დაბრუნების“ ოპერაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა ღია ზღვაში, და რომელიც განხორციელდა ინდივიდზე ორიენტირებული სამართლიანი და ეფექტიანი პროცედურების გარეშე,

წარმოადგენს უცხოელების კოლექტიური გაძევების აკრძალვის სერიოზულ დარღვევას და შედეგად ნონ-რეფოულემენტ პრინციპის დარღვევასაც.

სადავო „უკან დაბრუნების“ ღონისძიება მოიცავს მომჩივნების გაძევება, რომელიც განხორციელდა იტალიის ფლოტის სამხედრო გემის ბორტზე. ტრადიციულად, გემები ღია ზღვაში განიხილება იმ სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ, რომლის დროშის ქვეშაც ისინი ცურავენ. ეს არის საერთაშორისო სამართლით მყარად დადგენილი დებულება, რომელიც მოცემულია გაეროს საზღვაო კონვენციის 92-ე (1) მუხლში. მოცემული შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამხედრო გემის შემთხვევაში, რომელიც, მალკომ შოს ციტირების თანახმად განიხილება როგორც „სახელმწიფო დროშის ქვეშ მცურავი გემის სუვერენულად“. იტალიის ნავიგაციის კოდექსის მე-4 მუხლი განსაზღვრავს ამ პრინციპს, რომლის მიხედვითაც „იტალიის ხომალდები ღია ზღვაში ან სხვა ადგილას სადაც არ ვრცელდება სახელმწიფოს სუვერენიტეტი მიიჩნევა იტალიის ტერიტორიად.“ დასკვნის სახით, როდესაც მომჩივნები ავიდნენ იტალიის ხომალდებზე ღია ზღვაში, ისინი შევიდნენ იტალიის ტერიტორიაზე, ანუ კონკრეტულად რომ ითქვას, იპსო ფაქტო სარგებლობდნენ ყველა იმ პრივილეგიით, რომელიც მათთვის უნდა უზრუნველყო ევროპის კონვენციისა და გაეროს ლტოლვილთა კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოს.

მოპასუხე მთავრობა ამტკიცებდა რომ ღია ზღვაში განხორციელებული „უკან დაბრუნების“ ღონისძიება გამართლებული იყო საზღვაო სამართლით. ხსენებულს შესაძლოა გასამართლებლად დაედოს 4 საფუძველი: პირველი, UNCLOS 110(1)(დ) მუხლი, 91-ე მუხლთან ერთად, რომელიც იძლევა იმის ნებართვას რომ მოხდეს ასვლა სახელმწიფო დროშის არმქონე გემზე, რომლებიც ახდენენ უკანონო მიგრანტებს ტრანსპორტირებას ხმელთაშუა ზღვაში; მეორეს მხრივ, UNCLOS 110(1) (ბ) მუხლი, რომელიც უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მოხდეს ასვლა ღია ზღვაში მცურავ ხომალდებზე, თუ არსებობს იმის საფუძვლიანი ვარაუდი, რომ გემი ჩართულია მონათა ვაჭრობაში, მოცემული საფუძველი გაფართოვდა ტრეფიკინგის მსხვერპლებზეც; მესამეს მხრივ, მიგრანტთა ხმელეთით, ზღვით და ჰაერით გადაყვანის წინააღმდეგ ოქმის მე-8(2) და მე-7 მუხლების საფუძველზე სახელმწიფოებს ეძლევათ საშუალება აღმოაჩინონ და განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები იმ გემების წინააღმდეგ, რომლებზეც არსებობს ეჭვი, რომ მათ უკანონოდ გადაჰყავთ მიგრანტები; და მეოთხეს მხრივ, ეს ეფუძნება ღია ზღვაში საშიშროებასა და გაჭირვებაში მყოფი პირების დახმარების გაწევის ვალდებულებას, როგორც ეს მოცემულია UNHCR 98-ე მუხლში. ყველა ამ გარემოებების დროს სახელმწიფოები ეკისრებათ რეფოულემენტ –ის აკრძალვის ვალდებულება. ამ დებულებებიდან არც ერთი არ შეიძლება იქნეს გონივრულად მიჩნეული იმის გასამართლებლად რომ განხორციელდეს ნონ-რეფოულემენტ-ის ვალდებულებიდან გადახვევა. მხოლოდ იმ ნორმების არასწორ ინტერპრეტაციას, რომელთა მიზანია დაცულ იყვნენ განსაკუთრებით

მოწყვლადი პირები (ტრეფიკინგი მსხვერპლი, უკანონო მიგრანტები, სამიშროებაში მყოფი პირები ან ღია ზღვაში განსაცდელში მყოფი პირები) შეუძლია გაამართლოს ამ პირების დამატებით არაადამიანური მოპყრობის საფრთხის წინაშე დაყენება, იმ გზით, რომ ისინი გაძევებულ იქნენ იმ სახელმწიფოებში საიდანაც ისინი გამოიქცნენ. როგორც ფრანგი წარმომადგენელი, ბ-ნი ჯუვინლი აცხადებდა *Ad hoc* კომიტეტის მიერ ლტოლვილთა კონვენციის პროექტის განხილვისას, „არ არსებობდა იმაზე უარესი კატასტროფა იმ პირისთვის ვინც მრავალი პრობლემის გამო დატოვა ქვეყანა, სადაც განხორციელდა მისი დევნა, ვიდრე მისი დაბრუნება ამ ქვეყანაში, იმ სადამსჯელო ღონისძიებების გათვალისწინებით რომელიც მას ელოდება“.

არ უნდა დავივიწყოთ მოსამართლე ბლეკჰემის სიტყვები, რომლებიც საკმაოდ შთამბეჭდავია. ლტოლვილები რომლებიც ცდილობენ დატოვონ ქვეყანა არ ითხოვენ ევროპაში შესვლის უფლებას. ისინი მხოლოდ ითხოვენ რომ ევროპამ, ადამიანის უფლებათა იდეალების ჩირაღდანმა და კანონის უზენაესობის სავანემ, შეწყვიტოს კარებთა დახურვა იმ პირებისთვის ვინც განსაცდელში იმყოფებიან და გამოიქცნენ თვითნებობას და სისასტიკეს. ეს არის საკმაოდ მორიდებული მოთხოვნა, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. „ჩვენ არ უნდა ავიფაროთ ხელი ყურებზე ხსენებულთან დაკავშირებით“

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes

on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.